სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი

[წელიწადი მეათე]

№ 3-4-5. მარტი 1917 წ. № 3

ჟურნალი წლიურად ღირს 5 მან. სახალხო სკოლების მასწავლებლებს, მოწაფეებს, სტუდენტებს, მუშებს და უფასო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად 3 მან. ან 60 კაპ.

ფასი ცალკე ნომრისა 50 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში, «წერა-კითხვის საზოგად. წიგნის მაღაზიაში» და „ნაკადულის“ რედ-ში. წერილები და ჟურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ აღრესით: Тифлисъ, Дворянская Грузинская Гимназія.

Л. Г. БОЦВАДЗЕ

რედაქცია სთხოვს აგენტებს და ხელის მომწერლებს, მათზე დარჩენილი ფული ჟურ. „განათლებისა“ ან ახალ ხელის მომწერთა სია დაუყოვნებლივ მოგვაწოდონ.

შინაარსი: 1) საბუნებისმეტყველო ექსკურსია დასაწყისს სკოლებში (ა. პოკროვსკი)—**ლ. ბოცვაძე.** 2) დამოკიდებულება სიცოცხლის ხანგრძლივობისა და მსხვილ ნაწლავების შორის—თარგ. **გ. კოკოჩაშვილი.** 3) არითმეტიკის ჩარჩო—**ი-ა ჭ—ძე.** 4) სულთამხუთავი გაზი და მისგან თავის დაცვა—ექიმი **პ. ქავიარაძე.** 5) ქართული ენა და „გუთანი“—**ნიკ. ქამუშაძე.** 6) საშუალო სამეურნეო სასწავლებელი შორაპნის მაზრაში—**რ. ტიდეკვარიშვილი.** 7) დიმიტრი ჯანაშვილი—**მ. ჯანაშვილი.** 8) ილია ჭავჭავაძე—**არტურ ლეისტი.** 9) აკაკის ლირიკა—**ილ. ფერაძე.** 10) მოსე წინასწარმეტყველის გარდაცვალება—**ილ. ალხაზიშვილი.** 11) ქიმმარიტს გზაზე—**ნატ. გიგაური-ვაბაევისა.** 12) მლესავი—**ილ. გოგია.** 13) შინაური მიმოხილვა. 14) ქართველი დემოკრატიას!—**ივ. გომართელი.** 15) რუსეთი—**ალ. წეველი.** 16) უცხოეთი—**ალბაბერი.** 17) სამეცნიერო მიმოხილვა. 18) ცნობები: წესდება ქართ. მ[illegible] ... ... 19) მოხსენება სოხუმის განყოფილების რევიზიის შესახებ—**დ. კარიჭაშვილი.** 20) განცხადებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოტა სარგებლობა მოაქ ს: ბავშვები კოლექციებიდან სრულს ცოდნას ვერ შეიძენენ. ცხოველები და მცენარეები თუ სპირტში აქვთ შენახული, ფერს ჰკარგავენ, გამხმარ უძრავ კოლექციების ნაწილები ადვილად იფშვნება, მათი ყოველმხრივ გასინჯვა და დაკვირვება შეუძლებელია, ცხოველთა ტიკინები კი მიუხედავად მათი სიძვირისა, ისეთია როგორც გამხმარი კოლექციები, რომელიც მარტო გარეგან თვისებას შეიცავენ. მაგრამ უმთავრესი ეს არის. მკვდარი მცენარე და ცხოველი მისი სხეულის განვითარების ერთს მომენტს შეიცავს და თვალსაჩინოდ ცხოვრებას ვერ გვიხატავს. ამას გარდა სისტემაზე დალაგებული კოლექციები ვერავითარ წარმოდგენას ვერ გვაძლევს ცხოველთა და მცენარეთა ურთიერთ დამოკიდებულებისას, აგრეთვე მცენარის ნიადაგთან დამოკიდებულების შესახებაც არას გვეუბნება; ასე რომ ბავშვებმა ეს ცნობები ან სახელმძღვანელო წიგნებიდან, ან მასწავლებლის სიტყვებით სარწმუნოთ უნდა მიიღონ.

ცხოველთა სამეფოს შესწავლისათვის ერთის მხრით საუკეთესო იქნებოდა ზოოლოგიური ბაღი, მაგრამ ეს საშუალება ჩვენებური სახალხო სკოლისათვის მიუწდომელია. ყველა მასწავლებელს შეუძლიან, რომ მოსწავლეები უკვირდებოდენ შინაურს ცხოველებს, ფრინველებს და მათს განვითარებას გაჩენიდან სიკვდილამდის, აგრეთვე—ზოგ გარეულ ცხოველებსაც ტყეში. მცენარეთა და მადნეულთა დამოუკიდებლად დაკვირვებისათვის მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეები სოფლის ან ქალაქს გარედ გაიყვანოს, უჩვენოს მინდორი, ტყე, ჭაობი; საჭიროა, რომ მოწაფეები დამოუკიდებლად უკვირდებოდენ ყველაფერს ბუნებაში, ეცნობოდნენ ორგანიზმთა ცხოვრებას, განვითარებას—ერთი სიტყვით საჭიროა ექსკურსიები. ხშირი და მრავალ მხრივი მიმართვა ცოცხალ ბუნებისადმი იმავე დროს სწავლებაც არის და მეცადინეობაში წაქეზებაც. თუ მასწავლებელი მარტო იმ მცირე ცნობებით დაკმაყოფილდება, რასაც სასკოლო კოლექციები და სურათები იძლევიან, კარგ წარმატებას, თუნდაც მასწავლებელი დიდს გულმოდგინეობასაც იჩენდეს, მაინც დააკლდება ერთგვარი კავშირი, რომელიც აერთებს და აცხოველებს სულს, ურომლისოდ სწავლება მოსწავლეს ვერაფერს მთლიანს ვერ მისცემს.

ხშირად განათლების მიზნით განზრახული ექსკურსიები იმით თავდება, რომ მასწავლებელი უჩვენებს მოსწავლეებს ამა თუ იმ მცენარეს და ასწავლის მის სახელს; ბავშვებიც ჰგლეჯენ მცენარეს და იხსოვნებენ მის სახელს. ასე შეგროვებული მცენარეები მოსწავლეებს შინ მიაქვთ, ახმობენ, აწებებენ ქაღალდზე და ქვეშ სახელს მოუწერენ. ამგვარი ექსკურსიით და მეცადინეობით ბავშვები ვერავითარ სარგებლობას ვერ იძენენ: ისინი ვერ სწავლობენ, როგორც რიგია, მცენარეთა ფორმებსაც, არამც თუ მათს განვითარებას, ცხოვრებასა და ბუნებაში მნიშვნელობას. „დიდი შეცდომა იქნებოდაო, ამბობს როსმესლერი, თუ მასწავლებელი, რომ მისი ცოდნის შესახებ ბავშვებმა დიდი წარმოდგენა იქონიონ, დაუსახელებს ყველა ცხოველსა და მცენარეს, რომელიც სეირნობის დროს გზაში შეხვდებათ და ბავშვებიც ამის კმაყოფილნი იქნებიან. პირიქით იმას უნდა ვცდილობდეთ, რომ მარტო სახელების ცოდნას დიდი მნიშვნელობა არ ექნეს. მეცნიერული სახელი ბუნებრივი საგნისა ყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველთვის მხოლოდ საქმის დასაწყისია: იგი საჭიროა, მაგრამ არა არსებითად. ჩემი აზრით, ბავშვს, რომელიც მოგმარ თავსთ ასეთის კითხვით—რა ჰქვიან ამ მცენარეს?—არაოდეს არ უნდა უთხრა მისი სახელი; პირიქით სამუდამოდ უნდა აუხსნათ, რომ სახელი მცენარისა თუ ცხოველისა, რომელიც მას კარგად არ გაუშინჯავს, არ დაჰკვირვებია, მისთვის მაინც უსარგებლო იქნება, რადგანაც, ბოლოს, როცა შეხვდება მაინც ვერ იცნობს. მოსწავლემ სახელი მაშინ უნდა შეისწავლოს, როცა პასუხს შესძლებს შემდეგ კითხვებზე: სად იპოვა მცენარე, ბალახია იგი თუ საპურე მცენარე, ჩირგვია, ხავსი, ხეხილი და სხ., რა ნაირი ყვავილი და ფოთოლი აქვს და სხ.«.

ამგვარი განმარტებისათვის როსმესლერი იძლევა ისეთს სავირჯიშოს, რომელიც იმავე დროს ძლიერ გასართობიც არის. მასწავლებელი მოსწავლეებისკენ ზურგშექცეულია. ბავშვები აიღებენ რომელსამე მცენარეს, ასწერენ მის ნაწილებს და დამოკიდებულებათ იმ დრომდის, სანამ მასწავლებელი არ გამოიცნობს აწერილს მცენარეს. ამასთან მასწავლებელს ადვილად შეუძლიან უხელმძღვანელოს აწერილობის დროს და უჩვენოს გამოტოვებული. თუ მასწავლებელი ფიქრობს, რომ მან უკვე გამოიცნო აწერილი მცენარე, მაინც, უნახავად უჩვენებს მოწაფეებს მათ მიერ შეუნიშნავ თვისებებს და ბავშვებიც ეძებენ მას მცენირეში. თუ ყველა თვისებები დასახელებულია, მასწავლებელიც ასახელებს მცენარეს და თამაშობაც გათავდება; თუ თვისებები ერთ დროს ვერ მოხვდებიან, სჩანს ბავშვებს მცენარე კარგად ვერ აუწერიათ და მასწავლებელი შეცდომაში შეუყვანიათ, ეს შეცდომა ბავშვებმავე უნდა გაასწორონ, რასაც მასწავლებელი მიახვედრებს მცენარის დაუნახავად. ასეთი ვარჯიშობა, კითხვა-პასუხით თამაშობა არამც თუ დიდათ სასიამოვნოა ბავშვებისათვის, იმავე დროს იგი აჩვევს დაწვრილებით დაკვირვებას და სიტყვების მოძებნას თვისებათა აღსანიშნავად. ცხადია, რომ ასეთი თამაშობა მოსახერხებელია მწერთა შესწავლაშიაც. მაგრამ მეორე მხრით ცხადია თუ, რა საფუძვლიანი ცოდნა უნდა ჰქონდეს გარშემო არსებულის ბუნებისა თვითონ მასწავლებელს. ჩვენ გვგონია, რომ ასეთს სათამაშოს მასწავლებლის დახმარებით ბავშვები თვითონვე მოაწყობენ ერთმანეთში, მათთვის კარგად ცნობილ მცენარეთა და მწერების შესახებ. გასეირნებას მხოლოდ ნომენკლატურის შესასწავლად არავითარი განმავითარებელი თვისება არ აქვს და მალეც სწყინდებათ ბავშვებს ისე, რომ ხშირად ჰერბარიუმის შედგენაზედაც უარს ამბობენ.

ექსკურსია გაკვეთილების დამატება უნდა იყვეს; ამ დროს ბავშვების გულისყური უფრო იმას უნდა მიექცეს, რის დაკვირვებაც სკოლაში არ შეუძლიათ. ექსკურსიამ უნდა უჩვენოს მოსწავლეს ბუნების სამეფოთა ურთი ერთშორისი დამოკიდებულება და შეაკავშიროს ბუნებისმეტყველებიდან შეთვისებული ცოდნა ერთმთლიანად. მცენარეთა სამეფოზე, მაგალითად, დიდი გავლენა აქვს ნიადაგსა და გეოგრაფიულს პირობებს. ერთი და იგივე მცენარე მშრალს გამოფიტულს მიწაში დაბალს ღეროზე გაიკეთებს ერთს განუვითარებელს თავთავს ძირს დაშვებულის ფოთლებით, ნესტიანსა და მსუქან მიწაში კი მაღალ, მრავალ ყვავილიან, წვნიან და ბრწყინვალე ფოთლებიან მცენარედ გეჩვენებათ. შეიძლება ორივე ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცენარე ერთისა და იმავე ყვავილის თესლიდან წარმოსდგა. ამგვარსავე ცვალებადობას განიცდის ერთი და იგივე მცენარე აღმოცენებული სხვა და სხვა სიმაღლეზე. თვითონ მცენარის მდგომარეობასაც სხვა მცენარეებთან (მაგ. ტყეში) გავლენა აქვს მის ფორმაზე. ხშირად ჩარგულ ხეებს შეუძლიათ მაღლა გაიზარდოს, მაგრამ სიგანით კი არ განვითარდეს, ამიტომაც მათ აქვთ წლის უფრო ვიწრო რგოლები. იგივე ხე გაშლილს ადგილზე, სადაც იგი შეუჩერებლივ ზრდის თავის ტოტებსა და ხორკლებს და თავისუფლად იზრდება განზე, აჩენს წლიურ ფართე რგოლებს. თუ ხის მდგომარეობა ასეთია, რომ ერთი მისი გვერდი შეწეულია და დაჩრდილული მეზობელ ხეებისაგან, მეორე კი გაშლილია და სინათლისკენ მიქცეული, მაშინ ერთი მხარეზე ექნება წლიური ვიწრო რგოლები, მეორეზე კი ფართო. თუ ხე წინად დაჩრდილული იყო სხვა ხეებით, რომელიც შემდეგ მოუჭრიათ, მაშინ წლის პირველი რგოლები ვიწრო იქნება, შემდეგი კი მოჭრილ ხეების შემდეგ გაჩენილი—ფართო და სხ. ყველა ეს ცვლილებანი, ყველა მეტის მეტად საინტერესო და საჭირო დამოკიდებულება მცენარეებისა გარეგან პირობებთან, კავშირი თვითოეულ მცენარეთა შორის, მცენარეთა ჯგუფები და სურათები შეიძლება დაკვირვებით შესწავლილ იქმნას მხოლოდ ექსკურსიების დროს. დასასრულ თვითონ მცენარის ცხოვრების შეგნებისათვის საჭიროა მათი განვითარების ყოველ საფეხურზე დაკვირვება, საჭიროა დაუკვირდენ მის ზრდას ნასახიდან დაწყებული სიკვდილამდე.

ყველაფრის გათვალისწინება, რასაც მასწავლებელმა უნდა მიაქციოს ყურადღება ექსკურსიის დროს, შეუძლებელია. როგორც ცოცხალი საქმე იგი განსაზღვრულ ჩარჩოში არ მოთავსდება. თვითონ ბუნების ცხოვრება და ბავშვების ყურადღება მისცემენ მას პრაქტიკულ თვალსაჩინო მეცადინეობის პროგრამას ბავშვებთან. ამიტომ თვითოეული მასწავლებელი თავის ადგილას უნდა იყვეს. მაგრამ საერთოდ შეიძლება დავასახელოთ შემდეგი საგნები და მოვლენანი, რომელთაც უნდა მიაქციოს ყურადღება მასწავლებელმა (როსმესლერით).

ცის მხარეები. ქარის მიმართულება. ღრუბლების ფორმა. ჰაერის სინოტიე. ჩრდილის სიგრძე. ნამის გაჩენა. სითბოს გრადუსების რაოდენობა და მისი განსაზღვრა. ჯიბის ტერმომეტრის საშუალებით განსხვავება წყლისა და მიწის სითბო სიცივეში, რაც შეინიშნება განსაკუთრებით საღამოობით. სეტყვისა და წვიმის მოსალოდნელი ნიშნები. წვიმის მოქმედება ნიადაგზე, ამასთანავე შეისწავლება არხების, დელტის, ხრეშის და წასალეკ ვაკეების გაჩენა. განიავება. ხრწნა. შავი მიწის, ნეშომპალას გაჩენა.

ხეებზე: ნაპრალები ყინვისაგან. ჭრილობის შეხორცება; ხის შესქელება მისი მოშენების სხვა და სხვა ადგილზე შუა ტყეში და ტყის განაპირას. ნაყოფის აყვავილებისა და სიმწიფის დრო. ხის რტოების მდებარეობა და სხვა და სხვა ჯიშის ხეების დამახასიათებელი მოყვანილობა. ხის ტანისა და ძირის ღეროები და სხვა.

ცხოველთა სამეფოდან საკმაო მასალას მოგვცემენ მწერები, ობობები, ზოგიერთი ჭიები და ფრინველები. ფრინველთ გადაფრენა რომელსამე ადგილს მცენარის, ნიადაგის, წყლისა და საზოგადოთ ადგილობრივი ბუნების მდგომარეობის მიხედვით. ბუდის კეთება. ბარტყების

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჩეკა. მათი საზრდოობა დაფრენა. გალობა. გაფრენა და სხ.

მდინარისა და აგრეთვე ნაკადულის ნაპირას გაეცნობიან წყლისა და ყინულის გეოლოგიურს მოქმედებას. მდინარის მაღალს ნაპირებზე და ან რკინის გზის დაქანებაზე სწავლობენ დედამიწის შრეებს, აგროვებენ ნიადაგის ნიმუშებს მისი შემადგენლობის გასაგებად; მოსწავლეები ადგილზევე შეიტყობენ რამდენად ნოყიერია ესა თუ ის ნიადაგი, რომელსაც ახასიათებს ადგილობრივი მცენარეულობა და ადგილის საზოგადო სახე.

როცა ბავშვებში გაიღვიძებს ცოცხალი ინტერესი და როცა მათი თვითმოქმედება იმდენად განვითარებული იქნება, რომ ხალისით შეუდგებიან მათ გარშემო არსებული ცოცხალი ბუნების შესწავლას, მაშინ უნდა ასწავლოთ მათ გამორკვევა ბუნებრივი საგნებისა და მოვლენებისა, რომ შესძლონ თავისთავად დამოუკიდებლად მუშაობა. როცა ექსკურსიის დროს ბავშვები მიეჩვევიან ბუნების ცხოვრებისა და მოვლენათა დაკვირვებას, ყოველთვის ყურადღებას დაიჭერენ მათ გარშემო არსებულ საგნებსა და მოვლენებზე. ბუნებაში მომხდარი ფიზიკური, ქიმიური მეტეოროლოგიური და ასტრონომიული მოვლენანი მდიდარს მასალას იძლევიან დამოუკიდებლად დაკვირვებისათვის. სკოლის ეზოშივე ბავშვები უკვირდებიან წვიმას, თოვლს, სეტყვას, ქარს, ქარიშხალს, ჭექა-ქუხილს, ღრუბლებს, გაიცნობენ ქვეყნის მხარეებს და სხ.

მართალია, ყოვლთ უწინარეს ოჯახის მოვალეობაა გაუღვიძონ შვილებს ბუნებისადმი შთაბეჭდილება, მაგრამ ბევრს შემთხვევაში ოჯახი ამას სრულიად არ აქცევს ყურადღებას და გაუნათლებელ ოჯახს ხომ სრულიად არ შეუძლია ამ მხრივ რისმე გაკეთება. ამიტომ, ვიდრე საბუნებისმეტყველო მასალების კითხვას შეუდგებოდნენ და გზა და გზა გარესკნელ ბუნებასაც გააცნობდენ, საჭიროა ბავშვებს აღუძრან ხალისი ბუნებისადმი. ცნობის გადაცემა ბავშვებისათვის უნდა იწყებოდეს ბაღში, ტყეში, მინდორში, ტბის პირად...

ამ წინასწარ მომზადებას სკოლაში უნდა მოხმარდეს სასწავლო წლის დასაწყისი, შემოდგომის თვეები. შემდეგ, როცა ბავშვები გაეცნობიან ამ ბუნებრივს მოწყობილობას, როცა, მაშასადამე, მასწავლებელს შეეძლება აღადგინოს იგი ბავშვების წარმოდგენაში, ბევრი ცხოველები და მცენარეები, აგრეთვე ბუნების მოვლენანიც შეიძლება დაკვირვებით შესწავლილ იქმნეს თვითონ სკოლაში; კლასში ბავშვები უფრო ვრცლად შეეხებიან იმ მოვლენებს, რომლისაგანაც გაოცებულნი იყვნენ ექსკურსიის დროს. გაზაფხულზე ისინი უკვირდებიან გამოღვიძებულ მცენარეულობას, კვირტების განვითარებას, ფრინველების მოფრენას და სხვა.

როცა მუდმივ უკვირდებიან ცხოველთა და მცენარეთა ცხოვრებას, ბავშვები თანდათან შეიგნებენ მათ და შეესაკუთრებიან შესასწავლ საგანს, და ეს თბილი გრძნობა, იმისდა მიხედვით თუ, რამდენად გაფართოვდება ეს დაკვირვება, თან და თან გადადის ყოველს ცხოველ არსებაზე, მთელს ბუნებაზე. როცა ბავშვები სწავლობენ გარეულ მცენარეებს მათი აღმოცენების ადგილთან დაკავშირებით, და ცხოველებს მთელი მათი მოწყობილობით, მათ თანდათან მოუგროვდებათ მასალა ცხადი წარმოდგენებისა მცენარეთა და ცხოველთა მთელი ჯგუფების შესახებ. მხოლოდ მინდვრის, ტყე და ვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისა და ჯობების ამგვარ შესწავლის შემდეგ ბავშვებს შეუძლიათ სარგებლით და სიამოვნებით წაიკითხონ ბუნების სურათების საუკეთესო აღწერილობანი და შეგნებით შეითვისონ სწორი შეხედულობა ბუნებაზე. როცა ამ სახით ბავშვები მათ გარშემო არსებულს შეისწავლიან, მაშინ შეუძლიათ გადავიდნენ მოშორებულ ქვეყნების ცხოველთა დამცენარეთა შესწავლაზე, რასაც, მშობლიური ქვეყნის კარგად ცნობილ სურათებთან შედარებით, გამოაცოცხლებენ.

ლ. ბოცვაძე.

დამოკიდებულება სიცოცხლის ხანგრძლივობისა და მსხვილ ნაწლევების შორის

ბრუნ. ი. ი. მეჩნიკოვის.

(თარგმანი).

უძველეს დროიდან კაცობრიობა სჩივის ადამიანის სიცოცხლის სიმოკლეს. ფილოსოფოსები, ბოტები, რომანისტები და მეცნიერები—ყველა ერთხმად აღიარებენ, რომ ჩვენი სიცოცხლე ისეობა მაშინ, როცა ჯერ კიდევ მისი წუურვილი მთლად არ არის დაკმაყოფილებული. მხოლოდ მცირედნი არ იდებენ მონაწილეობას ამ სართო გოდებაში. ასეთ გამონაკლის უნდა მივათვალოთ სხვათა შორის გამოჩენილი გერმანელი ფიზიოლოგი რუბნერი, რომელიც ირწმუნება, რომ ჩვენი სიკვდილი არის სრულიად ბუნებრივი მოვლენა, მგზავსი იმისა, რომ შემოდგომას ხეებს ფოთლები სცვივა.

მას აკვირვებს ადამიანთა სიკვდილისადმი გულისწყრომა და ურჩევს მათ—იყავით უფრო მადლიერი ბუნებისა, რომელმაც კაცობრიობას ასეთი დაგრძელება მიანიჭა. თავის მოხერხებულ გამოკვლევებიდან რუბნერს გამოჰყავს თითქოს ადამიანი სხვა ძუძუმწოვართაგან განირჩევა თვისი საშინლათ ხანგრძლივობით, რის შედეგიც არის მისი უფრო ხანგრძლივი არსებობა. იმ დროს, როდესაც ახალ დაბადებულ თეთრ კურდღელს სჭირია ექვსი დღე, რომ თვისი წინანდელი წონა გაორმაგებოს, იმ დროს, როდესაც ცხენს, რომელიც ადამიანზე გაცილებით დიდია, სჭირია ამისათვის სამოცი დღე, ახალ შობილ ბავშვისათვის კი საჭიროა ექვსი თვე, რომ იმავე მიზანს მიაღწიოს. გამოითვალა თუ არა რუბნერმა იმ ენერგიის რაოდენობა, რომელიც საჭიროა ახალთ შობილთა წონის გასაორმაგებლათ, იგი იძლევა შემდეგ საინტერესო დასკვნას: იმ დროს როცა მსხვილი და წვრილი ძუძუმწოვარნი (თეთრი კურდღლები. ძაღლები, კატები, ძროხები, ცხენები და სხვ.) ხარჯავენ ამისათვის მეტად თუ ნაკლებად ერთნაირ რაოდენობას ენერგიისას (3754—4559 კილოგრამო-კალორიებს), ახალთ შობილი ბავშვი ამასვე ანდომებს ექვსჯერ მეტად.

ადამიანს, როგორც არსებას ბუნებით მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტად დაჯილდოებულს, უნდა ეცოცხლა მეტი ხანი ვიდრე ახლა სცოცხლობს. რუბნერი მის ხანგრძლივობათ სთვლის 80 წელს, რაც აღემატება ცხენისას (35 წელი) და მცოხნელთა (30 წელი) ხანგრძლივობა, სამჯერ ნაკლებ.

რა მხრითაც არ გავეცნოთ ამ საკითხს, მივიღებთ ერთსა და იმავე დასკვნას, სახელდობრ იმას, რომ ადამიანის სიცოცხლე მეტად მოკლეა და საერთო გოდება ამ მხრივ სრულიათ სამართლიანია. ამ თრიად საუურადღებო მოვლენის მიზეზების გამორკვევის დროს ბიოლოგები იხრებიან განსაკუთრებით საერთო შეხედულებისაკენ: ისინი ამბობენ „სასიცოცხლო ფერმენტის“ გამოლევაზე ან და საზღვრებზე, რომელშიც სასიცოცხლო სუბსტანცია არ იქმნება ხელ-ახლათ და მაგნე გავლენებს არ ეხმაურება.—პირადათ ჩემი გამოკვლევებით ბუნებრივი სიკვდილი ბუნებაში საერთოდ იშვიათია. უფრო ხშირად იგი შემჩნეულია დაბალ საფეხურზე მდგომ ცხოველებში, რომელთა შორის შეხვდება ხოლმე მაგალითები ისეთი აგებულობისა, რომელიც შეუძლებლად ხდის რაიმე ხანგრძლივს არსებობას. ამათგან უველაზე დამახასიათებლებზე ჩვენ უკვე მივაქციეთ ყურადღება ჩვენ წინანდელ თხზულებებში („ეტიუდები ადამიანის ბუნებისა“, „ეტიუდები ოპტიმიზმისა“). მწერთა შორის ბუნებრივი სიკვდილი შემჩნეულია შედარებით ხშირათ. რაც შეეხება ხერხემლიანებს და მეტადრე უმაღლეს მათგან—ადამიანებს, აქ უკვე სრულიად არც კი იოქმის რაიმე ბუნებრივ სიკვდილზე. ადამიანთა შორის ასეთი სიკვდილის მაგალითები ძლიერ იშვიათია და ამასთანავე ნაკლებად შესწავლილი. ამიტომაც სიცოცხლის ხანგრძლივობის საკითხის შესწავლის დროს ყოველთვის უნდა სახეში ვიქონიოთ სიბერე და ნაადრევი სიკვდილი.

რამოდენიმე საერთო კანონთა შორის, რომელნიც გამომდინარეობენ უკვე დამტკიცებული ფაქტებიდან, უნდა აღინიშნოს განსაკუთრებით ის დამოკიდებულება, რომელიც არსებობს ხანგრძლივობისა და სხეულის სიდიდის შორის. „რამდენადაც ცხოველი პატარაა, მით მისი ტანის ზრდა-განვითარება ჩქარა ხდება“ (რუბნერი), საიდანაც გამოდის, რომ წვრილ ცხოველთა სიცოცხლე უფრო მოკლე უნდა იყოს, ხანგრძლივობა მათი ნაკლები. ეს წესი, რომელიც მთლად შეთანხმებულია ენერგიის დახარჯვის პრინციპთან. მტკიცდება ფაქტების მთელი რიგით.

ამ სახით, წვრილი ძუძუმწოვარნი, როგორც ჩვენი მღრღნელები (თაგვები, ვირთაგვები, ზღვის ღორები და სხვ.), სცოცხლობენ ნაკლებ ხანს, ვიდრე შუატანის ძუძუმწოვარნი, როგორც კატები, ძაღლები, ცხვრები, მაიმუნები და სხვ. ამ უკანასკნელთა სიცოცხლე თავის მხრივ უფრო მოკლეა, ვიდრე მსხვილ ძუძუმწოვართა სიცოცხლე, რაგორც ცხენების, რქიან საქონლის, მარტორქსი და მეტადრე სპილოსი.—ადამიანი არ წარმოადგენს ერთადერთ გამონაკლის ამ საზოგადო წესიდან. ფრინველთა შორის ასეთი გამონაკლისები ძლიერ ბევრია ცნობილი. ფრინველების ჯიშები შუატანის და წვრილ ტანისაც ხშირად სცოცხლობენ უფრო მეტ ხანს ვიდრე უველაზე დიდი ტანის ჯიშები. უველაზე საკვირველი მაგალითები ხანგრძლივობისა შემჩნეულია მტაცებელ ჯიშთა (შავარდენი, არწივი, ძერა) და თუთიყუშთა შორის. ფრინველები საერთოდ ძუძუმწოვრებზე უფრო წვრილ ტანის არიან, მაგრამ მათზე მეტ ხანს კი სცოცხლობენ. ცხადია, რომ ყოველ ნაბიჯზე შემოხვედრილ ასეთ მოვლენების ახსნა შეუძლებელია თუ რომ ადამიანი დადგეს მხოლოდ ცოცხალ არსების მიერ ენერგიის ხარჯვის საერთო კანონების თვალსაზრისზე. და ამ საკითხის უფრო ახლოთ და დაკვირვებულ გარჩევისთანავე, კაცი იძულებულია მიმართოს ცხოველთა აგებულობის უველა თვისების დაწვრილე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით შესწავლას.

სახალხო ლექციაზე, რომელიც მქონდა წაკითხული მანჩესტერში 1901 წ., მე გავ-ბედე გამოთქმა ამ კანონისა: „რამდენადაც მსხვილი ნაწლავები უფრო გრძელია, მით სიცოცხლე მოკლეა“. მსხვილი ნაწლავები წარმოადგენენ ერთ თვისებას, რომელიც ეკუთვნის ძუძუმწოვრებს. დაბალ ხერხემლიანებს და ფრინველებსაც კი ეგ ნაწილი საჭმლის სახარშავ ორგანოსი მოეპოებათ მხოლოთ პირველეოფილ მდგომარეობაში. უნდა ვიფიქროთ, რომ ძუძუმწოვრებს მსხვილი ნაწლავები გაუვითარდათ დედა-მიწის ზურგზე მათი ეოფაცხოვრების მიხედვით. ძუძუმწოვრებს არ აქვთ საზოგადოთ ისეთი მაგარი ჯავშანი, როგორიც იცავს, მაგალითად კუს მტრებისაგან და ებენი კი თავს იდწევენ მტრისაგან მხოლოდ თავისი ჩქარი სირბილის წყალობით; ებევე თვისება შველის მათ ნადირობის დროს თავის მსხვერპლის დასახწევათ.

მაგრამ საარსებო ბრძოლამ თუმცა ერთის მხრივ ხელი შეუწყო ძუძუმწოვართა მსხვილი ნაწლავების გაგრძელებას, იმ დროსვე მიიწეოდა მათი ხანგრძლივობის შემოკლებისაკენ, შედარებით დაბალ ხერხემლიანებთან.

საერთოდ ეს ფაქტი დამტკიცებულათ უნდა იქნას მიღებული. მაგრამ ამასთანავე მეტად საინტერესო გავიგოთ თუ ეგ წესი წვრილმანებშიც რამდენად მტკიცდება. ამისათვის ჩვენ შეგვიძლია ვისარგებლოთ მეტად საინტერესო ცნობებით, რომელიც შეკრებილია გელმერს მიტჩელის მემუარებში, რომელიც წარადგინა მან ლონდონის ზოოლოგიურ საზოგადოებაში (Proceedings, ივნისი 1911 წ.), ძუძუმწოვართა და ფრინველების სიცოცხლის ხანგრძლივობის შესახებ, იმ დაკვირვების მიხედვით, რომელიც მოხდენილი იყო 32 წლის განმავლობაში ინგლისის დედაქალაქის ზოოლოგიურ ბაღში. მიტჩელი აკვირდებოდა თუ რამდენი ხანი იცოცხლა ცხოველების ეოველივ ჯგუფმა, რომელნიც იმეოფებოდნენ შეძლების დაგვარათ უკეთეს პირობებში, და საერთოდ მან ადვილად განონი უკუქცეულ მიმართებისა სიცოცხლის ხანგრძლივობისა და მსხვილი ნაწლავების სიგრძის შორის. საკვირველია ის, რომ მაიმუნები, მიუხედავათ თავისი შესანიშნავი ჯგუფისა, რომელიც მათ საშუალებას აძლევს ხშირად თავიდან აიცილონ მრავალი საფრთხე, არ სცოცხლობენ დიდ ხანს. თითქმის ორი ათას ნახევარ (2429) მაიმუნიდან უველაზე ხანგრძლივი არსებობა შენიშნული იყო ერთ მაკაკიზე (Macacus rhesus), რომელმაც იცოცხლა ზოოლოგიურ ბაღში თითქმის 12 წელი (11 წ. და 11 თვე). უველა დანარჩენი მაკაკის ძველი და ახალი კონტინენტისა ვერც კი მიუღწევიათ ამ წლოვანებამდის. უნდა ადინიშნოს, რომ მაიმუნებს მსხვილი ნაწლავები მეტად აქვთ განვითარებული და წარმოადგენენ ვეებერთელა დასაკრეფ ადგილს საჭმელის ნარჩენებისათვის.

მტაცებლები ნაკლებათ განვითარებული მსხვილი ნაწლავებით სცოცხლობენ საერთოდ უფრო მეტ ხანს, ვიდრე ისეთივე ტანის ბალახის მჭამელი ცხოველები. ამ უკანასკნელთ, როგორც ცნობილია, ეგ ნაწილი საჭმლის სახარშავ ორგანოებისა გაცილებით მეტად აქვთ განვითარებული.

ძუძუმწოვართა დიდი უმრავლესობიდან, რომელთაც მიტჩელი თვალ-ყურს ადევნებდა, მან ადნიშნა ამ მოვლენის სულ რამოდენიმე გამონაკლისი. იგი ეხებოდა მაჩვ-ზღარბს, თრიოინას და ზოგი კენგურუს Phascolomys და ზოგი Phalangeridae), რომელნიც თავის მსხვილი ნაწლავების სიგრძის მიუხედავათ, განირჩევიან შედარებითი ხანგრძლივობით. ჩვენც სრული უფლება გვაქვს გავიკვირვოთ, რომ ამ გამონაკლისთა რიცხვი ასე მცირეა. უნდა მივაწეროთ ასეთების სპილოტ თუ არა? თურმე ხანგრძლივობა, რომელსაც მას უწინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დელ დროს აწერდენ, სიმართლეს არ შეეფერება. ინდო-ჩინეთის მკვიდრი მცხოვრებნი ირწმუნებიან, რომ სპილოს შეუძლია 150 წელი იცოცხლოსო, მაგრამ სწორი დაკვირვებანი არ ამართლებენ ამ აზრს. მიტჩელი სპილოს საშუალო წლოვანებათ სთვლის 30 წელს და თქვრობს, რომ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში მას შეუძლია 100 წლამდის იცოცხლოს. იმისდა მიუხედავათ, რომ სპილო ადვილი მოსაშინაურებელია, არც ზოოლოგიურ ბაღებში, არც საერთოდ მოშინაურებულს მას არასოდეს არ მიუღწევია ზემომოყვანილ საარაკო წლოვანებამდის.

განსხვავება ძუძუმწოვართა და თრინველთა სიცოცხლის ხანგრძივობის შორის საზოგადოთ ძლიერ დიდია. თუთიუუშები, რომელნიც თრინველთა შორის შეედრებიან მაიმუნებს, უკვე არიან შესწავლილი ამ მხრივ. იმ დროს, როცა ისე ადვილად მოსაშინაურებელი მაკაკების ეოთვნა ლონდონის ზოოლოგიურ ბაღში არასდროს არ გაგრძელებულა 12 წელიწადზე მეტი, სპილოებს კი არ უცოცხლიათ 24 წ. და 2 თვეზე მეტი, ერთმა თუთიუუშმა (Coracopsis vasa) იცოცხლა იქ 54 წელი, და იგი კიდევ არ წარმოადგენს უველაზე ბებერ ნიმუშს ამ ოჯახიდან. ცნობილია თუთიუუშები 75, 90 წლისა და მეტისაც.

დიდი ხანი არ არის, დაბეჭდილი იყო სურათები ერთი თუთიუუშისა სიდნეის მიდამოებიდან, რომელმაც მიაღწია 117 წლამდის. დიდი წლოვანობას თრინველთა სამეფოში მიაღწია მხოლოდ ერთმა ძერამ (Nephron perempterus) შემბრუნენის ზოოლოგიურ ბაღში, რომელმაც იცოცხლა 118 წელიწადი და შავარდენმა, ბაიერსტის მიერ დასახელებულმა, რომელიც მოკვდა 162 წლისა. თრინველთა შორის შესანიშნავი თვისი სიცოცხლის ხანგრძლივობით ჩვენ შეგვიძლია ადგნიშნოთ კიდევ უვავი (69 წ.), გარეული ბატი (80 წ.), შინაური გედი (70 წ.) და ყანჩა (60 წ.).

ბატარა ჩიტებსაც კი ხვდებათ წილად შედარებით ხანგრძლივი არსებობა: ასე, იადონის შენახვა 20 წლამდის მოახერხეს, ნარჩიტასი 25 წლამდის.

გ. მიტჩელის დაკვირვებებმა საერთოდ დასამოწმეს კანონი უკუქცეულ მიმართებისა სიცოცხლის ხანგრძლივობის და მსხვილი ნაწლევების სიგრძის შორის, როგორც თრინველთა სამეფოში, აგრეთვე ძუძუმწოვრებშიც.

ამ შემთხვევაში მეტად საინტერესო არიან ძუძუმწოვარნი, რომელნიც ცხოვრობენ თრინველებსავით და თრინველები, რომელნიც ეწევიან ცხოვრებას ძუძუმწოვრებსავით. დამურები, რომლებსაც აგებულობა ნამდვილი ძუძუმწოვრებისა აქვთ, გაირჩევიან მაინც იმათგან ცოტაოდენი თვისებებით, რაც მათ ახლოვებს თრინველებთან. მათი საჭმლის სახარშავ ორგანოებს ძალიან სუსტად აქვს გაზიდილი მსხვილი ნაწლევები, რაც უკარგავს საშუალებას ნაერის დაკრებისას და აიძულებს ხშირად გამოუარონ იგი გარეთ. და დამურების ხანგრძლივობაც (თვაქტი დამტკიცებული მიტჩელის მიერ) გაციდებით მეტია ძუძუმწოვართა ხანგრძლივობაზე, რომელნიც ტანის სიდიდით ეთანაბრებიან მათ.

თრინველთა შორის ზოგს თუმცა თრთები აქვთ, მაგრამ არ თრინავენ და ცხოვრობენ მიწაზე და ამიტომაც ისეთივე სათრთხე მოელით ხოლმე, როგორც ძუძუმწოვრებს. იგინი თვისი ჩქარი სირბილის წყალობით თავს ითარავენ მტრებისაგან. ამ პირობებში საჭმლის ნარჩენები გროვდება მსხვილ ნაწლევებში, რომელიც მათ ძლიერ განვითარებული აქვთ ბრმა ნაწლევებთან ერთად. თუ მივიღეთ კანონად, რომ მსხვილ ტანა ცხოველებს მეტი ხანგრძივი სიცოცხლე აქვთ, ვიდრე პატარა ტანისას, უნდა დაგვენახა, რომ შორბინად თრინველებს, რომელნიც უმეტეს შემთხვევაში დიდი ტანისა არიან, უნდა ეცოცხლათ დიდ ხანს. ნამდვილათ კი სრულიად

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინააღმდეგი ხდება. უკვე დიდი ხანია შემჩნეული ის გასაოცარი მოვლენა, რომ სირაქლემები, რომელნიც ტუვეობას ასე ადვილათ ეჩვევიან, განიჩენიან შეადარებით უფრო წვრილ ტანის თრინველებისაგან თვისი სიცოცხლის ხანმოკლეობით.

მივიღეთ თუ არა მნიშვნელობა ამ ფაქტისა ჩვენ შევეცადეთ შეგვეკრიფა რაც შეიძლება მეტი ცნობა ამ საკითხის შესახებ. ადგილის ბოტანიკური ბაღის დირექტორის რიგერის დაკვირვებით სირაქლემების მოშენების უმთავრეს ცენტრში კაპლანდიაში თრინველების მოშშენებლების ცნობებით, რომელიც ჩვენ მივიღეთ ლეონ ბოდლაკის წყალობით, სჩანს, რომ „სირაქლემების ბუნებრივი სიკვდილის ხანი იხდვა 30 და 40 შორის და მეტი ხანგრძლივობის მაკადითები წარმოადგენენ იშვიათ გამონაკლისს“. ერთი ამ სქმის მეტად მცოდნე და სანდო პირი ლონდონში ამტკიცებს, რომ „შესაფერ სანიტარულ პირობებში სირაქლემები სცოცხლობენ 35 და 40 წლამდე, ხანდახან კი გარდავლენ 50 წელსაც. ეგ ცნობაც მივიღე ბოდლაკისაგან. მიტჩელის ცნობით სირაქლემებს ლონდონის ზოოლოგიურ ბაღში არ უცოცხლიათ 4 და 8 წელზედ მეტი. მორბენალ კვლაინდან ყველაზე მეტი ხანგრძლივობისა მის მიერ იყო ადნიშნული ერთი ავსტრალიის კაზუარი, რომელმაც ტუვეობაში 14 წელიწადი იცოცხლა. ნანდუ ანუ ამერიკული სირაქლემები (Rhea americana) აგრეთვე არ სცოცხლობენ დიდ ხანს. დიუბრეილს მის პარკში მელენში ჰყავს ერთი 30 წლისა. ლაულეზი ბუენოს-აირესში მცოდნე და სანდო პირების ცნობების მიხედვით ფიქრობს, რომ ნანდუ სცოცხლობს 20 წელზე მეტს. რაგორი განსხვავებაა ხანგრძლივობაში ამ დიდტანა მორბენალ თრინველებისა და უფრო პატარა ტანის თრინველებ შორის, როგორც შავარდნები, მტაცებელნი და თუთიყუშები! და იმავე დროს, როცა მორბენალთ აქვთ დიდი ზომის ბრმა ნაწლავი და დიდი მსხვილი ნაწლავი, ეს ორგანოები ხანგრძლივ თრინველებს მეტად მცირე აქვთ. რასაკვირველია, რომ მსხვილი წელები კი არ უწყობენ ხელს სიცოცხლის შემოკლებას,—ეგ სრულიად დამოკიდებულია მათი შენაცვალებიდან, რომელშიც იმეოფება აუარებელი მიკრობები, ეგ საწამლავების ნამდვილი გამჩენნი. ჩვენს დაბორატორიაში მომხდარ გამოკვლევებიდან სჩანს, რომ მორბენალ თრინველების მსხვილი ნაწლავები ასაზრდოებენ ძლიერ მრავალგვარ მიკრობების ფლორას, იმ დროს, როცა თუთიყუშებს ნაწლავების მიკრობები ცოტა მოეპოებათ. და არც არის გასაკვირველი, რომ ამ პირობებში მორბენალ თრინველებს თავიანთ მიკრობების სიმრავლის წყალობით ქრონიკული მოწამლვა ხვდათ წილად და ნაკლებს სცოცხლობენ, ვიდრე თრინველები, რომელთაც ნაკლებათ აქვთ განვითარებული მსხვილი ნაწლავები ძლიერ ცოტა მიკრობებით დასახლებული. ასეთივე განსხვავება შემჩნეულია დამურებში, რომელნიც ძლიერ ღარიბნი არიან ნაწლავების ბაქტერიებით და ხმელეთის ძუძუმწოვართა შორის, რომელთაც ეგენი აუარებელ რიცხვისა ჰყავთ.

ვინაიდან სიცოცხლის შემოკლება დამოკიდებულია საწამლავებისაგან, რომელნიც შემუშავებულია ნაწლავების მიკრობების მიერ, ამიტომაც ჩვენ უფლება გვაქვს ვიგულისხმოთ, რომ ნაწლავების ბაქტერიების შხამიანობის სიძლიერე შეიძლება მოგიხმარონ ასახსნელათ იმ განმარტებისა საზოგადო კანონიდან, რომელნიც ჩვენ მიერ იქმნენ მოყვანილი მიტჩელის ცნობების მიხედვით. და მართლაც, ჩვენ ადმოგაჩინეთ, რომ მიკრობები თრითინასი, რომელიც ტეის და სხვაგვარი თხილნიგეზებით იკვებება, უშვებენ სრულიად მცირედი საწამლავების სუფნელოვან—სერიიდან (ინდოლი და ფენოლი), რომელნიც ქრონი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულ მოწამლვის უმთავრესი გამომწვევი არიან. სპილოს ნაწლავების შესცავში, გამოკვლევებით, რომელიც ჩვენ ლაბორატორიაში იყო მოხდენილი, აღმოჩნდა მრავალი რიცხვი ისეთი ბაქტერიებისა, რომელნიც წინააღმდეგობას უწევენ დალპობის პროცესს, რომელიც სხვაგვარ ბაქტერიების მიერ არის ხოლმე გამოწვეული.

მაშასადამე მეტად მოსალოდნელია, რომ კანონი უკუქცეულ მიმართებისა სიცოცხლის ხანგრძლივობისა და მსხვილი ნაწლავების სიგრძის შორის მომავალში მოიპოვებს უფრო და უფრო მეტ დამამტკიცებელ საბუთებს.

გ. კოკოჩაშვილი

არითმეტიკის ჩარჩო *)

სკოლაში ყველა საგნებზე უფრო ძნელი, ჩემი აზრით, არითმეტიკის სწავლებაა. ეს საგანი მეტს ენერგიას თხოულობს, როგორც მასწავლებლის, აგრეთვე მოწაფეებისაგანაც.

ხშირია მაგალითები, რომ ამ საგანს ჯეროვნათ ვერ ითვისებენ მოწაფეები, რის გამოც ბევრნი არა თუ ამ საგანს სკოლასაც სტოვებენ. ხოლო დანარჩენები საგრძნობელო შედეგებს ვერ აღწევენ ამ საგანში. ასე მაგალითათ: ბავშებს უჭირთ ანგარიში ოცამდის პირველ განყოფილებაში და ასამდის—მეორეში.

ჩემი აზრით, ასეთი მცირე ნაყოფი მარტო მასწავლებლის უხერხულობით არ ხდება. უმეტეს ნაწილათ ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ იმ ხელსაწყოებში ან სახელმძღვანელოებში, რომელნიც იხმარებიან ამ საგნის შესასწავლად. არითმეტიკული ყუთი და შვიდური საანგარიშო თავისთავათ ისეთ სახელმძღვანელოს წარმოადგენენ, რომელზედაც დამყარებულია მთელი სიმძიმე მაცადინობისა რომელიც მასწავლებელს აწვება, ხოლო, შედარებით, ბავშვების მცირე მონაწილეობას ითხოვს მეცადინობაში. მასწავლებელი იძულებულია განუშორებლათ იდგეს საანგარიშო ხელსაწყოსთან, თვითონ უნდა უჩვენოს, გაუსწოროს, ხოლო მოწაფეს არ შეუძლია თავისთავათ იმეცადინოს უმასწავლებლოთ. არ შეუძლია მოწაფეს ისარგებლოს სახელმძღვანელო ადგილიდგან თავისთავად მეცადინეობის დროს, მაგ. როდესაც ეძლევა ამოცანები რიცხვით მაგალითებზე, ადგილიდგან მათ არ შეუძლიანთ გაარჩიონ რიცხვები საანგარიშო საახელმძღვანელოებზე, რომ გააკეთონ სასურველი კომბინაცია. ხსენებულს სახელმძღვანელოებზე მეცადინეობა მეტათ მოსაწყენია არა თუ მარტო მოწაფისთვის, თვით მასწავლებელსაც ჯეროვანის ხალისით ვერ იზიდავს.

ასეთს პირობებში, ცხადია, საგნის სწავლება თვალსაჩინოდ ვერ იწარმოებს.

---

*) ვბეჭდავთ ამ წერილს ცოტაოდენი შემოკლებით. სასურველად მიგვაჩნია ამ წერილის ავტორმა მის მიერ გამოგონილი ხელსაწყო არითმეტიკის სწავლებისა გააცნოს თვალსაჩინოთ მასწავლებელთა კრებას. სჩანს ავტორს ბევრი უფიქრია, უმუშავნია ამ საკითხში და საჭიროდაც მიგვაჩნია მისს ნაშრომს თვალსაჩინოთ გაეცნენ სახალხო სკოლის მასწავლებლები. **რედ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწავლებაში ისეთ რასმე აქვს ფასი, რომელიც ჰბადებს მასწავლებელსა და მოწაფეებში ხალისს. ზოგავს მასწავლებლის ენერგიას, მცირედის ენერგიის დახარჯვით მასწავლებლის მხრით, მოწაფეებს კი იწვევს თვითმოქმედებისაკენ, რასაც მეტი შედეგი მოჰყვება ხოლმე.

მთელი ამოცანა არითმეტიკის სწავლებისა იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვმა შეითვისოს ნათელი წარმოდგენა რიცხვზე და მის შემადგენლობაზე და შეგნებულათ ახერხებდეს მათ გადაჯგუფ-გადმოჯჯუფებას საჭიროებისამებრ და მოქმედებათა წარმოებას.

იკითხება როგორი საგნები უფრო ადვილად ემორჩილებიან სათვალავს და ანგარიშს?

ჩვენ ადვილათ ვითვლით საგნებს, ცალ-ცალკე აღებულს ჯგუფიდგან, ჯგუფში კი უფრო ძნელია მათი გარჩევა და დათვლა. მაგალითათ, დიასახლისმა რამდენ-ჯერმე დაითვალა ქათმები, მის ირგვლივ შეკრებილი საკენკისათვის, მაგრამ მაინც არ არის დარწმუნებული სწორად დაითვალა თუ არა. მინდორში სძოვენ ცხვრები თუ ღორები, ჩვენ გვიძნელდება მათი სწორი სათვალავის შეტყობა. მაგრამ სულ სხვაა როდესაც საგნები ერთმანეთს არიან დაშორებულნი სასურველ მანძილზე და თანაც დაწყობილია მწკრივად. ჩვენ ადვილათ ვითვლით ამისთანა საგნებს და უმორჩილებთ ყოველგვარ ანგარიშს, კომბინაციას. ჩვენ ადვილათ ვითვლით ტელეგრაფის ბოძებს, ჯარის კაცებს, რომელნიც მწკრივად დგანან ერთი მეორისაგან დაშორებულნი. აი ჩვენ ზევით, შორს ჰაერში მიფრინავენ წეროები, ჩვენ მათ ადვილათ ვთვლით სათითაოთ, წყვილ-წყვილათ, სამ-სამს, ოთხ-ოთხს. ეს კიდევ ცოტაა. ფრენის დროს ისინი გამოსახვენ მახვილ კუთხეს. ჩვენ ადვილათ შეგვიძლია გავიგოთ, რომელ მხარეზეა მეტი და რამდენით მეტი.

აქედგან ცხადათ სჩანს, რომ შეჯგუფული საგნები ძნელი დასათვლელია. მიუმეტეს ძნელია დაუმორჩილოთ ისინი რაიმე ანგარიშს, ხოლო საგნები გაცალკევებულნი და მასთან მწკრივად დალაგებული—ადვილი დასათვლელია და ადვილათაც ემორჩილებიან ყოველგვარ კომბინაციას. ამ გარემოებამ მომცა მიზეზი გამომეგონებია ეს ტაბულა ანარითმეტიკის ჩარჩო.

შენობა ჩარჩოსი ასეთია. ჩარჩო წარმოადგენს ოთხკუთხედს—კვადრატს. ჩარჩოში ჩასმულია ორი ფიცარი: ერთი წინაპირზეა, მეორე—უკან. წინაპირის ფიცარი სქელი ქაღალდი (კარდონი) არის. უკეთესია იყოს ლითონის ცინკის ანარკინის ფურცლის. წინა ფიცარი ტაბულისა დახვრეტილია და აქვს ასი თვალი. ეს თვლები დაწყობილია ოთხკუთხეთ—კვადრატათ, მწკრივებათ, რომლის თვლებიც დაცილებულნი არიან ერთმანეთისაგან ცნობილ მანძილით. ასე რომ ათი მწკრივი ამართული და ათი დაწვენილი—განისა. თვითოეულს მწკრივშია ათათვალი და სულ კი ასი. წინაპირის ფიცარზე გაყვანილია ხაზები: ერთი—განისა, ხაზი ჰყოფს ფიცარს ორ ნახევრათ, ქვე- და ნახევარი და ზედა; სამი ამართული ხაზი ჰყოფს ფიცარს ოთხ ნაწილათ. მარჯვნიდგან მარცხნივ, ამართულ ხაზებს შუა არის სამს განყოფილებაში სამ-სამი მწკრივი, ხოლო მეოთხეში ერთი მწკრივი. ეს ნაჩვენებია სურათზე.

დანიშნულება ჩარჩოს უკანა ფიცრისა ის არის, რომ წინაპირის ფიცრის თვლები გვიჩვენოს აფერადებული, რათა ადვილათ გავარჩიოთ მასზედ ერთეულები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთეულები, ათეულები, ოცეულები და სხვა. ამისთვის უკანა ფიცარზე, აგრეთვე როგორც წინაფიცარზე, თვლები დაწყობილია იმავე წესით. მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ ფიცრის თვლები ამოჭრილი კი არ არი, როგორც წინა ფიცარზე, არამედ შეღებილია ორი ფერადით, წითლით და შავით, ასე რომ წინაპირის თვლებიდგან ცხადათ მოსჩანან ეს ფერადები, რის გამო თვლები ნაწილდება ერთეულებათ, ხუთეულებათ, ათეულებათ, ოცეულებათ და სხვა.

ხოლო ჩარჩოზე რომ ეჩვენოთ სასურველი რიცხვი ასზე ნაკლები, ამისთვის ჩარჩოს აქვს ზოლები—თვითოეულ მწკრივისას თავის ზოლი. ეს ზოლები მოთავსებულია წინა და უკანა ფიცრებსშუა. თვითოეული ამართული მწკრივის პირდაპირ ისე, რომ ამ ზოლების საშუალებით უკანა ფიცრის შეღებილი თვლები ეხურება სურვილისამებრ. ეს ზოლები, რომელთაც ერთ თავში მიმაგრებული აქვს ტყვიის ან რკინის ნაჭერი სიმძიმისთვის, მოძრაობაში მოდიან, ადიან და დადიან ძირს და მაღლა მეორე თავში მიმაგრებული ძაფების საშუალებით, რომლის (ძაფების) მეორე თავები თავის ხრით მიმაგრებულია ჯარებზე. ეს ჯარები არის ჩამაგრებული ჩარჩოს ქვემო აწილში და თვითეულს ზოლს აქვს თავისი ჯარა. ჯარის და ზოლის მოძრაობა სეა შეზომილი, რომ თვითოეული გადატრიალება ჯარისა უდრის თვლების ანძილს, ასე რომ რამდენჯერაც ჯარა ადატრიალდება, იმდენი თვალი გამოჩნდება.

ხაზებს წინაპირის ფიცარზე აქვთ თაის დანიშნულება. განის ხაზი, რომელიც ჰყოფს ფიცარს ორ ნახევრათ, იძლევა საშუალებას შევადაროთ რიცხვები ორმოცდა ათამდის და აადვილებს თვლების გარჩევას ქვედა და ზედა ნახევრებისას. ამართული ხაზების დანიშნულება არის ნუმერაციის შესწავლა.

მარჯვნიდგან მარცხნივ რომ ვთვალოთ მწკრივები, პირველი მწკრივი იქნება ერთეულები, მეორე—ათეულები, მესამე—ასეულები, მეოთხე—ათასეულები, ათი ათასეულები, ასი ათასეულები, მილიონები, ათეული მილიონები, ასეული მილიონები და მეათე მწკრივზე იქნება ბილიონები.

რუსებს აქვთ მიღებული სათვალავში ათეულების სისტემა, ჩვენ კი ოცეულების. ამისათვის, გარდა იმისა, რომ ჩარჩოზე ნათლათ არის ნაჩვენები ათეულები, ნაჩვენებია ოცეულებიც, რაც დიდათ ხელს უწყობს რიცხვების შეგნებულათ ჩვენებას და შესწავლას.

თავის შენობით ეს ხელსაწყო ისეთი ადვილია სამეცადინოდ, რომ მასწავლებლის მხრით არითხოვს საგრძნობელს შრომას, საჭიროა მხოლოთ მასწავლებელმა ხელმძღვანელობა გაუწიოს ბავშების მეცადინეობას, რომელიც ხალისიანათ წარმოებს მათ მხრივ. რამდენადაც უფრო ჩაუკვირდება მასწავლებელი ამ ჩარჩოს, იმდენად უფრო მეტს წესებს და საშუალებებს ჰპოებს არითმეტიკის სწავლების ნაყოფიერ წარმოებაში.

მარდათ სცვლის ერთ კომბინაციას მეორით, რიცხვების სულ სხვა და სხვა გვარ დაწყობით, რომლითაც დიდათ მდიდარია ეს ხელსაწყო.

ბავშვებს ძლიერ უყვართ ისეთი რისმე წარმოება, რომელშიაც ისინი ჰხედავენ რაღაც გონება მახვილობას. მასზედ მაცადინობა იზიდავს მათ არა თუ მარტო როგორც სასწავლო - სახელმძღვანელო, არამედ როგორც გასართობიც. ჯარების

საშუალებით ზოლების მოძრაობით ბავშვებს შეუძლიათ ჩარჩოზე აჩვენონ მრავალი ფიგურები კვადრატებისა, ოთხკუთხედებისა და სამ კუთხედებისა, რომლის თვლებს ანგარიშობენ და ადარებენ ერთმანეთს. ეს ანვითარებს ბავშვების აზროვნებას უმახვილებს მათ გონებას.

რაკი ეს ხელსაწყო ბავშვის გონებას იზიდავს, ამიტომ მას დიდი გავლენა აქვს სკოლაში სწავლების დროს წესრიგის დაცვაზედაც, ვინაიდგან მასწავლებელს მეტი საშუალება ეძლევა თვალყური ადევნოს მთელს კლას საერთო მუშაობის დროს. ეს ხელსაწყო საშუალებას აძლევს მასწავლებელს ერთი და იგივე კომბინაცია მოწაფეებს სხვა და სხვა სახით უჩვენოს, სხვა და სხვა მდგომარეობით, რაც არ ჰბადებს ბავშვებში მოწყენილობას და მათს გულისყურს სიხალისით იპყრობს. საათიან გაკვეთილზე მასწავლებელს შეუძლია შეასრულოს მთელი რიგი ან წყება ნაყოფიერის და გასართობის სხვა და სხვა კომბინაციებისა ანუ ვარჯიშობისა.

ნიჭიერისა და საქმეში ჩახუდული მასწავლებლისთვის არა საჭირო ჩვენება მაცადინობის წესისა ამ ხელსაწყოს მიხედვით, იმას თვითონ ჩემზე უკეთ შეუძლია მეცადინობა, მაგრამ მაინც საჭიროდ მიმაჩნია უჩვენო ზოგიერთი წესები მეცადინეობისა, რაც შემიძენია ჩემი სკოლის გამოცდილებიდგან.

პირველ დაწყებითი სწავლება არითმეტიკისა.

პირველ დაწყებითი სწავლება არითმეტიკისა იწყება მით, რომ მასწავლებელი ეცნობა თუ რომელ ბავშს რა ცოდნა აქვს სათვალავისა.

მასწავლებელი მიმართავს ბავშვებს კითხვით: ვინ იცის თქვენგან დათვლა? დამითვალე მალხაზ, გიორგი, ივანე და სხვა. უკეთესია თუ მასწავლებელი ყველას ჰკითხავს, რომ შეიტყოს თუ რომელი უფრო სუსტობს, რომ მეტი ყურადღება მას მიაქციოს. მასწავლებელი ჰხედავს, რომ ყველა ბავშვები ერთნაირათ ვერ ითვლიან. ზოგი მათგანი ითვლიან ათამდის და მეტსაც და ზოგს კი ათამდისაც უძნელდებათ. რომელნიც ითვლიან, შეგნებულათ თვლა არც იმათ იციან. იმათ იციან მხოლოთ სათვალავი სიტყვების დაწყობა რიგზე. ეს აშკარავდება, როდესაც მასწავლებელი ათვლევინებს მათ საგნებს.

მასწ. ამ სკოლაში რამდენი ბუხარია?

მოწ. ერთი. (რასაკვირველია მასწავლებელმა უნდა მოითხოვოს სრული პასუხი).

მას. მალხაზ, რა გაქვს შენ ერთი?. მ. თავი, ცხვირი, პირი, ნიკაბი და სხვა. მას. ივანე, რა გაქვს შენ ორი? მოწ. მე მაქვს ორი: ხელი, ფეხი, თვალი, ყური და სხვა. მას. გიორგი, რამდენი კარი აქვს ამ ოთახს? მოწ. ორი. მას. დამითვალე. მოწ. ერთი, ორი. მას. ფანჯარა რამდენია აქვს ამ ოთახს? დამითვალე. დამითვალე, ივანე, ამ ფანჯრის თვლები. მასწავლებელი გადადის საანგარიშო ჩარჩოზე. ჩარჩო უნდა იქნეს მიკიდებული კედელზე, ნათელ ადგილზე, პირდაპირ მოწაფეებისა. უკეთესია იქნეს ჩაკეთებული განსაკუთრებით მისთვის გაკეთებულ ფეხებიან სადგომზე, როგორც საკლასო დაფა.

მასწავლებელი გააცნობს ჩარჩოს ბავშვებს. მას. ეს არის ჩარჩო, რომელზედაც უნდა ვისწავლოთ ანგარიში, ამისთვის ამას ჰქვიან საანგარიშო ჩარჩო. რამდენი გვერდი აქ ამ ჩარჩოს? ეს გვერდია რომელი ხელისკენ? ეს იქნება რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელი გვერდი? ეს და სხვა. მოწ. მარჯვენა, მარცხენა, ზედა, ქვედა. მას. კუთხე რამდენიღა აქვს? მოწ. ოთხი. მას. მარჯვენა გვერდზე რამდენი კუთხეა? მოწ. ორი. მას. (უჩვენებს კუთხეზე) ეს იქნება მარჯვენა რომელი კუთხე? მოწ. მარჯვენა ზედა კუთხე. მას. ეს? მოწ. ეს არის მარჯვენა ქვედა კუთხე. მას. ეს? ეს? მოწ. ეს არის მარცხენა ქვედა კუთხე, მარცხენა ზედა კუთხე. მას. ეს რომელი გვერდია? ეს რომელი კუთხეა?.. რამდენი პირი აქვს ჩარჩოს? მოწ. ორი. მას. ეს იქ-



ნება ჩარჩოს რომელი პირი? მოწ. ეს იქ-ნება ჩარჩოს წინა პირი. მას. ეს? მოწ. უკანა პირი. მას. წინა პირი საანგარიშო-სი დახვრეტილია, რას ჰგავს ეს ნახვრე-ტი? მოწ. თვალს. მას. მაშ აქ ყოფილა ბევრი თვლები, როგორ არიან ეს თვლე-ბი დაწყობილი? მოწ. მწკრივათ. მას. ეს იქნება როგორი მწკრივები, (რომელიც მიდის ქვეიდგან ზევით, ან ზევიდგან ქვე-ვით). მოწ. ეს იქნება ამართული მწკრივი ანუ სიმაღლის მწკრივი. მას. ეს როგორი მწკრივი იქნება? მოწ. ეს იქნება დაწვე-ნილი მწკრივი, ანუ განის მწკრივი. მას. მაჩვენე ამართული მწკრივები, დაწვენი-ლი, ანუ განის მწკრივი. ჩვენ დავითვა-ლეთ კარები, ფანჯრები, ფანჯრების თვლები. ეს მწკრივებიც ხომ დაითვლება? მოწ. მწკრივებიც დაითვლება. მას. შალ-ვა, დამითვალე ამართული მწკრივები. ბაგრატ, შენ დამითვალე განის მწკრივე-ბი ქვეიდგან ზევით. შენ დამითვალე, ვა-ნო, ამართული მწკრივები მარცხნიდგან მარჯვნივ, მარჯვნიდგან მარცხნივ. მარცხ-ნიდგან რომ ვითვალოთ მწკრივები, ეს იქნება რომელი ამართული მწკრივი. მოწ. პირველი ამართული მწკრივი. მას. ეს? ეს?.. მოწ. მეორე, მესამე მეოთხე და სხვა. მას. მარჯვნიდგან რომ ვითვალოთ მარცხნივ, რომელი იქნება პირველი ამართული მწკრივი? მეორე? მეხუთე და სხვა. ქვევიდგან რომ ვითვალოთ ზევით ეს იქნება რომელი განის მწკრივი? ეს? ეს?.. მოწ. პირველი, მეორე, მესამე. და სხვა... მას. ზევიდგან თუ ვითვლით, მა-შინ რომელი იქნება პირველი განის მწკ-რივი? მეორე? მესამე?.. მაჩვენე, თამარ,

პირველი ამართული მწკრივი მარცხნიდგან მარჯვნივ? მესამე ამართული მწკრივი მარჯვნიდგან მარცხნივ? მეხუთე განის მწკრივი ქვევიდგან ზევით? მეშვიდე განის მწკრივი ზევიდგან ქვევით? და სხვა. მას.. რამდენი ყოფილა ამ საანგარიშოზე ამართული მწკრივი? განის, ანუ დაწვენილი? მაჩვენე, თეიმურაზ, მარცხნიდგან მარჯვნივ პირველი ამართული მწკრივი დამითვალე ქვევიდგან ზევით, რამდენი თვალია ამ მწკრივში? (ამ მაცადინობის დროს მოწაფეს უჭირავს ხელში მოგრძო წნელი, ანუ ჯოხი და ჯოხით უჩვენებს, რასაც თვალს ადვილად ადევნებენ და მასთან ერთათ ითვლიან დანარჩენი მოწაფეები) მას. დამითვალე, სოლომონ, მესამე ამართული მწკრივის თვლები ქვევიდგან ზევით, ზევიდგან ქვევით. დამითვალე პირველი განის მწკრივის თვლები მარცხნიდგან მარჯვნივ. მეექვსე განის მწკრივის მარჯვნიდგან მარცხნივ. რამდენ რამდენი თვლები ყოფილა თვითეულ მწკრივში? დამითვალე, ბიძინა, პირველი ამართული მწკრივის თვლები ქვევიდგან ზევით. მოწ. ითვლის; ერთი, ორი... რვა. (მასწავლებელი აჩერებს), რამდენი დარჩა დასათვლელი ათამდის? წითელი რამდენი თვალი დაითვალე? შავი? ამ რიგათ ათვლევინებს სხვებსაც და თვლის დროს აძლევს ზემოთ მოყვანილ კითხვებს, რათა ხავშვს შეგნებულათ ექნეს წარმოდგენა ერთეულების ჯგუფებზე, რომელნიც შედიან ათში. შემდეგ მასწავლებელი მთელ კლასს ერთათ ათვლევინებს ერთ ხმათ. დავითვალოთ ყველამ ერთ ხმათ. ჩემს ნიშანს უცქირეთ და სანამ ჯოხით არ გიჩვენებ თვლებს, მანამდის არ უნდა თქვათ სათვალავი. მასწავლებელი რიგრიგათ აყოლებს ჯოხს თვლებს და მასთან შეუძლია ჩქარა ათვლევინოს თვლები, შეუძლია გვიან ჯოხის ჩქარის თუ ნელის მოძრაობის მიხედვით.

ამ ვარჯიშობას მასწავლებელი განიმეორებს რამდენჯერმე, შემდეგ, როდესაც მასწავლებელი დარწმუნდება, რომ ბავშვებმა შეგნებულათ შეითვისეს პირდაპირი თვლა გადადის შემდეგ ვარჯიშობაზე. მაჩვენე, გიორგი, პირველ ამართულ მწკრივზე, ქვევიდგან ზევით, სამი თვალი? ხუთი? შვიდი? ცხრა? ექვსი? ორი? რვა? და სხვა. შემდეგ მასწავლებელი ჯოხით უჩვენებს ათ თვალს. ეს რამდენი თვალი იქნება? მოწ. ათი. შემდეგ ჯოხს აყოლებს ქვევით და თითო თითოს აკლებს. ეს? ეს? ბავშვები ითვლიან ცხრა, რვა შვიდი და სხვა. ჩვენ აქამდის ვითვალეთ პირდაპირი სათვალავით ან წინ თვლით. ახლა ვინ დამითვლის შებრუნებული სათვალავით ან უკანთვლით. მოწაფეები ითვლიან ჯერ თითო-თითო და შემდეგ ერთ ხმათ მასწავლებლის ნიშან მიცემით. ამ გვარი ვარჯიშობით ბავშვები, მე მგონია, შეგნებულათ შეითვისებენ თვლას პირდაპირს და შებრუნებულს და შეგნებულათაც უჩვენებენ ცალკე ერთეულების ჯგუფებს აღებულს რიცხვში ათში.

მეცადინობა ბავშვებისთვის. ამ წესით, არ უნდა იქნეს არც მოსაწყენი, არც სამძიმო, რადგანაც მეცადინობა მრავალფეროვანია და არ ღალავს არც მასწავლებელს, არც მოწაფეებს ერთფეროვნობით. შემდეგ მასწავლებელი გადადის ოთხ მოქმედებაზე, პირველ რიგში იქნება, რასაკვირველია, შეერთება.

შეერთება.

მას. გამოდი, გიორგი, და დადექი ბუხრის ახლოს. მოწაფე გამოდის. რამდენი მოწაფე დგას ბუხართან? მოწ. ერთი. მას. დავით, შენც დადექი გიორგის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან. მოწაფე დგება. ახლა რამდენი მოწაფე დგას ბუხართან? მოწ. ორი მას. რამდენი იყო წინად? მოწ. წინად იყო ერთი. მას. რამდენი მიემატა? იყო ერთი, მიემატა კიდევ ერთი, შეიქნა რამდენი? შიო, შენც დადექი იმათთან და სხვა. ამ წესით მასწავლებელი განაგრძობს მიმატებას სათითაოთ ათამდის. შემდეგ მასწავლებელი აძლევს ამ გვარ კითხვებს მოწაფეებს. წინად იყო ვინმე ბუხართან? მოწ. არავინ არ ყოფილა. მას. ვინ დადგა პირველად ბუხართან? შემდეგ ვინ მიემატა? იყო რამდენი და რამდენი მიემატა? რამდენი შეიქნა? ამ გვარათ უმატებს ათამდის.

შემდეგ მასწავლებელი მიმართავს თავის სანგარიშოს. სანგარიშოს ზოლები ჩამოშობილია ასე რომ ფერადი თვლები არ სჩანან *). მას. ამ ჩარჩოზე ჩანან თუ არა თვლები? მოწ. არ ჩანან. მას. აბა უცქირეთ რავქნა. მასწავლებელი აბრუნებს პირველ ჯარას ერთს, გამოჩნდება ერთი თვალი. რა ვქენი მე ახლა? რამდენჯერ გადავაბრუნე ჯარა? რამდენი თვალი გამოჩდა? აბა ახლა უცქირეთ, საიდან საითკენ გადავაბრუნო ჯარა? მასწავლებელი აბრუნებს მეორე ჯერ. საიდან საითკენ გადავაბრუნე ჯარა? მოწ. მარცხნიდგან მარჯვნისკენ. მას. რამდენი თვალი სჩანს? შემდეგ მასწავლებელი უხსნის და თან უჩვენებს ჯარების ტრიალის წესს, რომელნიც მარცხნიდგან მარჯვნივ ტრიალით უჩვენებს თვლებს, ხოლო მარჯვნიდგან მარცხნივ-ხურავენ თვლებს. ბავშები ვარჯიშობენ ჯარების ტრიალში და როდესაც შეგნებულათ მიეჩვევიან, (რაც საძნელო არ არის) მასწავლებელი განაგრძობს მეცადინეობას ამ სახით- სჩანან თუ არა თვლები საანგარიშოზე? მოწ. არა. მას. მაჩვენე, თამარ, ერთი თვალი პირველ ამართულ მწკრივზე მარცხნივ. მოწ. აჩვენებს ჯარის საშვალებით ზოლის მაღლა აწევით. რამდენი თვალი გვაჩვენა თამარმა? მიუმატე, გიორგი, მაგ თვალს ერთი თვალი იმავე მწკრივზე. რამდენი თვალი გახდა. მიუმატე კიდევ იმავე მწკრივზე, თომა, ერთი თვალი. რამდენი თვალი იყო სანამ თომა მიუმატებდა? ორ თვალს თომამ მიუმატა ერთი, შეიქნა რამდენი თვალი? რამდენი თვალი იყო სანამ თომა მიუმატებდა? თომამ მიუმატა ორ თვალს ერთი, გიორგიმ მიუმატა ერთი რამდენს? თამარმა რაღას მიუმატა ერთი თვალი? მოწ. არაფერს. მაშ ასე ვსთქვათ: თამარმა მიუმატა ერთი რას? მოწ. არაფერს. მას. შეიქნა რამდენი? გიორგიმ მიუმატა ერთი რამდენს? თომამ? ამ წესით უმატებენ თითოთითოს ათამდის. ვინ მეტყვის აბა როგორ უმატეთ ჩვენ თვლები? პირველათ იყო რამე? მოწაფეები გაიმეორებენ ნაჩვენებ ვარჯიშობას. ამავე ვარჯიშობას მასწავლებელი აჩვენებს ათსავე მწკრივზე. მაჩვენე პირველი ამართული მწკრივი მარცხნივ. არის რამე მაგ მწკრივზე? მოწ. არაფერი არ არის. მას. არაფერს მიუმატე მაგ მწკრივზე ერთი თვალი. მოწაფე უჩვენებს ერთ თვალს. მას. მაჩვენე ერთი თვალი მეორე ამართულ მწკრივზე. მიუმატე მაგ თვალს ერთი თვალი. რამდენი თვალი შეიქნა? მოწ. ორი. მას. მაჩვენე მე რომელსამე მწკრივზე ორი თვალი. მიუმატე ერთი თვალი. რამდენი თვალი გახდა? მოწ. სამი. მას. მეოთხზე მაჩვენე სამი. მიუმატე ერთი, რამდენი თვალი გახდა?.. ამ წესით მასწავლებლის ხელმძღვანელობით მოწაფეები უმატებენ თითო-თითოს ათამდის მივიღებთ 1 10 10. ვინ მომი-

*) თეთრი თვლები მაინც სჩანან, რაც საშვალებას იძლევა ადვილი ანგარიშისთვის.

ყვება როგორ მიუმატეთ თითო-თითო ახლა? საანგარიშოს უცქირეთ და ისე მიანგარიშეთ. მოწ. არაფერს მიუმატოთ ერთი, იქნება ერთი. ერთს-ერთი, იქნება ორი, ორს ერთი, იქნება სამი...

მოწაფეები გაიმეორებენ ამ ვარჯიშობას ჯერ მარცხნიდგან მარჯვნივ, შემდეგ მარჯვნიდგან მარცხნივ შებრუნებულათ. ამავე ვარჯიშობას მასწავლებელი აძლევს საწერათ თავის თავად სამეცადინოთ ზემოთ ნაჩვენების წესით. მოწაფეები ჰხედავენ ამ ანგარიშს ხელსაწყოზე და არ უძნელდებათ სისწორით შეასრულონ მიცემული სამუშაოვარი.

შემდეგ მასწავლებელი აძლევს ამ გვარ სავარჯიშოს. მაჩვენე პირველ ამართულ მწკრივზე ერთი თვალი. რომ გითხრან ერთ თვალს მიუმატე არაფერიო, რას იზამ? მიემატება არაფერი? მოწ. არ მიემატება. მას. ერთს მიუმატე არაფერი. იქნება? მოწ. ერთი. მას. მაჩვენე მეორე მწკრივზე ერთი თვალი. მიუმატე ერთი. იქნება? მოწ. ორი. მას. მესამეზე მაჩვენე ერთი თვალი, მიუმატე ორი. იქნება? მეოთხეზე ერთი, მიუმატე ორი, იქნება? მეოთხეზე ერთი. მიუმატე სამი. იქნება? მეხუთეზე ერთი... თვითოეულ მწკრივზე იღებენ თითო თვალს და უმატებენ სამს ოთხს, ხუთს და სხვას ათამდის. მივიღებთ 1—10—10. აბა მომიყევით როგორ ვიმუშავეთ? მოწ. ერთს მიუმატოთ არაფერი, იქნება ერთი. ერთს მიუმატოთ ერთი იქნება ორი. ერთს მიუმატოთ ორი. იქნება სამი. ერთს სამი... როგორც ნაჩვენებია საანგარიშოზე. დამიწერეთ ეს ანგარიში ჯერ მარცხნიდგან მარჯვნივ, მიყოლით, მერე მარჯვნიდგან მარცხნივ. მიმატება ორ ორის, სამ სამის, ოთხ ოთხის და სხ.

მაჩვენე პირველ ამართულ მწკრივზე ორი თვალი. შენ მაჩვენე მეორე ამართულ მწკრივზე ორი. მოწაფეები აჩვენებენ. ვინ მეტყვის რამდენი თვალია სულ ორსავე მწკრივზე, მოწ. ოთხი. მას. ვინ დამიწყობს ამ თვლებს პირველ ამართულ მწკრივზე? რამდენი თვალია პირველ მწკრივზე? კიდევ რამდენი უნდა მიუმატოთ? მიუმატე. რამდენი შეიქნა? ოთხს მიუმატოთ ორი? და სხ... ათამდის. ამავე ვარჯიშობას მასწავლებელი უჩვენებს სხვა გვარათ. მაგ. პირველ მწკრივზე ორი. მეორეზე ორს მიემატება ორი, მესამეზე ოთხს მიემატება ორი, მეოთხეზე ექვს ორი, მეხუთეზე რვას ორი. 1—5—5 ამ გვარადვე უმატებენ სამ სამს, ოთხ ოთხს და სხ...

მასწავლებელი აძლევს ამოცანებს, აღებულს ცხოვრებიდგან. ბებიამ მისცა თინას სამი კვერცხი, ნინას—ოთხი, რამდენი კვერცხი მიულია ორივეს? რასაკვირველია ამოცანა უნდა გაიმეორონ ბავშებმა და კარგათ შეითვისონ მისი შინაარსი. რა უნდა ვქნათ, რომ გავიგოთ ორივემ რამდენი კვერცხი მიიღო? მოწ. უნდა შეეერთოთ. მას. შეაერთეთ, ვინ მეტყვის რამდენი კვერცხი მიულია ორივეს? თინა, შენ რამდენი კვერცხი მოგცა ბებიამ? მაჩვენე სამი თვალი პირველ ამართულ მწკრივზე. მოწაფე უჩვენებს. ვსთქვათ ეს კვერცხებია. შენ რამდენი კვერცხი მოგცა ბებიამ ნინა? მაჩვენე ოთხი თვალი მეორე ამართულ მწკრივზე. რა უნდა უყოთ ამ თვლებს? მოწ. უნდა შეეერთოთ. მას. უნდა შეეერთოთ, ან უნდა მიუმატოთ ერთმანეთს. როგორ შეეერთოთ? გახსოვსთ როგორ მიუმატეთ ორ ორი? მოწ. ეს თვლები უნდა დავაწყოთ პირველ ამართულ მწკრივზე. მას. აბა დაიწყეე. რამდენი იყო პირველათ? ეხლა რამდენი მიუმატე? სულ რამდენია, დათვალე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებელმა უნდა მოითხოვოს, რომ ყველა ამოცანები, რომელსაც მისცემს მასწავლებელი გამოსაცნობათ, უნდა იანგარიშონ მოწაფეებმა ხელსაწყოზე, რათა დარწმუნდნენ თავის სწორ პასუხში და თანაც უსაქმოთ არ გაჩერდნენ, რაც ხშირათ ხდება, როდესაც ბავშები ვერ ხვდებიან ამოცანის სწორ პასუხს. შეიძლება ზოგი მასწავლებელი წინაღმდეგი იყოს ამ აზრის. უნდა ზეპირათ იანგარიშონო, მაგრამ ეს დიდი შეცდომა იქნება. ვაჭრები და მოანგარიშენი—ბუხგალტერები მცირედ ანგარიშისთვისაც კი საანგარიშოს მიმართავენ ხოლმე, მაგრამ ეს ამას არ ნიშნავს, რომ იმათ ნაკლებათ იცოდნენ ზეპირი ანგარიში. შემდეგ მასწავლებელი იძლევა ამგვარ სავარჯიშოს. მაჩვენე პირველ ამართულ მწკრივზე რვა თვალი. მეორეზე—ხუთი, მესამეზე—ცხრა, მეოთხეზე—შვიდი, მეხუთეზე—ორი, მეექვსეზე—ცხრა, მეშვიდეზე—ორი, მერვეზე—სამი, მეცხრეზე—ოთხი, მეათეზე—ერთი. რამდენი თვალია პირველ მწკრივზე? რამდენი უნდა მიუმატოთ, რომ იქნეს ათი? მეორეზე? მესამეზე და სხვ... დამიწერეთ ეს ანგარიში, როგორც ნაჩვენებია საანგარიშოზე ამ წესით, როგორც ეხლა ვიანგარიშეთ. ამ სავარაჯიშოს შესაფერ ამოცანებს აძლევს მასწავლებელი. მაგ. ხეზე აბია რვა ვაშლი. შალვამ მოკრიფა სამი, კიდევ რამდენი უნდა მოკრიფოს?

შეფარდება რიცხვებისა.

გამოდი, გიორგი! გამოდი, აკაკი! დაეტოლეთ ერთმანეთს, როგორი ყოფილან გიორგი და აკაკი? ტოლები, სწორები, თანატოლნი, თანასწორნი. გამოდი ნიკო! დაეტოლე გიორგის. როგორი ყოფილან გიორგი და ნიკო? ყოფილან თანტოლნი ანუ თანასწორნი? მოს. არა. მს. რომელი მეტია? სადამდის ადგია გიორგი ნიკოს? ყელამდის. რითი ყოფილა მეტი ან წამეტებული ნიკო გიორგიზე? თავით. მაჩვენე, გიორგი, პირველ ამართულ მწკრივზე ხუთი თვალი. შენ, აკაკი, მეორე ამართულ მწკრივზე იმდენივე რამდენიც აქვს გიორგის. რამდენი აქვს გიორგის? აკაკის? მათ აქვს თვლები როგორ? თანასწორათ. ხუთი თანასწორია ან ეთანასწორება ხუთს. მიუმატე კიდევ. აკაკი, შენ თვლებს სამი. რამდენი აქვს აკაკის? გიორგის? რომელს აქ მეტი? რამდენით გადაამეტა აკაკიმ გიორგიზე? სამით. მაშ გიორგიზე მეტი ქონია აკაკის რამდენით? სამით. მაჩვენე, მალხაზ, რამდენი, რომ მეტი გექნეს, მალხაზზე ორით. რამდენი აქვს ვახტანგს? ცხრა მეტია შვიდზე, რამდენით?

მასწავლებელი აძლევს შესაფერ ამოცანებს, რომელზედაც პასუხს შეასწორებს საანგარიშოზე და სხვა. აგრეთვე სწარმოებს შეფარდება რიცხვების მეტ-ნაკლებების კვალობაზე და სხვა მრავალი სავარაჯიშოები.

ი-ა ჯ—ძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულთამხუთავი გაზი და მისგან თავის დაცვა

სულთამხუთავი გაზის მოქმედება ორგანიზმზე.

როგორც სახელწოდებიდან სჩანს გაზი უმთავრესათ სასუნთქავი ორგანოებზე მოქმედებს; სასუნთქავ მილზე, ბრონხებზე, ფილტვებზე, მილის ლორწოიანი კარსი ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინოინ, საშინელი სიფიქრებელია, მაგრამ უნდა მოველოდეთო. ჩემის აზრით ეს დიდათ გაზვიადებულია, და აქაც, როგორც ყოველგან ჯუმარიტება ამ ორ უკიდურეს აზრთა შუაშია.

თავის დაცვა. მაგნე გაზისგან თავის დასაცავთ მიმართავენ მასიურ და ინდივიდიალურ საშუალებას. პირველი არ არის ისე ხელსაყრელი და საიმედო, როგორც უკანასკნელი, მაგრამ საჭირო მოკლეთ მასაც გავეცნოთ. მასიური დაცვაში დიდი სამსახური გაგვწია ცეცხლმა და წყალმა. ცეცხლის მოქმედება ორგვარია იმისდა მიხედვით, თუ როგორი მასალა იწვის. მაგალ. თუ მშრალი, გამხმარი შეშა იწვის, მაშინ ჭაერი თბება, გამთბარი კი ზევით იწევს და მაშასადამე საწამლავიც თან მიაქვს. მაგრამ თუ ნედლი რამ იწვის, მაშინ მისი მოქმედება ქიმიკურია— მაგნე გაზი უძლური ხდება, რადგან უერთდება კვამლს, რომელშიაც ურევია ამიაკი და სხვა წებოიანი ნივთიერება. წყალიც სამსახურს ორნაირად გვიწევს: რადგან ქლორს წყალი იზიდავს, ამიტომ საჭირო იმ ადგილას, სადაც მოველით მტრისგან გაზს, გავიუგანოთ ნახევარი—ერთ არშინი სიდრმით, ხოლო ძალიერ თვრთე თხრილი და ეს ავავსოთ წყლით, აგრეთვე სანგრებში დავკიდოთ დასველებული შინელი, ზეწარი და რამ სხვა ტილო. მეორეში წყალი, რომელიც ჭაერშია, როგორც უხიდავი ორთქლი ქლორი უერთდება და წვრილმანი ნისლის წვეთით ძირს ეცემა. (ამიტომაც წვიმაში გაზს არ უშვებენ).

გარდა ცეცხლისა და წყალის, ხანდისხან მიმართავენ ისეთ ქიმიური ნივთიერებათ, რომელნიც მაგნე გაზთან შეერთების შემდეგ იძლევიან მესამე ნივთიერებას სრულათ უგნებელს. მიუხედავთ ამდენი მასიურ საშუალებისა, მაინც საუკეთესო თავის დასაცავთ ცნობილია პირბადე და სათვალეები, ე. ი. ინდივიდუალური საშუალება. ინდივიდუალური ჭქვია, რადგან მხოლოთ იმ პირს იხსნის განსაცდელისგან, რომელსაც აქვს გაკეთებული. უპირატესობა ამ საშუალებისა იმაში გამოიხატება, რომ მისი ხმარება შეიძლება ყოველთვის და ყოველგანირს პირობებში, ხოლო ზემო ჩამოთვლილი მასიური საშუალება თხოულობს მტოდნე პირთ, მათთვის საკუთარ მასალას, ხარჯს, აუარებელ ხელფასს და განსაკუთრებულ პირობებს. რადგან მეორე საშუალებამ მეტი სარგებლობა მოგვიტანა, ამიტომ მისი ყოველ მხრით ტოდნა, ახლა აუცილებელია ყოველი მეომრისთვის, ამისთვის ახლა პოლკში შემოღებულია ცალკე გაკვეთილი ჯარისკაცისთვის აქიმის ხელმძღვანელობით, ამას ისეთივე ყურადღებას აქცევენ მხედრები, როგორც ნიშანში სროლას, ახლა ჯარისკაცისთვის პირბადე და სათვალეების შეძენა ისეთივე საგალდებულოა, როგორც თოფისა და ხანჯლისა. მაშ ჩვენც ვრცლად შევეხოთ.

კიდევ ორმადი მაგნე გაზთან ჭქონდა საქმე მუშებს, ქიმიური ქარხნებსა და გვირაბებში მომუშავეთ, მათ თავდასაცავად გამოგონილი იყო რესპირატორი—პირბადე და სათვალეები, მაგრამ როგორც ვიცით მუშისა და მეომრის მდგომარეობა და პირობები ერთმანეთს არ გვანან, ამიტომ პირველ ყოფილ პირბადეს დიდი ცვლილება დასჭირდა, ამრიგად ნასესხებია მხოლოდ იდეა, დანარჩენი ფიცხლავ ომის დროშია გამოგონილი და თანდათან გაუმჯობესებული.

პირველი პირბადე, რომელიც ჯარს მიაწოდეს ძალიერ მარტივი კონსტრუქციისა იყო, იგი შესდგებოდა 6—7 წყებს მარლისგან. ბოლოვოში ხმარების შემდეგ ამგვარი პირბადე გამოუსადეგარი გამოდგა. საჭირო იყო ისეთი პირბადე, რომ მასში ყოფნა ერთი საათის განმავლობაში მაინც საშიში არ ყოფილიყო. ამისთვის კი 6 თუ შვიდი წყება მარლის მიეკარება ცხვირს და პირზე არ კმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდა, რადგან როგორც ვიცით ადამიანი ნორმალურ მოძრაობის დროს საათში 600—1000 დიტრა *) ჰაერს ჩაისუთქავს ხოლმე, ამდენ ჰაერში კი 1,2—1,8 დიტრამდე სულთამხუთავი გაზი შეიძლება გაიუოს, რაც ქლორისთვის 4 გრამს შეადგენს, ხოლო, რომ ერთი გრამი ქლორისა უვნებელი გახდეს, საჭიროა 3,7 გრამი ჰიპოსულფიტისა ($Na_2 S_2 O_3 . 5 N_2 O$), მაგრამ სამწუხაროთ ამ რეაქციის დროს ჩვენ მივიღებთ გოგირდის სიმჟავეს, რაც თავის თავად საწამლავია, ამიტომ ამის დასაცხრობათ უნდა მიუმატოთ 4,2 გრამი სოდისა ($Na_2 CO_3 . SO N_2 O$). ოდეს, ჰიპოსუფიტის ნორმაზე მეტის ხმარება, თუ გვინდა, რო ქლორის ნამცეცი არ დარჩეს. ამისთვის კი საჭიროა შეიქნა მარდის 20—30 წუთა*) და თვით პირბადიც ტომარისებური თოორმის მიცემა. ასეთია უმთავრესად ჩვენს ჯარში პირბადე, მაგრამ, რასაკვირველია, არ კმარა მარტო პირბადის ქონა, განსაცდელის დროს საჭიროა მისი სწორათ და სწრაფად (1—2 წამში) გაკეთება. ცოდნასა და სიჩქარეშია— თვით გადარჩენა.

პირველათ აუცილებლად პირბადე უნდა მიიფაროთ მაგრა ისე მჭიდროთ, რომ თქვენს სახესა და პირბადეს შუა ჰაერი ვერ შედიოდეს. უეჭველათ მთელმა ჩასასუნთქავ ჰაერმა თვით პირბადეში უნდა გაიარნოს, რომ ის უვნებელი გახდეს. რომ პირბადე რიგიანად შემოჯდეს ცხვირს, მას ერთ მხრით სოდა აქვს შეოდებული, რის შემწეობით შეგიძლიათ თქვენი ცხვირის თორმა მისცეთ. როცა პირბადეს მორჩებით, მის ზევით სათვალეები უნდა ჩამოიცვათ. როცა ეგვალეფერი რიგიანად შეასრულეთ, მას შემდეგ ეცადეთ, რომ რაც შეიძლება ნაკლებათ იმოძრაოთ, არ აჩქარდეთ, არ ირბინოთ, რადგან მოძრაობის დროს ადამიანს უნდება ოთხჯერ მეტი ჰაერის ჩასუნთქვა, ამ შემთხვევაში შესაძლებელია პირბადემ მთელი გაზისგან ვერ უზრუნველყოს. ვსთქვათ პირბადემ გაზი გაუშვა, მაშინ მოუხსნელათ უნდა გაშინჯოთ რაშია საქმე და თუ ეგვალეფერი სწორათაა გაკეთებული იმ შემთხვევაში საჭიროა სითხე *) დასასხათ, რადგან სჩანს პირბადე გაშრა და გამშრალი კი გამოუსადეგარია. თხრილში ან ჭაში არ უნდა ჩახვიდეთ, რადგან გაზი 2 ნახევარი უფრო მძიმეა ვიდრე ჰაერი და ამიტომ ეოგველთვის ქვევით იწევს. არც ხეზე ასვლა გიხსნით, რადგან გაზი ხის სიმაღლეს აწევს, თვით ხეზე ასვლა კი ფიზიკურ გარჯიშობას იწვევს და მაშასადამე მეტი ჰაერის ჩასუნთქვაა საჭიროა, ხოლო მეტ ჰაერში მეტი გაზიც ჩაჰყვება. არც უკან დახევა შვედის, პირველად გაზს გაურბოდენ, მაგრამ არც ერთი მათგანი არ გადარჩენილა, რადგან, როგორც წინეთ მოვიხსენიეთ, გაზი საათში 3—5 ვერსამდე იწევს წინ. ცაში გაზი 28 ვერსის მანძილზე შიგნით ჩვენსკენ შევიდა და 12 ვერსზედაც ჯარს დიდი ზიანი მიაყენა. იმ ადგილის წყლის დალევა, სადაც გაზმა გადაიარა, აკრძალულია, რადგან წყალი მოწამლულია.

გარდა ამ ზემო აწერილ პირბადისა, რომელიც ჯერ-ჯერობით საუკეთესოა, ახლა მზადდება ჯარისთვის ეგ. წოდებული უნივერსალური პირბადე, გამოგონილი ინჟინერ

*) ლიტრი—1000 გრამია. პ. ქ.

*) ყოველი წყება მარლისა რიგიანათ უნდა დაასველოთ ზემოხსენებულ ჰიპოსულფიტით და სოდით, რომ შესძლოს, რაც შეიძლება მეტი ქლორის ჩაყლაპვა. პ. ქ.

*) პირბადე და სათვალეებთან ერთად ჯარის კაცს ერთ ბოთლ საჭირო სითხესაც აძლევენ, თუ ეს სითხე გამოილია, მაშინ წყლით და თუ არც ეს უკანასკნელია ახლო მახლოს, მაშინ შარდით უნდა დაასველონ. პ. ქ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუმმანტის და ბრიფ. ზელინსკის მიერ. უნივერსალური იმიტომ ჭქვიან, რომ ადამიანს ოთვალნაირ გაზისგან იხსნის და მასში ეოთენა უვნებლად 4 საათში შესაძლებელია. თვით ბირბადე რეზინისაა და მასში სათვალებია ჩაუენებული, შლემივით წამოსაცვამია, ასე რომ არავითარი წინასწარი ტოდნა არ არის საჭირო. რეზინის ბოდო შეერთებულია თუნუქის კოლოთთან, რომელიც სავსეა დანაუილი ნახშირით და აი სწორეთ ეს ნახშირი ფიზიკურათ ეოვალნაირ გაზს უვნებლად ჭხდის, ამაშია მთელი უპირატესობა ამ ბირბადისა; ეს უკვე მიღებული აქვთ მხედველობაში და რაც შეიძლება მალე დაურიგებენ მეობართ, თუმცა ეოველი ბირბადე 8—10 მანეთი ჯღება.

მედიცინის მოვალეობა. რასაკვირველია ულოდიკობაა, რომ ერთნი გასაყლეტ იარაღს იგონებენ, სტანჯავენ, ხოცავენ ერთმანეთს, ხოდო მეორენი ამ ტანჯვის შესასუმბუქებლად ჭეავთ, ხალხს დასაკლავათ გზავნიან და თუ ზოგიერთს ბედმა გაუღიმა და მხოლოთ დასჭრეს, მაშინ აქ აქიმს იხმობენ, რომ მორჩენის შემდეგ ისევ იქითკენ უკრან თავი. ამ შემთხვევაშიც საჭიროა, მოწამლულთა ტანჯვა, ტანჯვა საშინელი მისებრ ადამიანისგან მიეენებული, შეუმსუბუქოთ, მაგრამ საუბედუროთ, როგორც უმრავლესი სენის წინააღმდეგ, ისე ამ შემთხვევაშიც ჯერჯერობით ნამდვილი, ბირდაბირ მხსნელი საშუალება არ მოგვეპოვება და იძულებული ვართ ბრიფ. დაკტიკას დავსჯერდეთ. რადგან მოწამლული თოდტვების ავთმეოთ წაგვავს, ამიტომ ეოველი დოინე უნდა ვიხმარეთ, რომ გულმა არ გვიდალატოს. ბოზიციაზე შეგვიძლია მხოლოთ შემდეგი შემწეობის ადმოჩენა: 1) უწინარეს ეოვლისა მოწამლული უნდა მოციდოთ იმ ადგილს, სადაც მავნე გაზი ტრიალებს ლ დაწვინოთ, რაც შეიძლება მადლობ ადგილზე. თუ ტანისამოსს გაზის სუნი უდის, უნდა გახადოთ და ახალი ჩაცვათ. 2) გულის მოსადონიერებლად კანში უნდა შეუშხეპნოთ რამდენიმე გრამი კამეორისა და ჩვეულებრივი დოზს კოფეინისა (Cofleini natriu benz. 0, 2, Ol. Camphor 2, 6—3,0). 3) თუ მოწამლული ძლიერ სწუხს, მაშინ ტკივილის შემსუბუქებას შვედის მორეი (0, 01—0, 02) უფრო უკეთესია თუ მორეს მიუმატებთ სტროპინს 0, 001. 4) თუ მდგომარეობა ხელს გვიწყობს, მაშინ საჭიროა ავადმეოეის დაზელვა, გორჩიჩნიკისა და „ბანკების“ გაკეთება. 5) თუ მძიმე ავადმეოეს მყავბადს ჩასუნთქვინებთ ძლიერ კარგს იზამთ. ასეთი მცირე შემწეობის შემდეგ, თუ მოწამლული ტოტალოდენ იმედს იძლევა, მაშინ მას დაუეოვნებლივ აგზავნით მახლობელ (ამისთანა ავადმეოეთათვის კერძოდ გახსნილ) ჭოსპიტალში, სადაც მის ბედიც გადაწყდება.

ექიმი პ. ქავთარაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ენა და „გუთანი“

ყოველთვის ისეთ ერს, რომელიც განიცდის აუტანელ ძალადობას, გახვეულია უკანონობის ბურუსში და როგორც გარედან, ისე შიგნიდან შემოსული ჰყავს მტარებელთა ლაშქარი,—ახასიათებს ერთგვარი მოდუნება და მწვავე საკითხთა გადაჭრის კარგა ხნით გადადება, მიფუჩეჩება. რატომ არის ასე, ადვილად გავიგებთ, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ მოზღვავებულ ტანჯვა-წვალებას, რაც წილად ჰხვედრია დაჩაგრულ ერს. როგორც ერთი ტანჯულთაგანი, ვერც ჩვენი დიდჭირნაცადი ქვეყანა ასცდებოდა ამ საერთო კანონს და მიტომაც არის, რომ ჩვენში ისეთს ინტრიგანობასა და იაფ-ფასიან მამლაყინწაობას აქვს ადგილი, რომლის მოწმენიც ხშირადა ვხდებით. საიდუმლოება არ უნდა იყვეს ის ფაქტი, რომ დღევანდელ მომენტში ერთი თავსამტვრევ საკითხთაგანი ყველა ხალხისთვის არის ყმაწვილთა აღზრდა. არც ის არის დაფარული, რომ აღზრდის საქმეში მთავარი როლი მინიჭებული აქვს სახალხო სკოლას, მაგრამ ამ უკანასკნელის ამაღლებასა და შინაარსის მხრით განსპეტაკება-განმშვენიერებას ჩვენში არავინ სცდილობს. ვერ ვიტყვით, რომ სახალხო სკოლის მნიშვნელობა არ ესმოდეს ჩვენს საზოგადოებას. ჩვენა გვგონია, საზოგადოებამ კარგად უნდა იცოდეს, რომ ყოველი სკოლა, და მით უმეტეს სახალხო, უზრდის ერს მომავალ თაობას, ახალ ძალას, უშენებს მტკიცე კედელს, რომელიც იმდენად მაგარი და შეურყეველი იქნება, რამდენადაც სკოლა შესძლებს თავისი მიზნის განხორციელებას. მართალია, სახალხო სკოლას დიდი მოვალეობა აქვს დაკისრებული; მართალია, დღეს დღეობით თვისს პრინციპთა განხორციელება სავსებით მას არ შეუძლია, მაგრამ ამ პრინციპებისკენ მისწრაფება მაინც დამახასიათებელი უნდა იყვეს სახალხო სკოლისა. მოგეხსენებათ, სახალხო სკოლის მიზანია—აღზარდოს ყოველმხრივ, ჰარმონიულად განვითარებული ადამიანი. ამ დევიზს უნდა ატარებდეს თავის შინაარსში ყოველი სასწავლო საგანი და სწავლებაც, რა თქმა უნდა, მასთან შეთანხმებულად სწარმოებდეს. მით უმეტეს, როცა კითხვა სდგას დედაენის შესახებ, რომელიც მიუცილებლად სწავლის ღერძად, ცენტრად უნდა ჩაითვალოს, ვიწრო ტენდენციურ მიდრეკილებას, დრო მოჭმულს შაბლონს და სუბიექტიურ სიმპატია—ანტიპატიას არა თუ არ ითვისებს სკოლის ხასიათი, არამედ სდევნის, არ ეგუება. ყოველ ეჭვს გარეშეა დედაენის მნიშვნელობა. მისი ფართოდ დაყენება რომ სასურველი და მიუცილებელია, ეს უტყუარი ჭეშმარიტება, აქსიომაა. მაშ, ჩვენც მთავარი ყურადღება ამ საგანს უნდა მივაქციოთ და შესაფერად მოვაწესრიგოთ იგი, რამდენადაც ეს ჩვენის ძალისა და ხერხის ხელთ იქნება. მტკიცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა არ დაგვჭირდება, თუ ვიტყვით, რომ ჩვენს სკოლეაში დღეს დედაენის საქმე ერთგვარ ბურუსშია გახვეული. ადვილად შეიძლება, ისეთი სასწავლებელიც იყვეს, სადაც ამ საგანს ზედმეტი ბარგის სახელი აქვს დარქმეული და, ჩვენდა სამარცხვინოდ, იდევნება სასწავლო საგანთა გეგმიდან და თუ შედის, ისეთი დრო აქვს მინიჭებული, როცა მოდუნებული მასწავლებელ-მოწაფენი სანახევროდაც ველარ ასრულებენ თავიანთს მოვალეობას. სწორედ ასეთმა განწყობილებამ დაჰბადა ჩვენს მასწავლებლებში სურვილი სოლიდარულ მუშაობისა და ვფიქრობთ, აწ მაინც მიიპყრობს ყურადღებას სამშობლო ენის მოწესრიგების საქმე.

ჯერ კიდევ არ თქმულა მასწავლებელთა გადაჭრილი სიტყვა და სახელმძღვანელოების ავტორებმა ერთი კორიანტელი ააყენეს. ამას წინად „გუთნის“ რეცენზიები ვნახეთ ჩვენს გამოცემებში, მაგრამ ამ სახელმძღვანელოს დადებითი შეფასება ჯერ არსად წაგვიკითხავს. ერთნი მასში ხედვენ ხსნას, მეორენი—დაღუპვას. არც ერთი და არც მეორე დაკვირვების ნაყოფი არ უნდა იყვეს, რადგანაც „გუთანი“ ისეთი ძლევამოსილების პატრონი არ არის, რომ მისმა მჭლე შინაარსმა ახალი პირობების შექმნა შესძლოს. მისი ფურცლები და, თუ უკაცრავად არ ვიყვეთ, შემდგენელნიც ძალიან დაშორებული უნდა იყვნენ სახალხო სკოლასა და მისს საჭიროებაზე, თორემ მესამე და მეოთხე წლის სახელმძღვანელოდ არ მოგვივლინებდენ ამ პატარა ლურჯყდიან წიგნსა.

ყველასთვის აშკარა, რომ ის წლები, რომელთათვისაც „გუთანს“ გვთავაზობენ ბ.ბ. შემადგენელნი სწორედ ისეთი წლებია, როცა სახალხო სკოლის კურსი თავდება და უნდა ვიფიქროთ, რომ იგი სახელმძღვანელოც მისცემს ყმაწვილებს დამთავრებულს ცოდნას, გააცნობს რამოდენიმეთ მაინც იმ საგნებს, რაც საჭიროა ცხოვრებაში, აზიარებს მოზარდ თაობას კულტურის წმიდა ნექტარით. თქმა არ უნდა—ეს ასე იქნება და თუ ასე არ გამოდგა, მაშინ რაღა საჭირო იყო ისეთი რიხიანი თავის მართლება, როგორიც ყოველი რეცენზიის გამოსვლის თანავე ეხერხებათ ქუთათვრ პედაგოგებს. სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ, როგორც ქვევით დავინახავთ, „გუთანი“ არა თუ მოსწავლის ენციკლოპედიაა, რაც უსათუოდ უნდა იყოს დედაენის სახელმძღვანელო, არამედ უბრალო საკითხავ წიგნადაც ნაკლებია; მისი შინაარსი სრულიად არ ეგუება იმ მოთხოვნილებას, რომელსაც თანამედროვე პედაგოგია უყენებს, მეოთხე განყოფილებისთვის დანიშნულ, სამშობლო ენის სახელმძღვანელოს,

ყველა სასწავლო საგანი დედაენას უნდა ემორჩილებოდესო, აი ის პრინციპი, რომელსაც მივყევართ ჩვენ იმ დასკვნამდის, რომ სამშობლო ენის სახელმძღვანელო უნდა იყოს რიგიანად შედგენილი. დედაენა უნდა გახდეს ღერძი, საფუძველი ცოდნისა *), აი ის ლოზუნგი, რომელიც გვიკარნახებს ქართული ენის სახელმძღვანელოსადმი მოთხოვნილებათა მთელი რიგის წამოყენებას. ადამიანს ცოდნის შეძენა მხოლოდ და მხოლოდ თავისს ენაზე შეუძლია, აი ის უტყუარი ჭეშმარიტება, რომელიც გვაიძულებს ჩვენ—სახელმძღვანელოში შევიტანოთ განყოფილებანი ბუნების მეტყველებიდან,

*) ეს ქართველებისთვის, თორემ სხვა ქვეყნებში დავაა ბუნების-მეტყველებასა და სამშობლო ენის შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოოლოგიიდან, კოსმოგრაფიიდან, გეოგრაფიიდან, ისტორიიდან, კანონმდებლობიდან და სხვა. პირველსა და მეორე წელიწადს ყმაწვილები ეცნობიან რამოდენიმედ გარშემორტყმულ საგნებს, იღებენ ცნობებს ზოოლოგიიდან, ბოტანიკიდან და მეურნეობიდან, მესამე წელი ამ ცოდნას აფართოვებს, აღრმავებს, რამოდენიმედ ათვისებინებს მეოთხე განყოფილებაში სასწავლო მასალას და გამოდის, რომ ორივე წლები (3 და 4) უნდა იძლეოდენ ცოდნას სხვა და სხვა დარგიდან. განვიხილოთ რამოდენიმე მათგანი და დავუპირდაპიროთ „გუთნის« შინაარსს.

1, ლიტერატურული. ამ განყოფილებაში უნდა შედიოდეს მხატვრული ნაწარმოები ჩვენი საუკეთესო მწერლებისა. მასალები ისე უნდა იყვეს არჩეული, რომ იქიდან ყმაწვილს შეეძლოს ვანდიდება ისეთ გრძნობათა ნასახებისა, როგორიც არის სიყვარული, სიმართლე, კეთილისა და პატიოსანი შრომისადმი მისწრაფება. აგრეთვე ამ განყოფილებაში ფართო ადგილი უნდა ჰქონდეს დათმობილი ქართველ მწერალთა ისეთ ნაწერებს (პროზა და პოეზია), რომელიც აღძრავენ თვისი ერისა და მამულისადმი სიყვარულს, სურვილს სამშობლოს კეთილდღეობისას. ამის მსგავსი არის რამე „ვუთანში"? მკითხველო, თქვენ ეგებ აღმოაჩინოთ. ჩვენ ბევრი ვძებნეთ, მაგრამ ასეთი განყოფილება ვერა ვნახეთ პატივცემულ პედაგოგთა ნაშრომში.

2, გამოჩენილ პირთა ცხოვრება. აქ მიუცილებელია ისეთი მასალა, რომელიც გააცნობს ყმაწვილებს გამოჩენილ პირთა ცხოვრებას, პოეტებისა, მწერალთა და ხალხური გმირების თავგადასავალს, რასაკვირველია, მთავარი ყურადღება უნდა ექნეს მიქცეული სამშობლო მხარის მოღვაწეთა ბიოგრაფიას, მაგრამ ასეთი რამ „გუთანში« გარდა გაბრიელ ეპისკოპოზის ცხოვრების ერთი ეპიზოდისა, არარის რა ტ ვერც იპოვნით, დიოგენის ფარნითაც რომ ეძებოთ. „გუთანში« არის ბიოგრაფიები—მღვდლის ობერლეინის, ბიჩერსტოუს, გუტენბერგის, ჯემს უატის, რობერტ ფულტონის, ჯენერის და ლუი პასტერის, რომელთაც კაცობრიობის წინაშე დიდი ამაგი მიუძღვით, მაგრამ ქართველებსაც ჰყოლიათ გამოჩენილნი პირნი, რომელთაც თუ კაცობრიობისთვის არა თავისი ერისადმი მაინც დიდი ღვაწლი მიუძღვით და მათ სულთან დაახლოება ეროვნული თვით შეგნება იქნებოდა.

3, ჰიგიენა. აქ ყმაწვილების ყურადღება უნდა ექნეს მიქცეული სისუფთავესა და თავის მოვლას. უნდა გაეცნონ აგრეთვე სხეულის და მისი ნაწილების ფიზიოლოგიურ დანიშნულებას, გაითვალისწინონ მავნე გავლენა ბაქტერია-ბაცილებისა და სხვა. ასეთი არაფერი არ გახლავთ ოცხელ-მთავრიშვილ-ყიფიანის წიგნში.

4, კოსმოგრაფია. ამ განყოფილებაში მტკიცედ უნდა ისწავლებოდეს მიწა, სიდიდე მისი, სიშორე მზისა და მიწის შორის, ვარსკვლავები, წელიწადის დრონი, მზისა და მთვარის დაბნელება, მზის მნიშვნელობა და მრავალი სხვა. ჩვენ ვლაპარაკობთ—ეს განყოფილება საგრძნობლად სუსტია „გუთანში«: უმთავრესი გამოტოვებულია და რაც არის, ისიც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, შინაარსში მოიკოჭლებს.

5, გეოგრაფია. ფიზიკური, მათემატიკური და პოლიტიკური გეოგრაფიიდან შესაფერი ცნობებია საჭირო. ზღვები და ოკეანები, ხმელეთი და წყალი, ჰაერი ტ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნების მოვლენანი, ცეცხლის მფრქვევი მთანი და მიწის ძვრა, სახელმწიფო და სარწმუნოება, ქალაქი, სოფელი და სხვა ამგვარი, სამშობლო მხარის აღწერა მისი ფლორა და ფაუნა, გეოგრაფიული ლექსები არის „გუთანში“? არა და ამიტომ ვიწუხებთ მას.

6, ისტორია. ქართველი ერის ისტორია ტრაღიზმით არის სავსე. ერი, რომელიც გადურჩა ასჯერ და ათიათასჯერ აწიოკებას, ცეცხლსა და მახვილს, განა ღირსი არ არის მოხსენებისა? ერი, რომელიც თვისს სამშობლოს ნანგრევებს ზე აკვდებოდა, მტერს ძვირად უსვამდა ყოველ ნაბიჯს თავის მამულის მიწისას, გაცნობის ღირსი არ გავხადოთ? გმირნი, რომლებმაც მისცეს ჩვენს ქვეყანას ტკბილი დღეები; ვაჟკაცნი. რომელთაც თავი დასდვეს მამულისათვის; წმიდანი, რომლებმაც გააფაქიზეს ჩვენი ერი, არ გავაცნოთ ყმაწვილებს? კი უნდა გავაცნოთ, მაგრამ „გუთანში“ თუ ვეძებეთ ასეთი რამ, ტყუილა ჩაგვივლის შრომა. ისევა სჯობს იგი სახელმძღვანელო არქივს გადავსცეთ, როგორც პედაგოგიური სისუსტის უტყუარი ნიმუში.

ჩვენ შეგვეძლო ბევრი გველაპარაკნა სასწავლო წიგნის შესახებ, შეგვეძლო „გუთანიც“ გაგვერჩია დაწვრილებით *), მაგრამ, რადგანაც მთავარი მოთხოვნილებანი ვერ დაგვიკმაყოფილა ბ.ბ. პედაგოგების ნამუშევარმა, აქ ვათავებთ წერილს. ჩვენ არ გვინდა მკითხველი შეცდომაში შევიყვანოთ. არავინ იფიქროს, რომ „გუთნის“ შემადგენელნი არ სცდილობდენ სამშობლო ენის მოწესრიგებას, პირიქით—ისინი დიდს ენერგიას ხარჯავენ ამ საქმისთვის, მაგრამ, როგორც გიმნაზიის მასწავლებლები, არ უნდა იყვნენ კარგად გაცნობილი სახალხო სკოლასა და მისს მნიშვნელობა-დანიშნულებას, თორემ 3—4 განყ. თვისი წიგნით სწავლებას არ გვირჩევდენ. მაგრამ სახალხო მასწავლებელი, რომელიც შეადგენს სკოლის სულსა და გულს, შინაარსს მისას, კარგად უნდა იყვეს დაკვირვებული და ყოველი გამოსვლა, გულწრფელიც რომ იყოს, თუ ოდნავადაც არ შეესაბამება ჩვენს ინტერესებს, შეასუსტოს, ალაგმოს. ამას მოითხოვს ჩვენი მოვალეობა და ის დიადი საქმე რომელიც ხელთ გვიპყრია *).

ნიკ. ქამუშაძე

ს. სვირი

*) ამას კიდეც ვპირდებოდით ჩვენს მკითხველებს „განათლების“ 10 ნუმერში 1916 წ.

*) ვბეჭდავთ ამ წერილს და თან დავსძენთ, რომ ავტორის შეხედულობა სახალხო სკოლებში დედაენის სახელმძღვანელო წიგნის ენციკლოპედიური ხასიათის შესახებ სრული ჭეშმარიტებაა. ეს საკითხი ხშირად აღძრულა რუსეთში სხვა და სხვა კრებებზე და სწორედ ასეთი დასკვნა გამოუტანიათ. ჩვენში არიან ისეთები, მასწავლებელთა შორისაც, რომელნიც ამ აზრს არ იზიარებენ. რედაქცია სთხოვს ყველას გამოთქვან თავიანთი აზრი ამ საკითხის შესახებ, რომელსაც ეთვალთვის ადგილი ექნება „განათლებაში“. **რედ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშუალო სამეურნეო სასწავლებელი შორაპნის მაზრაში

Iყო დრო, როდესაც ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში, მიუხედავათ მიწის ძველებურათ დამუშავებისა, მაინც უხვი მოსავალი მოდიოდა და მიწის მუშაც თითქმის მუდამ უზრუნველ ყოფილი იყო ყოველ გვარ მიწის მოსავლით, როგორც ხორბლეულით აგრეთვე ბოლქვნარითა *) და ღვინით. მაშინ მეურნე ძალიან ცოტა დროს ანდომებდა მიწის დამუშავებასა და ვაზის მოვლას, რადგან ისედაც ჩვენი მადლიანი მიწა მდიდარი იყო მცენარეთა მასაზრდოებელი ნივთიერებებით. მიწა ყოველთვის ღირსეულათ აჯილდოვებდა მიწის მუშას, მისგან უკულმა დათესილი და დარგული წალმა მოჰყავდა და ამით მის ცხოვრებას უზრუნველ ჰყოფდა, მაგრამ სულ სხვას ვხედავთ დღეს, მიწა გამოიფიტა, გალარიბდა, ღვინის მოსავალმა შესამჩნევად იკლო სხვა და სხვა მიზეზებისა და ჩვენი უმეცარი მოპყრობის გამო. ჩვენ ვცდილობთ მიწას, რაც შეიძლება, მეტი გამოვრჩეთ, მას კი არაფერს ვუბრუნებთ და არც წესიერათ ვუვლით სხვა და სხვა სამეურნეო დარგებს. ჩვენი ამ გვარი მოქცევით მიწა და ვენახი აღარ გვაძლევენ დამაკმაყოფილებელ მოსავალს, რის გამოც დიდ ნაწილს გული უცრუვდება, სტოვებს სოფელს, თვის მიწა-წყალს და მიდის სხვაგან დღიურ სამუშაოთ... აი სწორეთ სხვა და სხვა მიზეზებისა გამო სოფლის მეურნეობა მოითხოვს გაუმჯობესებას, მაგრამ ამის მცოდნენი ჩვენ, სამწუხაროდ ჩვენდა, ძალიან ცოტანი გვყვანან, რაც ძლიერ აფერხებს მეურნეობის წინ მსვლელობასა და ხალხის ეკონომიურად აღორძინებას. ამას ზედ ერთვის აწინდელი მსოფლიო ომი და მისი მწარე შედეგები, რის გამოც სოფლის მუშა ხელი შესამჩნევად შემცირდა. გათავდება ომი და მრავალი დასახიჩრებული და შრომის უნარ დაკარგული დაგვიბრუნდება, რომელნიც სოფლის მუშაობას ოდნავათაც კი ველარ მოჰკიდებენ ხელს, პირიქით, ჩვენი სარჩენი გახდებიან. ამგვარი მოვლენაც მოითხოვს ჯეროვან ანგარიშის გაწევას და მასთან დიდ ყურადღების მიპყრობას, რის გამოც ყოველ ჩვენგანს ვალად სდევს განსაკუთრებული სიფხიზლე ოდნავათ მაინც შეუმსუბუქოთ ჩვენს მამებს, ძმებსა და შვილებს ის აუტანელი ტანჯვა, რაიც განიცადეს მათ ამ საშინელი ომის გამო. ამათი მარჩენელი იყო, არის და იქნება მიწა, რომელსაც სჭირდება გაუმჯობესება, სხვა და სხვა სამეურნეო დარგების შესწავლა, რომ ამ გზით შევძლოთ ინვალიდთა შენახვაცა ჩ ჩვენი თავის უზრუნველ ყოფაც.

ეს კი სრულიად დამოკიდებულია იმ ცოდნაზე და გამოცდილებაზე, რასაც

*) ბოლქვნარი, კართოფილი და სხვა მცენარენი, რომელნიც მიწაში იკეთებს თავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოითხოვს ჩვენი მარჩენალი მადლიანი მიწა. დროა შევიგნოთ ჩვენი შეცდომა, მივცეთ ჩვენ მომავალ თაობას მაინც მეურნეობის საწარმოოთ შესაფერი განათლება, დავანებოთ თავი ჩვენთვის დამღუპველ მოხელეობას, ნუ გავურბივართ რაღაც კაპეიკებისათვის სოფელს, მივეშველოთ ჩვენს მოძმე მეურნეთ, შევაგნებინოთ მათ მიწის წესიერი მოვლა-დამუშავება, ამოვუდგეთ მათ მხარში ჭირსა ტ ლხინში, თუ კი გვწადია, რომ ქართველმა ერმა ოდესმე თავისუფლათ, ადამიანურათ ამოისუნთქოს და თავისი ცხოვრება გაიუმჯობესოს. ჩვენდა საბედნიეროთ ამ ბოლო ხანებში არიან მსურველნი სამეურნეო განათლების მიღებისა, მაგრამ შესაფერი სასწავლებელთა სიცოტავისა და უქონლობის გამო ჩვენში სურვილი მხოლოთ სურვილათ რჩება. ჩვენ გვჭირია ჩვენსავე მიწა-წყალზე საშუალო სამეურნეო სასწავლებლის დაარსება, რომ აქვე სწავლა დასრულებულთ პირდაპირ შეეძლოთ მეურნეობის დაწყება და არა ისე, როგორც ეს ხდება. სამეურნეო ცოდნას ვიძენთ სულ მცირე ნაწილი და ისიც უცხო ქვეყნებში, იქაური არც მიწა უდგება და არც ჰავა ჩვენსას, ასე რომ უცხო ქვეყნებში სწავლა მიღებულთ კვლავ, ახალი ცოდნის თუ არა გამოცდილების მიღება მაინც სჭირიათ ჩვენში, რაც შესამჩნევად აფერხებს მეურნეობის წინმსვლელობას.

არც ერთ ახალ-გაზრდა აგრონომს, უცხო ქვეყნებში სწავლა მიღებულს, არ შეუძლიან სთქვას, რომ ის საქართველოში იმდენს გააკეთებს, რამდენსაც ის იმავე ადგილებში, სადაც მან მიიღო თეორიული და პრაქტიკული სამეურნეო ცოდნა-გამოცდილება. ამ გვარ აგრონომებს უკანასკნელი 5-10 წლამდე სჭირიათ, რომ ჩვენი მეურნეობის პირობები შეისწავლონ და წესრიგზე მუშაობა გააჩაღონ. აი სწორეთ ეს რომ ასე არ მოხდეს და უფრო მეტ რიცხვს ქართველებისას შეეძლოს სამეურნეო განათლების მიღება, ჩვენ ჩვენსავე მიწა-წყალზე უნდა გვქონდეს ამდაგვარი სასწავლებლები.

ამ მიზნით დაბა ზესტაფონის მახლობლად საქარის სანერგეში განზრახულია საშუალო სამეურნეო სასწავლებლის დაარსება, რის განსახორციელებლათაც შემდგარია კომისია შორაპნის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლის თავად პ. ა. წერეთლის თავმჯდომარეობით. თანახმად ამ წლის თებერვალის 10 მომხდარ საერთო ყრილობის დადგენილებისა დაბა ზესტაფონში უნდა გაიხსნას სასწავლებელი შემდეგი სამეურნეო დარგებით: მეღვინე-მეევენახეობის, მებაღეობის, მეფუტკრეობის და მეაბრეშუმეობის. რაც შეეხება ხვნა-თესვას ამასაც ექნება ადგილი, იმდენათ, რამდენათაც მას ადგილობრივი პირობები ხელს შეუწყობენ. ამ სასწავლებლის მოსაწყობათ გადაწყვეტილია ეთხოვოს მიწად-მოქმედების სამინისტროს, რომ დაგვითმონ ნახევარ მილიონამდე ღირებული მამულები, ზომით 35 დესეტინა ვენახებითა და შენობებით, საქარის სანერგე და არგვეთის მამული, რომელნიც დ. ზესტაფონის მახლობლად მდებარეობენ. ჩვენი მიზნის მისაღწევათ ამ მამულების გარდა საჭიროა შენობების ასაგებათ და სხვათა მოსაწყობათ კიდევ 300,000 მან., რომლის ნაწილსაც ვიმედოვნებთ მთავრობიდან, მხოლოდ დანარჩენი უნდა შეიკრიბოს ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიებში და აგრეთვე სხვაგანაც, სადაც კი გვეგულებიან და მოიპოვებიან ქართველი ქველმოქმედნი, რომ ეს მამულები და ნაწი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი თანხისა, მთავრობამ მოგვცეს, საჭიროა საზოგადოებამ შეადგინოს საკუთარი თვალსაჩინო თანხა, რის გამოც მოგმართავთ თქვენ უმორჩილესი თხოვნით გაითვალისწინოთ ყოველივე ზევით მოყვანილი მოსაზრებანი და ხელი შეგვიწყოთ მატერიალურათ ერთ-დროული თანხის გადიდებით, თუ ყოველ წლიური (სასწავლებლის დამთავრებამდე) დახმარებით ჯ მოგვცეთ საშუალება პირნათლათ შევასრულოთ ეს საეროვნო საქმე და მით მოვიხადოთ ჩვენი მძიმე და სიმპატიური მოვალეობა საქმის კეთილად დაგვირგვინებით, რომელიც შეუწყობს ხელს მომავალში ჩვენი ქვეყნის სამეურნეო დარგების აყვავებასა და ეკონომიურად აღორძინებას, ქართველთა სასიქადულოთა და საბედნიეროდ. ვიმედოვნებთ, რომ დიად საქმეს ყურადღებოთ არ დასტოვებენ და შეძლებისადაგვარათ გამოიღებენ თავის წვლილს, რითაც მოიხდიან თავის წმინდა მოვალეობას საზოგადოებისა და სამშობლოს წინაშე. შემოწირულება მიიღება დღიდან ამ წერილის დაბეჭდვისა, რაიც უნდა გამოიგზავნოს კომისიის მოლარის მიხეილ მახარობლისძის სახელზე დაბა ფოთში.

კომისიის მონდობილობით კომისიისავე წევრი შორაპნის მაზრის აგრონომი

რ. გედევანიშვილი

დიმიტრი ჯანაშვილი

ორვეზად დაგვშთა ცხოვრება ჩვენის ბიძაშვილის დიმიტრი ჯანაშვილისა. ამ ცხოვრების გაცნობა უპრიანია არა მარტო მისთვის, რომ დიმიტრი იყო პირველი მოხალხოვნე საქართველოს ისტორიისა, არამედ იმისთვისაც, რომ მან, ჩამომავლობით ინგილომ, პირველმავე გააცნო საქართველოს მისგან შავთა დროთ მანქანებით მოწყვეტილი ვრცელი კუნჭული, მარად მზიანი ჩვენი საინგილო.

იგი დაიბადა 1843 წელს სოფელ კახს ჯანაშვილების გვარეულობაში. ჯანაშვილები საინგილოში ეკუთვნიან წარჩინებულ გვარეულობას. ეს გვარეულობა თავადიშვილის ღირსებისა იყო. პაპა ჩვენის ბაირამ-ალის სიტყვით, ჯანაშვილები აქეთ გადმოსახლებულან ლორისა თუ ბორჩალოს მხრიდგან. ძნელია კაცმა სთქვას, იგინი ვისი ნატამალები არიან—ლორის მელიქიშვილების განაყოფის მელიქ-ჯანაშვილისა (იხ. ირაკლის სიები „ივერია“ 1884 წ. № 4 დამატ.) თუ გორელ აზნაურის გიორგი ჯანაშვილისა. აღსანიშნავია, რომ ჯანაშვილები მოსახლეობენ საინგილოს სხვა სოფლებშიაც, ქოთუქლოს, სოსკანს და ალიბეგლოს და საინგილოს გარეთაც ქიზიყში და ქართლში, საცა ებრაელობენ ტფილელ ებრაელ ჯანაშვილებითურთ. კახის ჯანაშვილების საგვარეულო ოქრო-ბეჭდული სიგელი, როგორც მოგვითხრობენ მამა-ბიძანი, დაიწვაო სოსკანში მის დარბევის დროს ლეკებისაგან.

გადმოცემავე იუწყება, რომ კახის ჯანაშვილების წინაპარი მათე, რომელსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასახლე ჰქონია აგრედ-წოდებულს მათეჲ-ყალაში, ფრიად მდიდარი კაცი ყოფილა, ჰქონია მფლობელობაში თვით მათეჲ-ყალას (=მათეს ციხეს) მინდორველი, აგრე ფანცაურის გაყოლება მიწები ყუმის ბოლოდგან სოსკანამდე, საცა ჰქონია აგრეთვე საბინო მამულ-დედული. შაჰაბაზი რომ შემოესიაო საქართველოს (1611 წ.), განაგრძობს გადმომოცემა, მის ლაშქარს გაუმასპინძლდაო ვინმე შარმაზან ჯანაშვილი: ყველა მოლაშქრეს მიართვაო გაძღომამდის ახალნაცხობი ლავაში და კილანით (ჭიქით) თაფლი. ამისთანა უხვი სტუმრობა სათნო იჩინაო ყაენმა და ეს ქვეყანა არ დაარბევინაო თავის ლაშქარს: ასე მოგვითხრობდა ამ ამბავს წახურელი ლეკი კამაზოლლი: ჩვენს საგვარეულო წიგნებში ასე სწერიაო. სამწუხაროდ ხსენებულ კამაზოლლისაგან ვერ გამოვიტანეთ მისი წიგნი, რომ გაგვეგო მართლა რა და როგორ ეწერა. მალე თვითონაც მოკვდა და თუმცა დიმიტრი ნახურშიაც იყო მის ავან-ჩავანის გასაგებად, მაინც ვერას გახდა, ვერ გაიგო ვის დარჩა კამაზოლლის სახსოვრის წიგნი.



დიმიტრი ჯანაშვილი

პაპა ჩვენს ბაჲრამალის, რომელმაც იცხოვრა ას წლამდე და რომელსაც, როგორც თვითონ ამბობდა, ახსოვდა მეფე ერეკლეს ვაჟკაცობა, ჰყვანდა სამი ძმა ტ ხუთი შვილი, უმცროსი მათგანი იყო იოსები, მამა ჩვენის დიმიტრისა. პაპის ბიძაშვილი იყო ის ზილფი ჯანაშვილი, რომელიც თავის ვაშკაცობით თავზარს სცემდა აქაურ მტარვალებს და რომელიც ბოლოს შეიპყრეს და ჭარში აწამეს ლეკების ცოლებმა: შამფურებით დაჩხვლიტესო სანამ სისხლით არ დაიცლებოდაო და ნელის, მაგრამ საშინელის ტანჯვით სულს არ მიაბარებდაო ღმერთს. გაყრამდის ყველანი სცხოვრობდნენ ზემო მამულში, კობალას პირად. შემდეგ კი ბანსური და მისი მომდევნო ძმა გადასახლდენ სოფლის ქვემო ნაწილში, აგრედ წოდებულ თოფ-ბაღში. აწ გიორგის სახლობაც ცხოვრობს ამ თოფ-ბაღის მომიჯნავედ და მათეჲ-ყალას ბოლოში ორ ხევს შუა, საოლქო დიდ შარას პირად.

დიმიტრის მამას ჰყვანდა ორი ვაჟი და ოთხი ქალი. დედა მისი არზი იყო ოთარაშვილის ქალი. ამ გვარში შთამომავლობითგანვე დარჩენილი იყო სამკურნალო ხელოვნება, რომელიც მამით შვილზე გადადიოდა. დიმიტრის მკურნალი ბიძის ჯალილას სახელი შორს გავადნილიყო, რადგან დაუცადებლად არჩენდა ჭრილობას და სხვა ავადმყოფობას.

იოსები თავის სახლობით ღარიბად ცხოვრობდა. იგი, როგორც უმცროსი შვილი, ნებიერად იყო აღზდილი, მაგრე რიგად არ უყვარდა მუშაობა; იზიდავდა მას ჩონგურის დაკვრა და გართობა, რად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან უფრო მგოსნური სულისკვეთების კაცი იყო. მამას სოფლურ საქმეში შველოდა მისი შვილი დიმიტრი, რომელიც თუმცა ჯერ ნორჩი იყო, მაგრამ მაინც მთიდამ ზურგით ზიდავდა შეშას სანათად, მწყემს მიჰყვებოდა მინდვრად ძროხის საძოვებლად, ან და მიელალებოდა ულაყებს საძოვარზე და სხ.

1850 წელს 9 წლის დიმიტრი ჩამოიყვანა მამა ჩემმა ტფილისს და მონათლა სიონის საყდარში. მანამდე ერქვა ადაჟანა.

მალე იგი რამდენიმე ინგილო ყმაწვილებთან ერთად მიიყვანეს დედოფლის წყაროზე და მიაბარეს სამხედრო სასწავლებელში. აქ მათ ვერ გაუძლეს სამხედრო წესებს, ვერ შეეწყნენ უცხო ყოფას და ორიოდე წლის შემდეგ შინ დაბრუნდნენ. აქ დიმიტრი დიდხანს არ დარჩენილა.

იგი ახლა ტფილისის სასულიერო სასწავლებელში მისცეს. სწავლაში დიდი ნიჭი გამოიჩინა და სემინარია 1865 წ. სტუდენტად დაამთავრა. შეირთო ბეგიაშვილის ქალი სათნო ელენე და ეკურთხა ყორაღნის მღვდლად. ამ ქალმა ვერ აიტანა ამ სოფლის ციებ-ცხელებიანი ჰავა და მალე გარდაიცვალა (1868 წ.); მისგან დარჩა ერთი ქალი მარიამი, მამის ნუგეში და გამრთობელი მის ქვრივ ობლობაში (აწ მარიამ ივანიცკისა ჩამომავლობით ინგილოისა).

დაქვრივებულ-დაძმარებულს აღარ ედგომებოდა ყორაღანში.

1868 წლის აპრილის 4-დან მე ვსწავლობდი ზაქათალის სამაზრო სკოლაში. საღმრთო წერილს გვასწავლიდა დეკ. გრიგოლიევი. 1871 წელს იმან დამავალა მიმეწერა დიმიტრისთვის, რომ გრიგოლიევი თავს ანებებს საღმრთო სჯულის მასწავლებლობას და თუ ინებებს, მას გაამწესებენ. დიმიტრი დათანხმდა. ჯამაგირი მცირე ჰქონდა. თუმცა მოხუცი გრიგოლიევი აწირვინებდა ხოლმე თავის მაგიერ სამხედრო ეკლესიაში და იქიდანაც ცოდაოდენი შემოსდიოდა.

მე ჩინებულად ვსწავლობდი და ნიშნების უპირატესობით ვითვლებოდი „სტარშოით“ სასწავლებლის მოსწავლეებისა. 1872 წელს დავასრულე და დიმიტრიმ ჩამომიყვანა ტფილისს და სემინარიაში მიმაბარა (იხ. ამ ჩამოყვანის ამბავი «მზე და აკაკი»-ში) თვითონ კი უკანვე ზაქათალას დაბრუნდა. მაშინ იგი უკვე განთქმული მწერალი იყო. გაეგოთ მისი ხელნაკლულევანება გაბრიელ ეპისკოპოსსა და სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველს კალანდარაშვილს და მიეწვიათ ქუთაისს ხსენებულ სასწავლებლის ქართული ენის მასწავლებლად.

1873—1876 წლებში დიმიტრი უკვე მოღვაწეობდა იმერთა დედა ქალაქში და გამოჩენილ მასწავლებლად ითვლებოდა. შემდეგ იგი წავიდა მოსკოვს სწავლის გასაგრძობად იქაურ სასულიერო აკადემიაში, საცა მაშინ მასთან ერთად სწავლობდნენ თედო ჟორდანია, ქრისტეფორე ულრელიძე და სხ. მოსკოვიდან დაბრუნდა 1879 წელს. მისცეს მას ტფილისის სემინარიის აღმზრდელობა, აქ დიმიტრი საკმაო თავისუფლებას იჩენდა და მიტომ გუდა-ნაბადი აჰკიდეს. შევიდა სათავადაზნაურო გიმნაზიაში, აირჩიეს წ. კ. საზოგადოების გამგეობაშიაც. რამდენიმე ხნის შემდეგ ექსარხოზმა პავლემ დიმიტრი ისევ მოიწვია სასულიერო სამსახურში და გაამწესა საინგილოში მისიონერად. მოქრისტიანებით ვერ აქრისტიანებდა, მაგრამ ხალხზე კი დიდ გავლენას ახდენდა თავისი ცეცხლოვით მჭევრმეტყველობით.

ეროვნული

კახში მაშინ იყო იქაურ მისადევრის უფროსი ვინმე მერკულოვი. გვმეგობრობდა ვითომ ისე, ვით უგულითადესი ძმა. გვპატიჟობდა, გვიდარბაზებდა. გველაპარაკებოდა საქართველოს კეთილდღეობაზე, დიმიტრის და სხვების უმეტეს წარჩინებაზე. ამასობაში ტფილისიდამ მოვიდა ქაღალდი შესახებ დიმიტრის გადაყენებისა მისიონერობიდამ. სახტად დავრჩით. უმეტეს გაკვირვებას იჩენდა ხსენებული მერკულოვი. პაპანაქება ზაფხული იყო. დიმიტრი გაემართა ტფილისისკენ და რომ დაბრუნდა ცარიელ-ტარიელი, გვითხრა: „მერკულოვს დაუბეზღებივარ, თუმცა ნამდვილად ვერა გავიგერაო".

გული დაგვწყდა, მით უმეტეს, რომ მის წინად წინადადებას აძლევდენ ეპისკოპოსად ეკურთხეო და არ ინება: წმიდა მაკურთხევლობას ვერ შეეასრულებ, რადგან მე მიყვარს მოძრაობა, თავისუფალი ცხოვრება და ეპისკოპოსი კი უნდა იყოსო მდაბალი, მონა უფლისა და წმინდა ყოველი მხრივ.

ამის შემდეგ დიმიტრის საქმე უკუღმა დატრიალდა. ბედმა გადიტყორცნა ადგილიდამ ადგილას; ნუხს, ვართაშენს, ალიბეგლოს, დიღომს, სანთლის ქარხანას მდივნად და ბოდბისხევს, საცა უბრალო მღვდლად აღესრულა 1906 წლის ოქტომბრის 5-ს დაბადებიდან 65 წლისა. მისი ნეშტი ინგილოებმა წაასვენეს კახს, დაიტირეს საერთო ტირილით და მიაბარეს მიწას ეკლესიის ეზოში მისი მეუღლის ელენეს სამარის გვერდით.

მ. ჯანაშვილი

(შემდეგი იქნება).

ილია ჭავჭავაძე *)

(მოგონება)

დრო მიდის და მასთან ერთად სურათიც ილიას ცხოვრებისა თანდათან ჰქრება. ეს სურათი ჯერ კიდევ, როგორც შეშვენის, აღწერილი არ არის, რადგანაც ეს მხოლოდ მხატვარსა და პოეტს ძალუძს. ვიდრე ისინი გამოჩნდებოდენ, საჭიროა მასალების მოგროვება და მეც, რაკი ოც წელზე მეტი განუყრელად თითქმის ყოველ დღე ილიასთან ვიყავი, მრავალი მასალა მაქვს დაგროვებული და ვეცდები გადავცე იგი მკითხველებს. მაგრამ უნდა აღვიარო, რომ ჩემი მოგონებანი მოკლებულნი არიან კავშირსა და ქრონოლოგიურს წესსა.

*) ვბეჭდავთ ამ წერილს, როგორც საბიოგრაფიო მასალას, ამ ათი წლის წინად ვერაგულად მოკლულის დიდებულ ილიას შესახებ. წერილი ამ სათაურით იქნება დღეიდან „განათლების" ყველა ნომერში. რედაქციას ავტორის შენიშვნები, როგორც ძლიერ დაახლოვებული პირისა დიდ ილიასთან საყურადღებოდ მიაჩნია და სამართლიანადაც, რაც უეჭველია საზოგადოებაშიაც დაჰბადებს უფრო სწორ აზრს, დიდი პოეტის შესახებ, ვიდრე დღემდის არსებობს სხვა და სხვა წრეებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილიას გარეგნობა და ხასიათის თვისება.

პირველ შეხვედრის დროს ილია ვერ სტოვებდა მნახველში ისეთს შთაბეჭდილებას, როგორსაც ჩვეულებისამებრ მოველით პოეტისაგან. მისს კეთილშობილურს სახეზე არ იხატებოდა თვალთა პოეტიური ბრწყინვალება, როგორც ეს მრავალ პოეტებსა და მხატვრებს ეტყობათ, მაგრამ ილიას თვალთაგან გამოკრთოდა სინათლე არა ჩვეულებრივის ჭკუისა. დიაღ, მისი მაცქერალი ისეთს შთაბეჭდილებას იღებდა თავდაპირველად, რომ ილია მტკიცე ჭკუა-გონებისა პატრონია და პოეტობისას მას ვერას შეამჩნევდა პირველ შეხვედრისას. ილიას აკლდა სიმკვირცხლე და ცოცხალი ტემპერამენტი, როგორც ეს ემჩნევათ მრავალ პოეტებს და მხოლოდ ლაპარაკის დროს ნელა და თანდათან თავს იჩენდა გატაცება. ჩვეულებრივი მისი მდგომარეობა მშვიდობიანი იყო, გარეგნულად მაინც, რადგანაც იშვიათი ძალის პატრონი იყო თავშეკავებაში, და ძლიერ გულამღვრეულიც რომ ყოფილიყო, მაინც დამშვიდებული გეჩვენებოდათ; მხოლოდ ვინც მას დაახლოვებით იცნობდა, შეეძლო ილიას თვალებში ამოეკითხა თუ რა ხდებოდა მისი სულის სიღრმეში.

მშვიდობიანისა და თითქმის მძიმე ტემპერამენტის თანაბრად არც სხვებთან მოპყრობაში იჩენდა თავისი ძლიერი გრძნობის მიდრეკილებას და იყო თავდაჭერილი როგორც სიამოვნებაში, ისე მწუხარებაშიაც. ამ ხასიათის თვისებით ილია გვაგონებს გიოტეს, რომლის პოეზიაც მას ძლიერ მოსწონდა და უყვარდა.

აგრეთვე ზრდილობიან მასალმებაშიაც ილია ზომიერი იყო, არავის ეტყოდა მეტ სიტყვას მისალმების დროს და თითქმის მანდილოსნებისაც კი არ იყო ისეთი მოსიყვარულე, რასაც მისი ზრდილობის ნაზი გრძნობა მოითხოვდა. ილია არც ყმაწვილობაშიც შეიძლებოდა ყოფილიყო ქალთა მოტრფიალე, რადგანაც იგი იყო ძლიერ ჭკვიანი და საკუთარს ღირსებასაც მაღლა აყენებდა, რომ იაფი საშუალებით გავლენა არ მოეხდინა მის გარშემო მყოფზე.

მისი ჭკუა და ძლიერი ნება გრძნობას იპყრობდა და ამ მხრით არადროს თავისთვის არ უღალატნია. შეიძლება ვსთქვათ, რომ ილიამ თავისი როლი, რაც მას ყმაწვილობაში წილად ჰხვდა, ძლიერ კარგად შეასრულა, თუმცა შეცდომითაც. ის შეგნება, რომ ილია თავის დროის გამოჩენილი ქართველი იყო, მტკიცედ იყო მასში, მეგობრულ ლაპარაკის დროს ხშირად მეუბნებოდა, რომ იგი გრძნობს თავის ნაკლს და სწუხს, რომ გასწორება არ შეუძლიან. მისი აზრით მრავალი მისი ნაკლი ზოგადქართულია. შეძლების დაგვარად ცდილობდა მათს დაფარვას, რომ სახელი არ გატეხოდა, მაგრამ მოხუცებაში ნების ძალასაც სისუსტე ეტყობოდა და მისი ნაკლი და სისუსტეც უფრო აშკარად სჩანდა, რასაც მისი მოწინააღმდეგენი სარგებლობდენ.

ილია ხედავდა აგრეთვე, რომ ახალთაობაში მისი სახელი ნდობას ჰკარგავდა, მაგრამ, რაც შეეძლო ფარავდა თავის ათვალწუნებას,—სხვებთან მოპყრობაში რაოდენადმე იცავდა კიდევ წინანდელს სულის სიმშვიდეს და მხოლოდ უკანასკნელ დროს უმხელდა ზოგიერთებს თავის მწუხარებას ამ მოვლენის შესახებ.

შეიძლება ვსთქვათ, რომ სიამაყე ნებას არ აძლევდა მისი სახელის დამცირების თავის დასამდაბლებელ შეგნებისათვის, მაგრამ, რაც უნდა იყვეს, ეს იყო არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვეულებრივი სიამაყე, რომელშიაც კეთილშობილობაც იხატებოდა. უბრალო სიამაყეს ილიაში ვერ ვხედავდი და თუ იგი ხანდახან თავადობასაც იცავდა, ამას სჩადიოდა არა პირადის შეგულიანებით და იცავდა მხოლოდ წოდებას მისი დიდი ისტორიულისა და საკულტურო მნიშვნელობით. მისი მახლობელ მეგობართა უმრავლესობა მაღალი წოდებიდან არ იყო, რაც ამტკიცებს ილიას არაწოდებრივს სიამაყეს. ილია ყველას უბრალოდ და მეგობრულად ეპყრობოდა და თუ უნდოდა ვისმესთვის ეჩვენებინა თავისი უპირატესობა, ამას ახერხებდა თავის აზრმახვილობით და სწორი მსჯელობით.

ამ მხრივ ილია საკმაო გრძნობიერებას იჩენდა, თავის აზრს, თუკი იგი საფუძვლიანათ მიაჩნდა, ენერგიულად იცავდა და ადვილად სხვას არ დაუთმობდა, მაგრამ ხალისითაც მოისმენდა სხვის აზრს ისეთი საგნების შესახებ, რომელსაც თვითონ გაცნობილი არ იყო.

არტურ ლეიხტი.

(შემდეგი იქნება)

აკაკის ლირიკა

,,ნეტავი ჩიტი ვიყო,
ჩიტუნია პატარა,
რომ ჭიკჭიკით გამოვსთქვა
ვნება ჩემის გულისა;
ვნახო ჩემი სამბობლოს
ბედნიერება ჩქარა
და ვიმღერო სიმღერა
შორის გაზაფხულისა''.

აკაკი

ეი რას ნატრობდა მგოსანი აკაკი, როდეს იყო ახალგაზრდა და სიამით გული უძგერდა... მოივლტოდა თვის საყვარელ სამშობლოში სამოღვაწეოდ. იმ დროს როდესაც აკაკი მოევლინა ჩვენს სამშობლოს ილიასთან ერთად, ერთი ჩვენი ისტორიკოსი ასე ახასიათებს: „გადასხოლასტიკდა ქართული სემინარიები და სხვა სასწავლებლები, გაქრა ძველებური მადლიანი მღვდლები, გამრავლდა ანაფორიანი ჩინოვნიკობა... დადუმდა ძველებური მადლიანი გალობა, ნელ-ნელა დივიწყებას მიეცა კულტურული ჩვენი ჩვეულებანი, დასუსტდა ჩვენი განთქმული ზრდილობაც, თავაზიანობა,—ერთი სიტყვით ჩვენი ეროვნება გადაგვარების გზას დაადგა... არ არსებობდა მაშინ პრესაც. „არსიით ხმა, არსით ძახილი«,—სულ „ძილი«, „ძილი«, როგორც ბრძანებს ილია... დაძინებული იყო ჩვენი საზოგადოება ღრმა ძილით, როდესაც ილიამ და აკაკიმ ჩამორეკეს ეროვნული ზარი და ქართველობას შეასმინეს პირველად ზეციური ხმა სულიერად აღმადგინებელი, გამომაფხიზლებელი“ (თ. ჟორდანია „კლდე“ № 8 1915 წლ.)... აკაკი უმაღლეს განათლებით შეიარაღებული, ფაქიზ პოეტურ ნიჭით უხვათ დაჯილდოებული, გამსჭვალული კეთილშობილურ, ადამიანთათვის სიამის და სასოების მომფენი იდეალებით, მოევლინა ჩვენს ქვეყანას შავსა და ბნელ დროს, როდესაც უკან მოსჩხაოდა შავი ყორანი თვალბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დითი, ცუდათ დაცდილი და ცუდს და სავალალო მერმისს უქადდა. ქართველთა სანუგეშოდ, იმ დროს თვით რუსეთის ცხოვრება ძირიან-ფესვიანათ ირყეოდა, და მძლედ გაისმოდა »ხალხთა ბორკილის მტვრევის ხმა“...

1858 წელს, როდესაც აკაკი გამოვიდა სამწერლო სარბიელზე, ქართველი ერი უნუგეშო მდგომარეობაში იყო. დიდებულ ვორონცოვის მიერ დაწყებული საქმეები: ქართული თეატრი, პრესა, წიგნთა ბეჭდვა, საისტორიო ძიება,— ჩაიფუშა, როდესაც ეს დიდებული ადამიანი, ეს ღრმად განვითარებული და შორს მჭვრეტი პოლიტიკოსი კავკასიიდამ წაიყვანეს. იყვნენ პოეტები, იყვნენ მწერლები, მაგრამ ქართველს მაინც ეძინა, საზოგადოებრივი მოტივები მის გულის სიმებს არ აჟღერებდა. საჭირო იყო ისეთი მოღვაწენი, რომელთაც უეცრივ აეფეთქებიათ ქართველ ინტელიგენციის მიძინებული გრძნობა, გამოერკვიათ ღრმა ძილიდამ და ეჩვენებიათ ის სხივცისკროვანი იდეალები, რომელთ განუხორციელებლად ერს ერობა არ შეუძლია და ადამიანს ადამიანობა.

ასეთები იყვნენ ჩვენი სასიქადულო მგოსნები: ილია და აკაკი. მათ, განსვენებულ მწერლის ანტონ ფურცელაძის სიტყვით, შეჰმართეს ხელი და მისცეს ცეცხლი იმ დამყარებულ ბოროტ წესწყობილებას, სადაც მძლავრობა, მტარვალობა, უთანასწორობა გაბატონებული იყო, სადაც ყოველ ცოცხალ აზრს, ცოცხალ გრძნობას, ყოველ სიცოცხლისადმი წარზიდულობას, ედო ბორკილი, ჰქონდა სული შეხუთული. ეს ორი მოქმედი ახალგაზრდა არ უდრკებოდა არაფერს და არავის („დროება“ 1908 წლ. № 7). ამ გარემოებამ ფრთები შეასხა ქართველთა ინტელიგენციას და თავი მოუყარა ორი მგოსნის გარშემო, გამსჭვალა მათი აზრებით და იდეალებით, შთაბერა მათი სული; მან თამამად და გაბედულად დაიწყო სრბოლა წინსვლის, წარმატების გზაზე. ქართველ საზოგადოებას ილია ჭავჭავაძე ჭკუა-გონებით სავსე ლექსებით უმტკიცებდა და აჯერებდა, ხოლო აკაკი გრძნობით სავსე გულით იმავე ჭეშმარიტებას უმოძღვრებდა და მითი იტაცებდა. »შეუერთდა ილიას ბუმბერაზი გონება ცეცხლებრ დამწველ აკაკის გულს, და ორმა შეერთებულმა ძალამ სასწაული მოახდინა: ქართულმა ეროვნებამ, ყველას რომ მკვდარი ეგონა, სიცოცხლის ნიშან-წყალი გამოიჩინა“. (იხ. თ. ჟორდანიას ზემოდასახელ. წერილი),.. ქართველ ეროვნების გაღვიძების და მის წინსვლის მთელი ისტორია მესამოცე წლებიდამ ბოლო დრომდის მჭიდროთ დაკავშირებულია აკაკის მოღვაწეობასთან. აკაკიმ მთელი თავისი სიცოცხლე უმსხვერპლა ქართულ ეროვნულ სულის ზრდას, ქართველ ერის გათვითცნობიერებას. მისი პოეზია კეთილშობილურ გრძნობათა ზღვაა. იგი უმთავრესად პოეტი-ლირიკოსია... აკაკის ლირიკაში ბადალი არა ჰყავს ქართულ პოეზიაში. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირველობა ამ მხრით აკაკის ეკუთვნის. აკაკიმ თავის პოეზიის საგნად დასახა—თვისი ღვიძლი ერის რეალი მოთხოვნილებათა სასარგებლოდ მსახურება... თვისი პოეზია—დაუმორჩილა ამ მოთხოვნილებათა გამოხატვას. თავის ნაწერებში მოქალაქობრივ მოტივებს დიდი ადგილი დაუთმო. ვერ ნახავთ ქართველ ერის ვერც ერთს სულის კვეთებას, მისწრაფებას, ღირსებას და ნაკლს, რომ მის ქნარს ამაზე თვისი პასუხი არ გაეცეს. თავისთავს უწოდებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გარემოების საუკრს«, გამოსცემს იმ ხმას, რასაც სინამდვილე ჩასძახის. თვისი გამჭრიახი, დაკვირვების ნიჭით დაჯილდოებული გონება, მიაქცია ქართველი ერის ცხოვრების ნამდვილ ჭირვარამს და მის არსებითს მოთხოვნილებათა. მისი პოეტური აღსარება ნათლად გამოთქმულია მის ლექსში: „ჩანგური“. პოეტს ჩანგური, ეს განუშორებელი ნიშანი პოეზიისა, იმისთვის ღნდა, რომ სიმართლეს მსახურებდეს, მისი გულის წადილია, რომ

„დაჩაგრულს მის სიმღერით
თვალთ ტრემლები ეშრობოდეს,—
და მჩაგვრელს კი გულში ძგერით
ისარივით ესობოდეს“.

პოეტი ფიცს დებს, რომ არვის მოეფერება, რომ არვის წინაშე არ დამალავს სიმართლეს:

„გამიქვავდეს მე ეს ენა,
თუ რომ ვისმე მივეფერო,
და გამიხმეს ეს მარჯვენა,
თუ სიმრუდით სიმთ ვაყდერო.
რა გინდ ბედით ვიყო კრული,
საშინელიც მექნეს ბოდი,
არ შედრკების ჩემი გული,
გინდა ქვითაც დავიქოლო!“

მართლაც, აკაკი მთელ თავის ხანგრძლივ სიცოცხლეში წარბშეუხრელად ემსახურებოდა იმ მცნების აღსრულებას, რომელიც [გამოთქმულია ამ შვენიერ ლექსებში. »აკაკი იყო,—ამბობს ერთი ჩვენი მწერალთაგანი—ბუნებრივი დემოკრატი და ოპოზიციონერი. ეს თვით მის ბუნებაში იყო ბავშვობიდამ სტიქიურათ ჩანერგილი, ძუძუსთან ერთად მიღებული, მის ხასიათსა და პირადობაში ჩაქსოვილი. მისი კერძო ცხოვრება, მისი საზოგადოებასთან დამოკიდებულება, ისე, როგორც მისი პოეზია, გაჟღენთილი იყო დემოკრატიულ ოპოზიციონურ სულით, მას არ უყვარდა დიდკაცობა, არ ეტანებოდა ფუფუნებას, ქონების შეძენას და შენახვას, ხალხს არ გაურბოდა. მას თამამათ შეეძლო ეთქვა თავის თავზე რუსთველის სიტყვები: „ბურად და სჯმდად მიგენდვე ჩემსა მშვიდსა და ცვრასა (დიდი სარს). ის მიენდო მხოლოდ თავის კალამს, ხელში ეკავა თავისი ქნარი“... (ნოე ჟორდანია. „თემი“ № 208). აკაკიმ მთელი თავისი პიროვნება, თავისი პოეტური მოღვაწეობის ხასიათი, თვისი უვერცხლოება,—უანგარობა საუცხოვოთ გამოხატა თავის ერთს ლექსში, რომლიდამაც ამოვწერთ რამდენსამე ადგილს:

„უგულასათვის კარგი მსურს,
ბოროტების მტერი ვარ,
გულში არ შეუშვებ შურს
და მით ბედნიერი ვარ.
მე ბეგრს არას დავეძებ
რაც მაქვს იმას ვჯერივარ;
ქვრივ-ობერს არას ვტაცებ,
ისეც ბედნიერი ვარ.
ხან მაქვს წყალი და ბური,
ხანდახან მშიერი ვარ,
მაგრამ ბედს არ ვემდური,
მაინც ბედნიერი ვარ.
მიყვარს გაჭირვებული,
მეც მისებრ ობერი ვარ,
თუმც არ მაქვს გროში ფული,
მაგრამ ბედნიერი ვარ.

»ის ებრძვის მუდამ გლეხთა დაჩაგრვას, ნაციონალურ დაბეჩავებას. თავის ბასრ კალამს მუდამ ლესავს ნაღველში და მედგრად ცელავს ბოროტების ყანას. ის არ ინდობს არავის და არაფერს, არც თავისიანს და არც სხვას, არც მეგობარს, არც გარეშეს, თუ კი მათ დაატყო ზნეობრივი წაფორხილება და საზოგადო საქმისთვის გადადგომა... აკაკი მუდამ და ყოველთვის, ყველგან და ყველაფერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის თავათ რჩება, ის უგალობს თავისუფლებას, მაღალ ზნეობას და სამართლიანობას“ (ნოე ჟორდანია. „თემი“ № 208)... აკაკი თავის პიროვნების და მოწოდების შესახებ ამბობს:

„თავისუფლად დავდივარ არც ბატონად,
არც მონად
ცა ქუდათ არა მეოფნის, დედამიწა—ქალამნად
უფრო სი არც უმცროსი ნებით არვინ
მეოდია!
ვინცა მცნობს და ვისაც ვსცნობ, ყველა
ჩემი ტოდია.
არც მქონია, არც რამ მაქვს, არც მექ-
ნება მგონია,
მაგრამ ჩემზე მდიდარი არც კი გამი-
გონია.
მე რომ მაქვს ის სიმდიდრე, დეთისაგან
მოცემულია:
სულია—ის საუნჯე და სიმდიდრე—
გულია“.

მართლაც, პოეტი აკაკი ეს ერთად ერთი პოეტია, რომელმაც არ ეძება არც სამსახური, არც ხარისხი, არც თბილი ადგილი და დიდი ჯამაგირი... მთელი თავისი ძალ-ღონე, მთელი თავისი სიცოცხლე უმსხვერპლა თვის მუზას.

პირველი საგანი მისი ლირიკისა—ეს სიყვარულია... ცისა და ქვეყნის კავშირი და შუამავალი... მგოსანს სიყვარული ესმის ვრცლად მთელი თავისი საღი მნიშვნელობით. მას, ღვთიურს ნიჭს, უგნურთა უმეტესობა ვერა გრძნობს, ვერც იცნობს, მხოლოდ ცილს სწამებს და მის მაგიერ იმის სახელით ის აღიარებს პირუტყვულ წამებს... დიდებული გრძნობა სიყვარულისა თვის სატრფო—სამშობლოს მიმართ აღაფრთოვანებს მთელ მის არსებას, შთაბერს გაფანტულ ძალას, აამოძრავებს მთელ მის ნერვებს და წარმოათქმევინებს უკვდავ სიმღერებს... პოეტი ეუბნება სიყვარულს:

„შენგან მგონანი ფრთებ შესხმული ვარ
და მონავარდე ადმაფრენითა,
რომ მეც გედიგით სიკვდილის წინეთ
უცნაურ ჭანგზე ჩავიხმატკბილო,
გცხო წმინდა სიმებს ციურ მადამოდ
და ვსთქვა კალობა საშვილი-შვილო.

უყვარს გატაცებული სიყვარულით თვისი სამშობლო და ჰსურს იმისთვის ბედნიერება... სამშობლო მისი ხატი იყო. ამ ხატზე მგოსანი ლოცვილობდა... ამ ხატ—სამშობლოს უგალობდა, მოხიბლული მის სიტურფით:

„მე მას ვუგალობ, ვისაც განგებამ
მშვენიერება უსხივეცისკარა,
ვინც ვარდს ედფერი, იას სინაზე
და ბულბულს ენა ერთად მოპარა.
ის არის ჩემი ტკბილი სიზმარი
და მომხიბლავი ტკბილი ოცნება.

პოეტს სურს, რომ მისი სატრფო—სამშობლოს სახელი

„კაითქვას ძველებურადა...
და მისიანნი ყველანი
ერთად სცხოვრობდნენ ძმურადა!..

სამშობლოს ესდენ მოტრფიალე მგოსანი ვერ შეურიგდებოდა იმ სენს, რომელსაც გადაგვარება, თვის თავის ეროვნული უარყოფა ეწოდება... ამ სენმა მესამოცე წლებში თავი იჩინა ქართველთა შორის... იგი ცხად ყოფდა, რომ ქართველი ერის ზოგიერთი შვილები საღ შეგნებას მოკლებული იყვნენ და გადაგვარების წიაღში მიივლტოდნენ მაშინაც, კი, როდესაც ამის ძალას არვინ ატანდა. ასეთი გადაგვარება მით უფრო საზიზღარია, რომ სრულიად არ შეეფერება ქართველი ერის შვილს, რომლის წარსული კულტურით მდიდარია... გადაგვარების მოსურნე ადამიანი თითქო შეჩვენებული

ადამიანია, განრიცხული, გათიშული საზოგადოების შემადგენელობიდამ.

„ბადაგვარების მოსურნე
ბუნებისაგან კრულია;
მისი ბარადი ტირსება
უოველგან დაჩაგრულია“.

საზიზღარია გადაგვარების სურვილი მაშინ უფრო, როდესაც გადაგვარების მოსურნეს ამითი სურს სხვა ვიდაც ასიამოვნოს, სხვისი ყურადღება და წყალობა დაიმსახუროს და თავისიანებზე, თვის ღვიძლს ძმებზე იბატონოს:

„კრულია მისი ხსენება,
ვინც დაჭგმობს დედა ენასა,
თვისტომს დალატობს და მითი
ებირობს მადლა ფრენასა!«

მაგრამ როდესაც ქართველ საზოგადოებრივს აზროვნობაში გამოიჭედა იდეა ერთგულ თვით გამორკვევისა და ქართულმა გონებამ შეამუშავა მთელი წყება იმ ზომებისა, რომელთ მეოხებით ქართულ ეროვნულ არსებობას მაცოცხლებელი ძალები შეეძინების, გადაგვარების მოსურნე ქართველები თითით საჩვენებელი შეიქნენ... მათი არსებობა გაძნელდა... მათ აზით დაღი იუდა გამცემლისა:

„თქვენი მიეთ-მოეთობა
ვედარ გასწრის, თქმა არ უნდა:
წადმა წახვალთ, თუ უკუდმა,
მაინც ვიცით ხართ იუდა,
ბირში ტკბილი, თავ-კატუნა,
კაიძვერა მედა-ბუდა...

ქართული თვითშეგნების განვითარებამ წარმოშვა დარბაისელ ჭკუადამჯდარ, საქმიერ მამულიშვილების გარდა ისეთი გროვა მამულისშვილთა, რომელთაც მხოლოდ ლხინისა და ქეიფის დრო ღვინის ორთქლის გავლენით გაახსენდებათ თვისი სამშობლო... ასეთი მამულისშვილების რიცხვი ფრიად დიდია ჩვენს ქვეყანაში... ისინი ხოცმეტებივით დასწოლიან სამშობლოს დაავადებულ სხეულს და ოდნადაც ხელს არ უწყობენ მის გამომრთელებას. აკაკის მქიხლავი სატირა ასეთ მამულისშვილებს არ დაივიწყებდა... მან აი როგორ შეამკო ეს ვაჟ-ბატონები.

„ჩემისთანა ბატრიოტი
განა არის სადმე კიდე?
გარწმუნებთ, რომ ვერ შეხვდებით,
ვინდ მოდახოთ კიდით კიდე.
დვინოს ბევრს ვსვამ, მიუვარს მწვადი,
არტადა და ჩახოხბილი.
ფლავსაც ხომ სულ ხელითა ვჭამ,
რომ არ მოხვდეს ჩანგალს ბილი.
რაც შეფერის მამულისშვილს,
ვასრულებ მეც უველაფერსა,
უკუდმართი ხმით ვიმღერი
ქართულ მრავალ ჟამიერსა.
მე არაფერს არ ვმუშაობ,
მაგრამ სხვებსაც არ ვაძალებ.
რაც რომ მერგო მამაპაპის,
ნელა-ნელა ვაბრალალებ...
და ფულს ვხარჯავ ენიაზურად
ისე როგორც ჩადა-ბზესა,
მამის სულდ ვამიშვია,
ფფიცავ მამა-პაპის მზესა.
ერთი სიტყვით ქართველობა
ვამჯობარი მაქვს სრულად ტანში...
რომ მოგწონვართ, თქვენც კი ბატონთ
ბა დამიკარით ტაში!«...

ასეთი მამულის შვილების რიცხვი შემცირდება, თუ რომ ქართველი დედები აკვნიდგანვე ჩააგონებენ პატარა ბავშვებს სამშობლოს და მოძმეების სიყვარულს... და თვითაც თავის მხრით მისცემენ მათ საამისო კეთილ მაგალითებსა, ამის გამო აკაკის მოსწონს, უყვარს ნამდვილი ქართველი დედა, რომელმაც თვისი დედობრივი მოვალეობა შვილის აღზრდისა პირნათლად შეასრულა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მე შენ არ გეტრფი შვენებისათვის,
არც თითები გაქვს ბროლივით თლილი,
მე გიამბორებ ხელზე მისათვის,
რომ მაგით გეპურა მამულის შვილი.
შენს მკერდს ვემთხვიო მაქვს მე სურვილი
თეთრი რომ არის, მისთვის კი არა...
არა... მისთვის რომ მამულის შვილი
ჭეშმარიტ დედას მაგ გულში გეპურა«...

ცხადია, რომ აკაკის მამულისშვილი—ეს საქმიერობით, ერის ნამდვილ სიყვარულით შემკული ქართველთა,—ისეთი ქართველი, რომელიც გამსჭვალულია ხალხისნურ სულით და ნამდვილად ემსახურება ერის ზრდას და წარმატებას.

მაგრამ სადაა ამისთანა დედა?! მწარე სინამდვილე გვიჩვენებს მხოლოდ უდაბნოს ამ მხრით. ნამდვილ დედას, რომელსაც ესმოდეს ეს დიადი სახელი მისი ღრმა მნიშვნელობით, სულიერ-ზნეობრივად, ნაკლებად შეხვდებით: აწინდელი დედა

„ . . . . სხვა რამესთვის
მიქრის მოქრის და თართაშობს.
ადარ ახსოვს მას ოჯახი,
არ იგონებს ქმარს და ნაშობს.
სძულს წარსული, აწმყოს ეტრფის,
მომავალში მისთვის ბნელა«.

მაგრამ არც თუ მამაკაცები აკლებენ ხელს სამშობლოს დაქვეითებაში... მრავალი მამაკაცთაგანი შეგნებით არ ეპყრობა თავის მამულისშვილურს მოვალეობას და ამით ცუდი გავლენა აქვსთ ახალთაობაზე, რომელიც უფროსებს ბაძავს ავშიც და კარგშიც.

„აწ რადა ვართ?! დღეს სულ სხვა ვართ,
კარდვიქეტით მხოლოდ ენად,
მოუვრის გულის მოსაკვლელად
და მტრებისა მოსალხენად.
—„ჯამა გვინდა და სმა გვინდა“
ეი ჩვენი სახიერი!...
არ ვფიქრობთ, რომ დორმუტლობას
არც ზომა აქვს, არც სამზღვარი«.

ამისდამიუხედავად მგოსანი გამსჭვალული იყო დიდი იმედით თვისი სამშობლოს მომავალის შესახებ.

„ალე აჭეკვავდეს იმედი,
გულს ვერ გამიტეხს ჯადარა.

ილ. ფერაძე

(შემდეგი იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოსე წინასწარმეტყველის გარდაცვალება*)

(დეგენდა)

რაჟამს მოახლოვდა უკანასკნელი დღენი წინასწარმეტყველის სიცოცხლისა, ღმერთმა საბაომ აუწყა მცხოვრებთ, უსხეულთა მათ, რომელ არიან ცათა შინა.

— დღეს ჩემთანვე მოვალს სული ერთ-

*) ეს უცხო სიტყვა დეგენდასა ესე გამოითარგმანების: 1. ცხოვრება წმინდანისა საუკუნეთა მსვლელობაში აღწერილი და შემდეგში თანდათანობით მხატრულად ნაციონალურ ხოეზიის კიდოთი შემუშავებული, 2. ოქრო დეგენდა, ეს მეტის მეტი ხოპულარული (ხალხში გავრცელებული) კრებული მე XIII საუკ. იუო დაწერილი დათინურ ენაზე. მოგვითხრობს კატობრიობის მთელ ისტორიას ქვეყნის დაბადებიდან და ადამ-ევასაგან დაწყებული, მერე მისდევს მთელი რიგი მეტად საინტერესო დეგენდებისა, რომელიც შეეხება წმინდანთა ცხოვრებას. მე-XIII საუკუნეს მეორე ნახევარში დექსად კიდევ დაიწერა უშვლებული კრებული ეველა არსებულ დეგენდებისა, რომელიც შეიცავდა 100,000 (ასი ათას) დექს „Pasionocl", I ნაწილი შეეხება იესო ქრისტეს და ღვთის მშობლის ცხოვრებას, II ნაწილი მოციქულთა და მახარებელთა ცხოვრებას, III ნაწილი წმინდანთა ცხოვრებას. 3. დეგენდა ეთქმის აგრეთვე ხალხურ სიტყვიერებათა გადმოცემულს ამბავს, მოთხრობას, რაიმე დაუჯერებელ ზღაპრულ თქმულობას ხალხის ფანტაზიის ნაყოფს და სხვ. ივ. ალ.

გულის მსახურისა ყმისა მოსესი, განუმზადეთ მას ადგილი წიაღსა და სერაფიმთა მათ შორის.

ხოლო ყოვლად ძრიელმა უბრძანა მას ანგელოზს სიკვდილისასა—«წარვედ ქვეყანასა მას ზედა და მომიტა მე სული კაცისა მის, რომელი შევიყვარე მე და რომლისადმი გული ჩემი მიისწრაფის».

და შემოირტყნა, ანგელოზმან მან მახვილი იგი სიკვდილისა და დაეშვა ქვეყნასა ზედა და მიუახლოვდა სახლსა სამყოფელსა წმიდისა მის.

მას ჟამსა მოსე სწერდა გრაგნილსა-— ბოლო სტრიქონებს საღმრთოისა მას წერილებისას და ცათა დიდებისა შარავანდედი სხივით უბრწყინავდა სახეს მას წმინდანსა.

ანგელოზი კრძალვითა მიუახლოვდა, ხოლო ვერ გაბედა ფეხისტერფთა შედგმა სხივებთა მათ შორის, რომელნი უბრწყინავდენ სახეს წმიდასა მას. მაშინ ანგელოზი მიდგა დირესა, რომელ არს ზღურბლი კარისა მის და რქვა.

— მე წარმოვლენილ ვარ უფლისა მიერ სულისა შენისა წარსაღებად, ჰოი წმინდანო! მოემზადე განტევებად სულისა შენისა წმიდისა.

ხოლო მოსემ მოიბრუნა მისკენ ნათელი სახე თვისი გაბრწყინვალებული სიბრძნითა და ძალითა მისითა და მრისხა-

ნეთ შეჰხედა ანგელოზსა მას სასტიკსა მახარებელსა და რქვა:

— ოსანნა მაღალთა შინა!—არა შენ ჩაგაბარო სული ჩემი... განვედ ჩემგან!

ხოლო ანგელოზი იგი ხაროობდა.

მაშინ მოსემ განიშვირა მისკენ კვერთხი თვისი, რომელსა ეწერა წმიდა სახელი ღვთისა ელოვაი.

ანგელოზმა ვერა განუძლო საშინელსა მის სინათლესა, წმიდა სიტყვათა მათ ნაკვთისასა და დაემხო მიწასა ზედა თვალთა სიბრმავისაგან და ამაოდ მჭიმავი ფრთებთა თვისთა, ეძიებდა გზასა გამოსახსნელსა. მაშინ მოსე შეეხო კვერთხითა თვისითა ფრთებისა მის კიდესა და მეყვსეულად ფრთებმა ასწიეს ანგელოზი იგი და აღავლინეს ცათა შინა საბაოთა სამკვიდრებელსა მას წინასაუკუნოთა.

———

— წარვედ შენ და მოასვენე ცათა შინა სული მის მოსესი—მიიქცია პირი თვისი და ჰრქვა უფალმან მთავარ ანგელოზსა მას მიქაილს.

ხოლო ანგელოზმან მიქაელ თვალნი თვისნი დაუშვენ.

»ღმერთო, ღმერთო და მეუფეო წინასაუკუნეთაო!.. მე ვიყავ მასწავლებელი მისი და იგი მოწაფე ჩემი, ვითარ ძალ მიძს ხილვად სიკვდილისა მისისა?..«

მაშინ თვით ღმერთი საბაო ანგელოზთა და სერაფიმთა თანახლებით თვით დაეშვა მთითა მაღლით ქვეყანასა ამას ზედა და ხმითა მით ყოვლად ძრიელითა ჰრქვა წმიდასა მას მოსეს:

— შვილო ჩემო! მოემზადე განტევებათ სულისა შენისა რამეთუ აწ ჟამი შენი მოსრულ არს.

ხოლო მოსემ, წმიდამ ვით სერაფიმმა, იწყო მზადებად. აჰა ანგელოზთ და სერაფიმთა მათ განფინეს საფარი იგი ბისონისა და დადგრნენ თავთა სარეცელისა.

მოსე განისვენა სარეცელსა მას ზედა.

— დახურენ ქუთუთონი თვალთა შენთა! უბრძანა უფალმან ღმერთმან და დახუჭნა თვალნი მოსემ.

— დასხენ ხელნი შენნი გულსა შენსა ზედა და მეყვსეულად ჰრქვა უფალმან სულსა მას—მხევალო ჩემო!.. აწ დადგა ჟამი შენის განყრისა—განვედ და დასტოე სადგური ეგე.

მშვიდად ღაღად ჰყო სულმა მან სიღრმიდამ თიხისა მის:

— ოსანნა მაღალთა შინა! ასოც წვლ სულიერ ვყოფდი წმიდასა ამას სადგურსა თიხისასა, რომელი არს მტვერი ქვეყნისა და ვაძრიელებდი მას სულითა ძრიელითა. მე მიყვარს უმწიკვლო და წმიდა გვამი ესე, მე არ ძალმიძს განშორებად ამის.

— მხევალო ჩემო განვედ! მე მოქცე შენ განმზადებული ადგილი ტახტისა ჩემთა სამკვიდრესა თანა და იქნების ბრწყინვალება სხივთა დიდებისა შენისა, რომელ განანათლებს ყოველსა კუთხესა ქვეყანისა ამის.

სული ახანებდა...

მაშინ მეუფე წინასაუკუნეთა ეამბორა შუბლსა მოსესსა, რომელით სულიც განვიდა გვამისა მისგან და ჰმუნვითა სული იგი აღმაღლდა ზეცათა შინა საბაოსა...

გლოვისა ღრუბელმან შავად დაჰფარა ყოველი პირი ქვეყანისა და იყო ხმა მღაღადებელთ ცათა შინა: აწ ვინ-ღა დარჩების ქვეყანასა ზედა, რომელმან კაცთა ნათესავი ნათელ ჰყოს და დაამყაროს ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება.

ხოლო ქვეყანა იგი ასტირდა ხმითა დიდითა:

— მე დამაკლდა წმიდა იგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო კაცთა ნათესავი მწარედ გოდებდა;

— ჩვენ დავკარგეთ მწყემსი კეთილი.

— ჰოი მცირედ მორწმუნენო! — განისმა ხმა ძრიელი ყოვლად შემძლებლისა — მხოლოდ ახლა არს თქვენდამი წმიდანი და აწ გივისთ თქვენ მწყემსი კეთილი?!..

ილ. ალხაზიშვილი.

ჰეშმარიტს გზაზე

(შილლერ მიხაილოვსკისა)

(გაგრძელება *)

VII

ნათქვამია „რაც ფხიზელს ფიქრში აქვს, ის მთვრალს ენაზეო!“ ნუ თუ ჩემს არსებაში მართლაც ჩანერგა დიაცური სილაჩრე სემინარიამ, სიღარიბემ და უბინაობამ.—სრულიად დაახშესჩემში უჯიათი ხასიათი, ყმაწვილური გამბედაობა? და ნუ თუ, ამის ძალა-ღა შემწევს მხოლოდ, რომ დავემორჩილო ბედის უკუღმართობას; ვიტირო და მხოლოდ ვიტირო! არა! ეშმაკმა წაიღოს მორჩილება! შორს ცრემლები! გავკაჟდები, განვაგრძობ ხელ-ახლავ ადამიანებთან ბრძოლას, ვეომები ბედს! თავი საშინლად მტკივანეტა თუ, ყველა ასეთს მდგომარეობაში იმყოფება სჩის შემდეგ? თუ ესეც ჩემი — სემინარიაში დაშინებულ ბუნების ბრალია? ამ ფიქრებით ვიყავ მოცული მეორე დღეს და არც ავმდგარვარ საწოლიდან, საღამომდის უგემურად ვგრძნობდი თავს. აღარ ვფიქრობდი მიშაზე, ვფიქრობდი მხოლოდ იმაზე, თუ როგორ მომეწყო ჩემი მომავალი. ვფიქრობდი რამდენად ძნელია გზის გაკვლევა, როგორ ხშირად იღუპებიან ადამიანები, რომელთაც მშველელი არავინა ჰყავთ — ცხოვრებაში შესვლის პირველ ნაბიჯზე. ჩემს თავში ირეოდა კითხვები: დამნაშავენი არიან განა, ეს საცოდავნი? და საზოგადოება ნამდვილ ჰკარგავს მათში სასარგებლო ძალებს თუ არა?!

წარმოიდგენენ ყველა ჩემ მიერ ნახული ადამიანები. აი, თუნდ, გმირული, წარმოსადეგი ტანის მამა ჩემი. აი, ვხედავ იმის მძლავრს, მიწის მომუშავე ხელებს. იმის გაოფლიანებულ ფართო სახეს, მზისაგან დამწვარს. მთელი რომანებია, მთელი დრამები!.. შევსძახე და ელვასავით გამირბინა აზრმა: „რა იქნება, რომ ავწერო! მაგრამ ვერ შევჩერებულიყავ ერთ ფიქრზე, რადგან დიდი ხნის ნაცნობმა სურათებმა შემიპყრეს, მომაშორეს აწმყოს, მომავალს და გამაქროლეს შორეულ წარსულში... წარმომიდგა თვალ წინ მზით გავარვალებულ მინდორში მოსიარულე გლეხები, ნახევრად შიშველი ბიჭები — მტვერიან გვერდზე მორბენალი, ნახევრად წამოქცეული — ხელით დახურული ქოხები, დაგროვილი ძნები; მობიბინე ყანები, ძველი ეკლესია სასაფლაოთი, საიდანაც დაბლა დაზნექილ არყის ხეებში გამოსჩანან გვერდზე გა-

*) იხ. „განათლება“ № 2, 1917 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაზნექილი ჯვრები.—ცოცხალი სურათები იშლებოდა ჩემს თვალთა წინ, ფიქრთა წარმოდგენით და, თითქო დამკრთოდა გამომაცოცხლებელი, მყუდროებით მოცული ჰაერი. „წერა! წერა! წამოავლე ხელი კალამს და გადიღე ქაღალდზე ეს ცოცხალი, მკაფიო—თვისის დავრდომილობით – ცხოვრება!

ბურანში მყოფმა წამოვავლე ხელი კალამს და ვიწყე გაჩქარებით წერა. თავი ცეცხლივით მენთებოდა, არა მესმოდა-რა, ვერასა ვხედავდი. ვწერდი თითქო არეულათ. ბოლოს ფიზიკური ძალა მოდუნდა ჩემში, ნელა ვიწყე წერა, დავშოშმინდი. შევჩერდი. კიდეც გათენებულიყო. მთელ ღამეს მიწერია. არ წამოვდგარვარ საწოლიდან, ისე მივეც თავი ტკბილ ძილს. და, მესიზმრა ისევ ბავშობის დრო.

ამავ დღეს, სადილის შემდგომ წაველ გაკვეთილზე და დავბრუნდი ბინაზე საღამოს ჟამს. ვიწყე ჩემი დაწერილის კითხვა. ეს იყო ცოცხალი—ლირიკული პოეზია—პროზათ; საგულისხმო სურათები მკაფიოდ გამოხატული. არ იყო არავითარი შინაარსი იმისა, რაშიაც გამოიხატება სიყვარული ივანე ივანის ძისა—მარიამ ივანეს ასულისადმი; ან იმის აღწერილობა, თუ, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ როგორ იწყო მრავალ სიკეთის აღმოჩენა სამშობლოსადმი, თავის ლიბერალურის პროექტებით. აქ არ იყვნენ არც გმირები, არც არავითარი კვანძი. იყო მხოლოდ უბრალო—სადა ლექსი—მშობლიურ ბუდეზე—უცხო მხარეს გადახვეწილი ჩიტისა.

— ან ვარ განხორციელება ნიჭისა ან და, დამკარგვია ყოველი ნიჭი—კარგისავისაგან გარჩევისა, ვამბობდი გუნებაში. არა, ეს უკანასკნელი შეუძლებელია, არც ისეა საქმე; განვაგრძობ წერას, იქნება კარგი რამეც წარმოსდგეს და მაშინ... ჩემს თავში მრავლად დაიხატა გეგმები მომავალზე: მოღვაწეობა, შრომა—დიდებული სახელი!—ეს იყო ჩემი ოცნება!.. მაგრამ, ჯერ საქმე! ჯაფა!—ვეუბნებოდი ჩემს თავს და მივმართე ისევ შრომას...

ეს იყო საუკეთესო ხანა ჩემს ცხოვრებაში. ვითმენდი სიმშილს, მშვიდობიანად უცქერდი ჩემს გენიალურ მოწაფეთ, აღარ ვაქცევდი ყურადღებას ჩემს დაცვეთილ ფეხსაცმელებს და პალტოს. ვცხოვრობდი წარსულზე ფიქრით და განვიცდიდი ძალას სიყვარულისა, სიძულვილისა, ლმობიერებისას და სიმწარისას: ცხადათ მახსოვს ის წუთები, ჩემს ძვირფას მიშაზე რომ ვწერდი, იმის შეწყეტაზე; იძულებული ვიყავ მალ-მალ შევჩერებულიყავ წერის დროს, რომ მეწმინდა ჩუმი ცრემლები. არ ვიცი, შემდეგში—წამკითხველთაც იტირეს თუ არა იმათ წაკითხვაზე, მაგრამ ნიშნები კი ჩემის ცრემლებისა გამოსჩანან შიგა და შიგ იმსტრიქონებში. რომანი ნახევრამდის მივიდა, დასასრული თუმცა ისევ შორს იყო. სილარიბე თან და თან, უფრო მძლავრად მჭიდებდა ხელს. შიში შემეპარა, რომ სრულიად გამტეხდა იმ დროს, როცა ჩემი თხზულება კიდევაც მიქადდა ბედნიერ მომავალს. ცუდ გუნებაზე მყოფი, ერთხელ დავფიქრდი ჩემს გზა აბნეულ ამხანაგებზე და თვალ წინ წარმომიდგა სურათი ერთი გლეხი ბავშვისა, სილარიბისაგან და ნათესავთაგან დაჩაგრულისა. ესეც მთელი რომანია—მეთქი, გავიფიქრე: მაშ, დავწერ პატარა მოთხრობას იმ პოეტურ ბავშვზე. ადვილად მოვახერხებ; მასში აღებული გონორარი შემაძლებინებს პეტერბურგში წასვლას და ჩემი რომანის დამთავრებასაც. გადავწყვიტე ჩემი გეგმის სისრულეში მოყვანა, გულმოდგინედ შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეუდექი მოთხრობის წერას. სამი კვირის განმავლობაში დავათავე, გავგზავნე კიდეც პეტერბურგში, ჩემ მიერ მოწონებულ ჟურნალის რედაქციაში. თხზულებას მოვაწერე ჩემს ფსევდონიმათ „ფემისტოკლოვი«, თანაც მივიწერე, მაქვს რომანიც, რომელსაც მაშინ გამოვგზავნი, როცა ვნახავ დაბეჭდილს ამ ჩემს მოთხრობას, მეთქი. არც გვარი მოვაწერე ჩემი, არც ადრესი, იმის მორიდებით, რომ, თუ უვარგისათ ჩასთვლიდენ მოთხრობას, ხელი არ შეეშალა ამას ჩემი რომანისთვისაც. ერთ ოჯახში, სადაც გაკვეთილები მქონდა, ვნახე ერთხელ ნომერი იმ ჟურნალისა, და, დიდი ხნის თვალიერების შემდეგ დავრწმუნდი, რომ ჭაჭანებაც არაა ჩემი მოთხრობისა და, გულ დაწყვეტილმა ვანებე თავი თვალიერებას. ერთმა თვემაც განვლო. არც შემდეგ №-ში სჩანდა ჩემი თხზულება. ეშმაკმა წაგიღოთ—მეთქი, ვსთქვი და გადავწყვიტე მაინც განმეგრძო რომანის დათავება და, ქვეითად პეტერბურგს წასვლა. შემოდგომა ახლოვდებოდა. სემინარიიდან ჩემი დათხოვნის შემდეგ ეს მესამე შემოდგომა იწყებოდა. დასრულდა გაკვეთილებიც, ჩემი მოწაფენი მიიღეს გიმნაზიაში. უნდა ახალი გაკვეთილების ძებნას შევსდგომოდი, მაგრამ აღარ ვეძებდი. გადავწყვიტე პეტერბურგისკენ გამგზავრება. ადვილია თქმა „პეტერბურგში წასვლა“, მაგრამ ახლა შესრულება! მოსკოვამდის ვივლიდი ქვეითათ, იქიდან კი რკინის გზით მომიხდებოდა წასვლა; მაგრამ გზას ოთხი მანეთი მაინც სჭირდებოდა, რომელიც უნდა ჩემ მიერ შეგროვილ ცხრამეტ მანეთს მოჰკლებოდა, ეს კი შეუძლებელი იყო. ცოტაოდენი მაინც ხომ უნდა მქონოდა ფული, პეტერბურგში მისვლის პირველ დღეებში. მოვიფიქრე იმ გზით წასვლა, სადაც ადვილი იყო შეხვედრა მგზავრებისა და ქარავნებისა; ამ გვარ პირობებში მგზავრობა უფრო ხელსაყრელი იქნებოდა ჩემთვის. მოვიყვანე კიდეც სისრულეში ეს გადაწყვეტილება. ვიარე სოფლიდან-სოფლად, შევუერთდი ქარავანს. ვათევდი ღამეებს გლეხთა ქოხებში, ზეცამ უშველოს იმ გაუნათლებელ—მდაბიო ხალხს, რომ შიმშილით არ მომკლეს და მომავალ »განმანათლებელს“ შემაძლებიეს მიზანს მიღწევა. მე ვერაფრით შემეძლო სამაგიეროს გადახდა. ლუკმას შუა მიყოფდენ, მოქანცულს არ მიკრძალავდენ ურემზე მიწოლას დასაძინებლად; დაძონძილი, სემინარიიდან გამორიცხული იმათ —არ ჩამთვალეს მძარცველად, მაწანწალათ, და, ბინასაც კი მაძლევდენ ავდრიან, შემოდგომის ღამეებში.

პეტერბურგში ორშაბათ საღამოს მიველ. ჩემი ახალი ცხოვრება იწყებოდა მანკიანი დღით. სამშაბათს აბანოში წავველ, ფეხსაცმელიც ვიყიდე და გავეშურე რედაქციაში, ჩემი რომანის პირველი ნაწილით. ლაქიამ გააღო კარი და უკმეხათ მკითხა, თუ რა მინდოდა. ხელთ ნაწერი მოვიტანე — მეთქი, — უთხარი. დღეს არ არის მიღების დღე, შაბათს მოდითო,—მითხრა და მოხურა კარი. დავრჩი მოკეტილ კარებ წინ, გაოცებულივით. რა უნდა მექმნა, ფული თითქმის სულ გამომელია, ბინა კი, სადაც გავჩერდი, ათი შაური ღირდა, სადილიც—ხუთი შაური. ვიწყე სხვა ბინის ძებნა, აღმოჩნდა კიდეც, შაური ღამის გასათევში, სადილიც სამი კაპიკი, რომელიც შესდგებოდი ნახევრად ტალახიან წვნიანისაგან. იქ იყვნენ ჭუჭყიანი, დაფლეთილ ტანასამოსიანი—საეჭვო პირები, რომლებიც სრულად ჩემთვის გაუგებარს

ენაზე ლაპარაკობდენ: ერთმანეთს ეჩურ-ჩულებოდენ თითქო ნელი სტვენით, ცხენებს რომ წყალს დაალევინებენ წრეწუნით იმ ნაირად. ალმაცერად მიცქეროდ-ნენ,—უნდოთ. ესენი იყვნენ უქმად მოხეტიალე ქურდ-ბაცაცები.

თუმცა რატომაც არ შეიძლებოდა უშიშრათ მათ შორის ცხოვრება მომავალ რუსის მწერლისა? რადგან არა გააჩნდა რა, რას მოჰპარავდენ?

დიაღ, ვიმყოფებოდი შესაფერ ადგილს.

ნატ. გიგაური-გაბაევიხა.

მ ლ ე ს ა ვ ი

(გადმოგეთებული)

—ვლეეეე-სااااავ داااااانيييبس, مااااكراتلييييبس!

ყმაწვილის წკრიალა ხმა მკაფიოდ გაჰკიოდა დილის ნესტიან ჰაერში და თითქოს მოძახილს ეუბნებოდა ზარებს, რომელნიც ბოხი გუგუნით მიუწოდებდნენ მლოცველებს ცისკარზედ.

— ვااااწყოოობ სამართეებეييييلს!..

ნორჩი ყმაწვილი ჭაპანწყვეტით ეზიდებოდა ზურგზედ მოდებულს ვეებერთელა სალესავ დაზგას... კისრის მოქცევით აიღებდა მაღლა მშვიდსა და სანდომიანად ცქრიალა სახეს და მკვირცხლად მოელვარე თვალებს შეავლებდა ქალაქის დიდრონ შენობათა ზედა სართულებს: ვინძლო დამიძახოს ვინმემ ჯერ-კიდე ჩაბნელებულ ფანჯრებიდანო.

„დოუნ—დინ, დოუნ—დინ!...“

გუგუნებდნენ ზარები. ის კი ბავშვური წკრიალა ხმით მოსძახებდა:

— ვლეييييე-سااااااوا!..

ვიღაცის ღონიერმა ხელმა მრისხანედ ააცალა ფარდა ქვედა სართულის ერთ-ერთ ფანჯარას და გამოჩნდა ძილისაგან დაბუჟებული, წითლად გაჟღენთილი სახე. მუქარით გამოჰყო ვეებერთელა მუშთი და ლანძღვით ღრიალი მოართო.

— სამართებელს მოგცემ მე შენ თავში, შე ძაღლის შვილო, შენ!.. მოსვენებას აღარ დაგაცლიან კაცს... გასწი დამეკარგე აქედან, შე ტუტუცო!..

ბავშვთა მფარველი საზოგადოების წევრი ღირსეული სიმძიმით დინჯად მიაბიჯებდა ეკლესიისაკენ. გზა-ჯვარედინზე შესდგა. თავზედ დახოხოლიკებული მაღალი კათხა მოიხადა. ერთი ღრმად და ხარბად შეისუნთქა დილის გრილი ჰაერი. სქელი კანით ანაოჭებულს ლაზათიან შუბლზედ ცხვირსახოცი გადაისვა, ოფლი ჩამოიწმინდა და ბავშვს ყურადღებით თვალთვალი დაუწყო. ყური მიუგდო მისი ზარივით ხმის კრიალს:

— داااا-نيييبس ვლეييييე-سااااوا!—

და მცირე ჩაფიქრების შემდეგ დაუძახა.

ბავშვი მკვირცხლად შემოტრიალდა ტ მყისვე მასთან დაიბადა გულ-ამომჯდარი ქლოშინით. მსწრაფლად გადმოიღო სალესავი და წინსაფარის სწორებით მიმართა:

— რას მიბრძანებთ, ბატონო!

— ვხედავ, გიმძიმს მაგოდენა ტვირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თის ტარება, მინდა ცოტა შეგასვენო ტ დილის სიფთაც აგაღებინო. კარგი ხელისა ვარ. ამ სიტყვებით გაუწოდა ბავშვს კარგა მოზრდილი ჯიბის საკეცი დანა.

— აბა, ვნახოთ როგორი ოსტატი ხარ! თითქოს აქეზებდა ყმაწვილს.

აწრიპინდა, აზუზუნდა მანქანა. ცეცხლის ნაპერწკალთა წვიმა დაიფრქვა. რაც უფრო ხშირი იყო ეგ ნაპერწკლები, მით უფრო კმაყოფილება და სიამაყე იხატებოდა ბავშვის სახეზედ, თითქოს ეს მისი კარგი ოსტატობის ნიშანი ყოფილიყოს.

ბავშვთა მფარველი საზოგადოების წევრი ჯერ უსიტყვოდ ადევნებდა თვალს ამ ბრჭყვიალა ნაპერწკლებს, შემდეგ კი უსაქმობით მოწყენილმა, გულის გადასაყოლებლად ბავშვს მასლაათი გაუმართა.

— რამდენი წლისა იქმნები, ბიჭუნავ!

— აი, ამ მაისს ათისა შევსრულდები ძია-ჯან!

— სოფლელი ხარ?

— დიახ, სოფლელი გახლავარ, ბუზიანიდგან.

— აქ ვისთან ცხოვრობ?

— ალასთან, ძია-ჯან.

— დიდი ხანია?

— უკვე წილიწადი სრულდება.

— დედ-მამა გყავს?

— მყავს, მაგრამ?... თითქოს რაღაცა ჭნდოდა დაემატებია ვანმარტებისთვის, მაგრამ გააწყვეტინა ცნობის მოყვარე მუშთარმა.

— „მაგრამ“ რა? მამაშენს სოფელში მიწა-წყალი არაა აქვს?

— როგორც შეეფერება სიფლის გაჭირვებულ გლეხს,—ორიოდე დღის სახნავი და ცოტაოდენი სათიბიც.

— მაშ რად დაანებე ოჯახს თავი? განა ქალაქში მეტს გააკეთებ?

— ეხ, ძალიან ცუდი დრო დაგვიდგა, ძია-ჯან. ცხოვრება გასჭირდა. მთელი სოფელი ლამის სიმშილით ამოწყდეს... მე რაი შემიძლია, როცა მუშა ალარავინ დარჩა ოჯახში, რომ უპატრონოთ გაპარტახებულ საცხოვრებელს მიხედოს... ე რაღაც უბედურების ომი ატყდა, გაუთავებელი კი შეიქმნა-და... ძია-ჯან თქვენ სწავლული ბრძანდებით, უთუოდ გეცოდინებათ,—კიდე დიდხანს იქნება ომი? ე კაცი კი ალარავინ დარჩა-და!..

განსაკუთრებით ეს უკანასკნელი ღრმა გულამტკივნეული კილოთი წარმოსთქვა ბავშვმა.

— შეიძლება გაგრძელდეს!—ისე უხალისოდ მიუგო ბავშვთა მფარველი საზოგადოების წევრმა,—თითქოს აგრძნობინა: ამ შეუფერებელ საკითხზე რომ არ ილაპარაკო სჯობიანო.

— მართალია? — ამბობენ გაზეთებში წერიაო: ომი უსათუოდ ჩვენმა ხელმწიფემ უნდა მოიგოსო?.. რაღა მოგება-რა; ჩვენ კი ალარა ვართ მეტი-და!.. კაცი ალარ დარჩა: ბაბუა ჩემს ორი შვილი ყვანდა: მამა ჩემი და ბიძა ჩემი. ორივე წვრილი ცოლშვილის პატრონი და მოხუცი დედ-მამის მარჩენალნი- ორივე წაიყვანეს. ბიძიას ამბავი მალე მოვიდა: ი წყეულ გერმანიას ზარბაზანს მოეკლა. მისმა ამხანაგმა, შორეულ მეზობლის შვილმა მოგვწერა: ისე დაეგლიჯა ზარბაზანს, რომ ადამიანად საცნობიც ალარაფერი შერჩენოდა... მამა ჩემისა კი სრულიად არა ვიცით-რა, გარდა იმისა, რომ მამასთვის ეთქვა სოფლის მწერალს ვიღაცამ მოიწერაო, „ლევანი ჭკვალოდ დაიკარგაო“. იმედი გვაქვს: იქნებ ტყვედ არის წაყვანილიო, მაგრამ ვინ იცის? ე, ჩვენთვის კი დაიკარგა-და!..

— მერე-და, ვინ პატრონობს იმათ ოჯახს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვილა უნდა უპატრონოს? ორივე ოჯახი წვრილი ცოლშვილითა და მოხუცი ბებია ჩემიც ჩემს ბაბუას დარჩა სარჩენად.

— ბაბუა შენი ჯელია?

— აბა რას ბრძანებთ? ცხრა შვილიშვილის პატრონი სადაური ჯელი იქმნება? სამოცდა ათს გადაშორებულია. მოხუცს ჯანი ნაკლებად მოსდევდა. ამ დარდმა კი სულ გასტეხა. პატარეებში მე ყველაზე უფროსად ვითვლებოდი და ვიზიარებდი ბაბუასთან შრომის უღელს. მაგრამ თითქო განგებამაც კი შეგვიძულა და გაგვწირა. რაც ჩემი მამა და ძია ომში წავიდნენ, ორი წელიწადი ზედი-ზედ გვალვისაგან ყანები მოგვიცდა- მეტი ჯანი არ იყო; ბაბუა ჩემი წავიდა დღიურ სამუშაოში. მე კი აქ აღასთან დამტოვა ჯერ ხელობის სასწავლებლად, შემდეგ კი ჯამაგირში.

ბავშვთა მფარველი საზოგადოების წევრმა ღვთისნიერი სათნოებით ამოიოხრა:

— ჰეხ, განგებავ, ვითარ საიდუმლონი არიან გზანი და საქმენი შენნი!..

და მზრუნველობით ჩაჰკითხა:

— დიდ ფასში დაგაყენა?

— თხუთმეტი მანეთი და ხარჯი...

— თვეში?..

— სადაური თვეში?—წელიწადში!— ისე ბეჩავი ღიმილით გამოჰხედა ბავშვმა ცალ გვერდზე მუშთარს, თითქოს სახეზედ უნდოდა ჩუმათ წაეკითხა „მცდის, თუ დამცინისო“...

„ზუ-ზუ-ზუ-ზუ-ზუ-ჟ-ჟ-ჟჟ“, ზუზუნებდა ბორბალი.

პაწია ნაპერწკლები ელვასებრ გამოსხლტებოდნენ დანის პირიდან, ნახევარ წრეს ცეცხლის რკალად მოხაზავდნენ ჰაერში და მყისვე ჰქრებოდნენ.

— მერე-და — განაგრძობდა კითხვას ბავშვთა მფარველი საზოგადოების წევრი, მხოლოდ ნახევარის ყურადღებით, მეორე ნახევარი კი დანასა და ნაპერწკალთა ცელქობაზედ ჰქონდა მიპყრობილი.

— აღასთან კმაყოფილი ხარ? კარგად გეპყრობა? ხომ არა გცემს?

— არა მცემს? — მწარედ გაიმეორა ბავშვმა და შემკრთალ სახეზედ აღებეჭდა, თუ რა დიდი ბოლმა აუშალა გულში ამ მოგონებამ...

— მცემს და მერე როგორ?.. რომ იცოდეთ რა დახელოვნებულია!.. ჩემისთანა შეგირდი იმას ზოგჯერ ათამდე ჰყავს ხოლმე. ისე რიგად გაუჩვევია ხელი, რომ დაგვერევა, თვალის მოსწრებაზე სამი-ოთხი უკვე გულწასული, უგრძნობლად გდია, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ არც ერთს არივითარი ნიშანი არ დაეტყობა ნაცემისა. ოოოჰ, რა და-ხელო-ვნე-ბუ-ლი-ააა!..

— მიზეზი? ეგრე რათა გცემთ?..

ბავშვთა მფარველი საზოგადოების წევრი თითქო შეეცადა მღელვარება და აშფოთება გამოეხატა სახეზე თანაგრძნობის ნიშნად.

„ზუ-ზუ-ზუ-ზუ“, აზუზუნდა ისევ ბორბალი და ნაპერწკლებიც აქეთ-იქით გაიფანტა...

— იმათ, რომ ზოგჯერ სამუშაო ნაკლებია, ძუნწი მუშთრობა შეგვხვდება და მათი ნაბოძებით ვერ გაძღება მისი სვავი გული და ხარბი თვალები... განა ყოველთვის ერთი და იგივე შემოსავალი ხომ არ იქნება?—ისე მსჯელობდა პატარა ბავშვი, როგორც კარგა ხანში შესული, უკულმართ ცხოვრების ბრძმედში გამოვლილი და მის სიღრმე-სიგანეს ჩახედული ადამიანი...

— ზოგჯერ დღეში მანეთს გავაკეთებთ, ზოგჯერ ორს, ზოგჯერ სამსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი, მაგრამ ისიც მოხდება ხოლმე, რომ ხანდისხან სრულიად ხელცარიელი ვბრუნდებით... ოხ, საშინელია ამ მწარე დღეების მოგონებაც კი... მთელი დღე უჭმელ-უსმელი დაწანწალებ. სხეული მთლად გიკანკალებს სიმშილითა და დაქანცულობით. ილაჯ გაწყვეტილი სულს ძლივას მოაგდებ შინ და იქაც დამშვიდების ნაცვლად მათრახები და წიხლები მოგელის...

ბორბალი შეჩერდა. ბავშვმა თავი მაღლა აიღო, დანა წინსაფარს შეაწმინდა, შემდეგ ცერის ბრჩხილზე დასცადა მისი სიბასრე... ამ დროს მისი თვალები უნებურად მოხვდნენ მოსაუბრის თვალებს და უკანასკნელმაც ცხადათ შენიშნა,— როგორ ანესტიანებოდა ბავშვს ნაღვლიანად გამომზირალი თვალები. სახის ხაზებიც რაღაც ნერვიულად უთამაშებდნენ, და ამ მთრთოლვარე ტუჩებით თითქოს დაასკვნა:

— ზოგჯერ მზად ვარ, პირდაპირ თავი დავიხჩო, ეტლს ჩაუვარდე ან ეგ დანა გულში ჩავიცე და ამ აუტანელ სიცოცხლეს სამუდამოდ გამოვესალმო, მაგრამ როცა ეგ საშინელი აზრი გამირბენს თავში, გული სხვა გრძნობით ამეტყველდება: და მომაგონდება საბრალო ჩემი დედა, ბაბუა, პაწია დაჟ-ძმანი, დამწუხრებულნი, გაუბედურებულნი, რომ მარტო მე-ღა დავრჩი იმათ ნუგეშად. მომაგონდება,—როცა პირველად ქალაქს მოვდიოდი, დედა გამოთხოვებისას გადამეხვია და ასე მითხრა: „შვილო, სიყმაწვილე გამწარებულს, სიბერის დღენიც არ დამაშხამო... შენ მაინც მყვანდე ნუგეშად“... მომაგონდება და ისევ თავს შევიმაგრებ და ვურიგდები ყველაფერს, ყველაფერს ავიტან, სანამ მეყოფა ძალა და მოთმინება!..

— როგორ თუ მშიერი?... არ შესმის, განა საჭმელსაც არ გაძლევსთ?

— როგორ! რისთვის! რათა!..—თითქო გამოაჯავრა მიუხვედრელ მოსაუბრეს და ბავშვს რისხვის ცეცხლი აენთო ნორჩ სახეზედ, თითქო ეს კაცი ყოფილიყოს მიზეზი მისი უკმაყოფილებისა...

— იმიტომ, რომ—აუწია მლესავმა ხმას,—ის გაძაღლებული და სულკატიანი ბებერი—ტარტაროზია, ეშმაკისა და ქაჯების კერძი...

— ჰმმმ... შეკუმშა ბავშვმა მუშთი და სათნოიანმა თვალებმა უცებ ბოროტების ცეცხლის ნაპერწკლები გადმოაკვესეს... კრიჭა შეიკრა და ღრმად ყელში გამოსთქვა:

— მისი მშობელ-შემქნელის სული ცეცხლსა და მდუღარებაში კი დაიხრაკოს მისთანა ტარტაროზის დატოვებისთვის...

— შენ, ჰეი, ცოტა არ იყოს!.. თითის ქნევით დაემუქრა ბავშვთა მფარველი საზოგადოების წევრი. ყმაწვილს უფროსთან თავის დაჭერა გმართებს, თავმდაბლობა!.. რა ვუყოთ... რომ...

— მართალია, ძია-ჯან!—წამს თითქო შეჰკრთა ბავშვი... მაგრამ მალე ისევ განმარტა ნათქვამი...

— თავმდაბლობა! ადვილი სათქმელია. მაგრამ ჩვენ ხომ მთელი დღეები და თვეები მშიერ-მწყურვალი დავეხეტებით ასე ქუჩა-ქუჩა, სხვათა კარ-და-კარ, თითქმის მოწყალებისთვის... აბა ათრიეთ აგრე ადრიან დილიდან დაღამებამდე აგრეთი ჯალგანა (მიუთითა მანქანაზე) და მაშინ იტყვით, ეგ ხომ სამ ფუთამდე იქნება... ვცხოვრობთ კი როგორც პირუტყვები, როგორც ძაღლები: დილით გამხმარი პურის ყუა და ცივი წყალი. მაგრამ ეგ მხოლოდ დილით და შემდეგ კი მთელი

Digitized by

დღე სრულიად აღარაფერი!... ჰო, თუ ბედმა გაგვიღიმა და დღე ბარაქიანი შეგვხვდა, კიდევ კარგია,—შეირბენ სადმე სახარჩოში, თუ მეხაშესთან, შაურისა თუ უზალთუნის ცხელ რასმე შეხვრეპ, მაგრამ ძვირად, ძალიან ძვირად გაგვითენდება ასეთი »დღესასწაული“... და მაშინაც დიდი სიფრთხილე გვმართებს, რომ დიდი უბედურება არ დაგვატყდეს თავს... ის სულკატიანი სულ გვითვალთვალებს, და ვაი ჩვენს მოსწრებასა, თუ რამ ჩვენი საქციელი თვალში არ დაუჯდა... აი, ეხლაც შეიძლება სადმე ახლოს კუთხეში სდგას და თავისი ჭოტის თვალებით გვზვერავს... ასეთი წყეულია ი ეშმაკის კერძი ისა!... აი, რა მიყო ერთხელ: მთელი ორი დღე მოუსვენრად ვიარე ქუჩა-ქუჩა მშიერი, და გროშიც ვერსად ავიღე... გაჯავრებულმა აღამ მესამე დილით ლუკმა-პურიც არ მასუნთქა ისე გამომაგდო ქუჩაში... ბედათ დილიდანვე ხეირი დამყვა, ჯერ შუა დღეც არ იქნებოდა, რომ მე მანეთამდე გავაკეთე. მაგრამ მეტი კი ვეღარ ავიტანე, დავიქანცე, საშინლად დავიქანცე, მუხლები მომეკვეთა, გული შემიღონდა. თავბრუ მესხმოდა, თვალები მებინდებოდა. კუნთები სრულიად მომიდუნდა... აბა წარმოიდგინეთ: სამი დღის უჭმელი, ამოდენა ტვირთის ტარება და 9—10 იარაღის გალესვა... ვიფიქრე: »მოდი ცოტას დავნაყრდები, გულს დავიმაგრებ, ჯანს მოვიკრებ და მუშაობასაც უკეთ შევძლებ«- მეთქი. იქვე ერთი დაბენძღილი დუქანი იდგა. შეველი. საჭმელების სუნი რომ მეცა, ასე მეგონა გულის ძარღვები დამიწყდა მეთქი. და კუჭშიაც საშინელი წვა ვიგრძენი... საჩქაროდ მივუჯექ მაგიდას და ნახევარი კერძი წვნიანი მოვითხოვე. მომიტანეს. ცხელი „ოშხივარი« ბოლოთბოლოთად ასდიოდა. პირდაპირ ცხვირ-პირში შემომიკმია. ისეთი შეკაზმული კი იყო რომა, ვაჰხ!.. მარტო მისი მოხარშული დაფნისა და მიხაკ-დარიჩინის სურნელება დაატკბობდა და დაათრობდა კაცს... ოქროს ფერი გაგაბი სქლად მოეტივტივებია თავზედ და შედედებული ქონი ფართე-ფართე მარგალიტის თვლებივით მჭიდროთ შემოსხდომოდნენ მათლაფასა... შუაში კი ისე მიმზიდველად ამოეყო თავი კარგა მოზრდილ ხორცის ნაჭერს, თითქო თავს აწონებდა თავის მასპინძელსა და მადას უმრავლიცებდა. ისეთ-ნაირად ასდიოდა ორთქლი, თითქოს ცოცხალია და სუნთქავსო. სწორედ რომ მშიერს კი არა მგონი ყელამდე მაძღარსაც კი მოთმინებას დაუკარგავდა. ჩემზედ კი სწორედ უფრო გადაჭარბებული გავლენა მოახდინა და... მეტის სურვილით გული კინაღამ არ წამივიდა. მზად ვიყავ ერთის მოქნევით მათლაფიან-იმიანა გადამეყლაპა...

სწორედ ცოფიანივით ვეძგერე კარგა მოზრდილა ხის კოვზსა და ის-ის იყო უნდა ვზიარებულვიყავ, პირველი მოხვრეპით ყელი ჩამეტკბანურებია, რომ შეშლილივით შემოვარდა დუქანში ჩემი აღა... ერთი დაჭრილი ნადირივით შემომიბღვირა... და... დაიღრიალა და დაიღრიალა თავისი ქონმორეულ ყელში ჩახლეჩილ-ჩახრინწიანებული ხმით...

— განა შენ ეგრე ემსახურები შენს აღასა?.. დამავლო ხელი ქოჩორში, მთელი მუჭა თმა ჩაიბღუჯა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა რომ დამიქნია, კინაღამ ტვინი კარებზედ არ მიმასხმევინა და მთელი მუჭა ბანალი კი ხელში შერჩა... ქორივით დამაცხრა ხელმეორედ, ორთავე ხელებით მხრებში ჩამაფრინდა და დამიწყო ჯანჯღალი ისე, როგორც მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიტანი გამოსარეცხ ტიკს დაანჯღრევს ხოლმე...

— გემრიელი ყოფილა ხარჩო?!.

ღრიალებდა ცოფიანივით პირზე დორბლ მორეული.

— გაგიტკბა განა, აღის ფულით ცხელ-ცხელი წვნიანები! სამი დღეა გროში არ მოუტანია. თურმე აი, რას სჩადის... შე ავაზაკო, შენა!..

სახარჩოში ჩემს გარდა სხვანიც იყვნენ ათამდე მეკურტნენი და სხვა მუშები. ყველანი ფეხზედ დადგნენ.

— როგორ ჰბედავ ასე საქვეყნოდ, ხალხის თვალის წინ!..

რამდენიმე ჯეელი ბიჭები გარს შემოერტყნენ და მუქარით მოუღერეს მუშთები...

მოვეცეთ ლხენა და წყალობა ღვთისა მე იმან ფიცხლად ხელი მიშო...

როგორ გამოველი ღუქნიდან, როგორ მოველი ბინაზედ, აღარაფერი მახსოვს, მხოლოდ გონს მოველ მაშინ, როცა ეზოში შევირბინე. შევძვერი სადღაც კუნჭულში მიყრილ შეშებსა და ფიცრებს შუა და გავინაბე... გული მიძგერს, ისე მიძგერს, ლამის ამოვარდეს. თან მთელის ტანით ვძიგძიგებ... მაგრამ... როგორ გგონიათ?.. მაინც ხომ მიპოვა იმ ძაღლთა მოდგმისამ!.. იმ...

— ლესე, ლესე!—გააწყვეტინა ბავშვთა მფარველი საზოგადოების წევრმა თავისი ჭირვარამის დასურათებით გატაცებულ ბავშვს.

— ძალიან კი ნუ შესტოპე, ნუ დაგავიწყდება, რომ მე ცისკარზე მივეჩქარები.

უფრო მკვირცხლად აზუზუნდა ჩარხი... თითქო ბრაზმორეული, განრისხებული ცეცხლის ნაპერწკლებს აფრქვევინებდა ურჩს ფოლადსა...

— ეეეეხ!... ცხოვრება კი არა, სწორედ კატორღაა ჩვენი ყოფა, ნამდვილი ჯოჯოხეთი.

მწვავე გულის ტკენით ამოიოხრა პატარამ და ამ გრძელი ამოოხვრით იმდენი ბოლმა-ნაღველი გამოხატა ათის წლის ბავშვმა, თითქო მის თავზედ წისქვილის ქვა არ მობრუნებულა, თორემ სხვა არა დაჰკლებია-რაო!..

— ეხლა საწოლს არ იკითხავთ? სწორედ ძაღლებივითა ვყრივართ ფარღალალა „სარაიაში«, ზამთარ-ზაფხულ ულოგინოთ, უტახტოთ, უქვეშაგებოთ... ჰეეეხ! კიდე უფრო ღრმათ და გულდათუქვით ამოიხვნეშა პატარამ, თითქოს ამ ამოხვნეშას უნდა თან ამოაყოლოს ან დაგუბებული ნაღველი, ან წამებული სულიო... და, რაღაცა იდუმალ გრძნობათა ღელვით მკრთალად გაიღიმა, თითქოს თავის სიბეჩავეს თვითონვე დასცინისო...

ბავშვთა მფარველი მაზოგადოების წევრს გულში ჩასწვდა ბავშვის წრფელ განცდათა ცეცხლით გამთბარი სიტყვები, მწარე სინამდვილე ცოცხლად დაეხატა თვალწინ, მაგრამ ამან მისი განვლილ ცხოვრების მძიმე ტვირთ ქვეშ დადუმებული და გაცივებული გული, იმდენად ვერ შეაშფოთა, რომ რამე ახალი აქტიური და ცხოველი მოქმედება გამოეწვია. და მანაც მიმართა თანაგრძნობის გამოხატვის შაბლონურსა და უშინაარსო სახეს: მწუხარებით გადააქნია თავი და ამოიოხრა.

— საბრალო ბავშვები!

— ვინღაა ძია-ჯან ჩვენი შემბრალებელი, პატრონი და დამცველ-მფარველი. ვის რად შესტკივა გული, თუ სადღაც— ვიღაც უპატრონო და უღონო ბღარები იტანჯებიან, უსამართლოდ იჩაგრებიან ულმობელი ბატონის კლანჭებში?...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩარხის ზუზუნი შეწყდა. ბავშვი წელში გაიმართა. მას სახე უფრო დანაღვლიანებოდა. თითქოს გაფითრებულიყო. ცრემლ მორეული თვალები კი უფრო ღრმად დაფიქრებულიყვნენ... ცალი ხელით წინსაფარი აიწია, რომ ზედ დანა შეეწმინდა; მუხლებზე გადაფლეთილი ჭუჭყიანი შალვარში, ჭუჭყიანი ხორცი გამოუჩნდა...

— მზად გახლავთ!—მოკრძალებით გაუწოდა გაპრიალებული დანა.

პატრონმა დანა ჩამოართვა, თვალთან ახლოს მიიტანა, გადააბრუნ-გადმოაბრუნა და როცა ნაკლი ვერა უპოვა-რა, ჯიბისაკენ წაიღო და თან შეეკითხა:

— რამდენი გინდა?

— რამდენიც თქვენი ნება იყოს!

— არა, მაინც ჩვეულებრივ რამდენს იღებ?

— როგორც შეგვხვდება ხოლმე, ძიაჯან... თქვენ კი სხვასავით არ გამოგეკიდებით, უზალთუნს დაგჯერდებით.

— რაო!—წარბშერჭმით ჩაჰკითხა გაოცებულმა მუშთარმა.—უზალთუნიო!!! ერთი პაწაწა დანის გალესვა და უზალთუნი?!..

თანდათან უმაღლებდა ხმას... შენ, ჩემო ძამიავ, ხომ არ გაგიჟებულხარ?... ااا? მე მუდამ და ყოველთვის შაურს ვაძლევ ხოლმე, ყოველთვის... აი, ეხლაც შაური, ჰა, დაიჭი!—ხელთან ახლოს მიუტანა შაურიანი.—დაიჭი ჩქარა თორემ ამასაც დაჰკარგავ.

მოულოდნელობით დაფანტულმა ბავშვმა უგანაჩენოთ ჩამოართვა ფული.

— ძია-ჯან არ ეყოფა, ცოტაა? აკანკალებული ხმით ემუდარებოდა ბავშვი.

— მეტს ერთ ფარასაც ნუ ელი!—მტკიცედ წარმოსთქვა მან და გასწია.

— „უზალთუნი“—გააჯავრა ბავშვს.

— სად გაგონილა?.. ერთ ფინჩხა ჯაყვაში „უზალთუნიო“. შენ გეტყობა ჭკუაზედ არა ხარ!

ბავშვთა მფარველი საზოგადოების წევრს მეტის-მეტი სიბრაზისაგან სულთქმა გაუხშირდა, თვალები დაებერა და პირის სახეზედ წამოსჭექა, ოფლი დაასხა. მეორედ მოიხადა მაღალი კათხა და აბრეშუმის ფართე ცხვირსახოცით შეიმშრალა შუბლი და ტიტველ თავზედაც გადისო...

— „უუზაალთუუნიი!..“ გამოჯავრების კილოთი იმეორებდა იგი და გამალებით მიაბიჯებდა ეკლესიისაკენ, რათა ცისკარზედ არ დაჰგვიანებოდა და მით ქრისტიანული სარწმუნოებრივი ადათი არ შეელახა.

— ااا?.. ერთი მაგათ დახედეთ-და! „უზალთუნიო!“ სად ნახულა ეგეთი საზღაპრო, მამასისხლური დაფასება?!.. მუდამ და ყოველთვის შაური და მორჩა... —ის უკმაყოფილოდ იქნევდა თავს—მოდი და შეიბრალე მაგათთანა უმანდურნი... შენ იმათ იბრალებ, თანაუგრძნობ და ისინი კი!..

— ვლეეე-სااავ დااანეეებს!

უკვე შორს გაისმა წკრიალა ხმა ბავშვისა, ნელ-ნელ გაიბნა ჰაერში და, ჯერ კიდევ რიხიანად მოგუგუნე ზარების გრიალში ჩაიკარგა. მაგრამ მალე ისევ განმეორდა, თითქო უნდოდა იმ ზარებისთვის გადაეჭარბებია და იმათ გუგუნზე უფრო ღრმათ ჩასწვდენოდა მსმენელთა ყურსა და გულს და წვრილი, სრულიად ნორჩი ბალღის ხმით დასძენდა:

— ვااააწყოოობ საااამااართეეებეეელს!

ილ. გოგია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ.

(დღევანდელი მომენტი. მოწოდება ერთობისაკენ. ავტონომიური საქართველო. ხელშეკრულობა მეფე ერეკლესა და იმპერატრიცა ეკატერინე მეორეს შორის. როგორ გაძარცვეს ივერიის ეკლესია რუსის მოხელეებმა. ხალხის გადაგვარება რუსული სკოლების წყალობით. მასწავლებლის მოვალეობა დღევანდელს მომენტში.

დიდებული ამბავი მოხდა. მთელი უზარმაზარი რუსეთის ბიუროკრატიული მთავრობა, რომელიც მაჯლაჯუნასავით აწვა მთელს რუსეთს და უფსკრულისკენ მიაქანებდა, ის მთავრობა, რომელიც გმობდა ყოველგვარ ადამიანურს ღირსებას არა-რუსთა ერებში და მუდამ მათს გადაშენებაზე ფიქრობდა, ის მთავრობა, რომელმაც წაართვა ქართველ ერს ყოველი ძვირფასი საუნჯე, სარჩო-საბადებელი, პირიდან ამოგლიჯა ენა და მთელი საუკუნე ჩვენს გადაგვარებას სცდილობდა, დაემხო მეფიდან დაწყებული უკანასკნელ მოხელემდის. ყველა აღტაცებულია ამ დიდებულის მოვლენით, ყველა ერთხმად მხარე უჭერს ახალმთავრობას და მის მოწოდებას, ყველა გულისფანცქალით მოელის, რომ დამფუძნებელი კრება, რომელიც ახლო მომავალში იქნება მოწვეული, არარუსთა ერებსაც მიანიჭებს საწადელს თავისუფლებას, რომელსაც სრული სამართლიანობა მოითხოვს. რა გვმართებს კერძოდ ჩვენ ამ დიდებულს მომენტში. პირველ ყოვლისა—ერთობა. ამის შესახებ გაზეთი «ჩვენი მეგობარი» ასე მოგვიწოდებს:

«მძიმე, ხანგრძლივი ბრძოლა გაიარა ხალხმა, ვიდრე დღევანდელ გამარჯვებას მიაღწევდა. რამდენი უმანკო, წმინდა სისხლი, ზვარაკი შეეწირა უსამართლობის, ბნელეთის ღმერთს, რამდენი გმირული სული, ზემადლი გასრისა მტარვალთა ტლანქმა ძალამ! მაგრამ ბოლოს, როგორც ყოველთვის, ბნელეთის სამეფოს დასასრული დაუდგა და ჭეშმარიტება—ძლევამოსილი თავისუფლება — მოელი თვისი სიდიადითა და დიდებულობით ჩვენ წინაშე სდგას ბრწყინვალე სახით...

მაგრამ ეგზომი დიდის მსხვერპლით მონაგარსა შერჩენა უნდა,—აი საითკენ უნდა იყოს მიჭედილი მთელი ყურადღება ძლევამოსილთა, აი საით უნდა იყოს მიმართული მთელი ძალა, მხნეობა დღეს გამარჯვებულთა! ბნელეთს არ სძინავს. იგი დამარცხებული ირაზმება. გაფაციცებით თვალ ყურს ადევნებს მტრის ყოველ ნაბიჯს, მარჯვე დროს ეძებს იმისათვის, რომ მტერს ცბიერათ მიეპაროს და უკანიდან ზურგში ლახვარი ჩასცეს...

როგორ, რა საშუალებით შეუძლია ხალხს მონაგები შეირჩინოს, უზრუნველყოს და განამტკიცოს? მხოლოდ ერთობით და კვლავ ერთობით. საჭიროა ყველა იმ ძალთა გაერთიანება, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველს რეჟიმს ებრძოდა, თავისუფლების ძიებაში ბევრი სისხლი დაანთხია, ბევრი მწარე დღენი იწვნია. ერთობა უნდა იყოს უდიდესი და უპირველესი ლოზუნგი მომენტისა, ერთობა არის ის ძალა, რომელსაც მხოლოდ შეუძლია გაუმკლავდეს და დასცეს კონტრრევოლიუცია, რომელიც, უეჭველია, დღეს არა,—ხვალ იფეთქს. შეთანხმებით, ერთობით მოქმედება,—აი სადღეისო იარაღი პოლიტიკური ბრძოლისა, ახალი მთავრობის პოზიციის განსამტკიცებლათ! ვისაც ეს ცხადი, მარტივი ჭეშმარიტება არ ესმის, ვინც დღეს, ამ უდიდესი პოლიტიკური გარდაქმნის ჟამს რუსეთში, კვლავ განაგრძნობს სიტყვას გამთიშველს სხვადასხვა კლასთა შორის, სიტყვას კლასთა თანამშრომლობის შეუძლებლობაზე, ის უნებური მტერია ახლისა და ხელის შემწყობი ძველისა, რომელსაც თვით იგი ებრძვის.

მაშ, ერთობა და კვლავ ერთობა!

ერთობა იქ, იმათთან, ვინც რუსეთის წეს-წყობილების განახლებისათვის იბრძვის! ერთობა სრულიად რუსეთის მშრომელ ხალხთან, რომელიც ზიდავს მთელს სიმძიმეს ბრძოლისას აწინდელ დიად ისტორიულ მომენტში! ერთობა ჯართან, რომელმაც ხალხის მიერ დაწყებული ხანგრძლივი, მკაცრი ბრძოლა ეგრე ბრწყინვალეთ დააგვირგვინა, ეგზომ დიდი ღვაწლი დასდო თავისუფლების წმინდა საქმეს! ერთობა ხალხის მოძრაობის იმ ხელმძღვანელთა და მესვეურებთან, რომელთაც დღევანდელ რევოლიუციონურ მთავრობას სათავეში მოექცენ და გაწამებულს სულისკვეთებას ხალხისას ბოლო მოუღეს, იმედებს ფრთა შეასხეს!..

ერთობა აქ, ჩვენ შორის იმავე განახლების საქმეში! ერთობა აქაც კლასთა შორის იმ დრომდი, ვიდრე მოგებულ გამარჯვებას საფუძვლებს გავუმტკიცებდეთ, ვიდრე დადგებოდეს ის დრო, როდესაც პოლიტიკურათ ახალის წესწყობილებით გამაგრებულ რუსეთში კვლავ შესაძლებელი გახდება ურისკოთ, უხიფათოთ სოციალური ბრძოლის დროშის აფრიალება, მანამდი კი ერთობა და კვლავ ერთობა ყველა ოპოზიციონურ კლასთა, წოდებათა, პოლიტიკურ მიმდინარეობათა, ცალკე პირთა, ორგანიზაციათა.

ერთობა აქ, საქართველოს განახლების საქმეში! ერთობა ქართველი ერის ეროვნულ-პოლიტიკურ ზრახვა-მისწრაფებათა განხორციელების საქმეში! ერთობა პოლიტიკური ავტონომიისათვის უკვე კაი ხანია დაწყებულ ბრძოლაში! ერთობა ყოველთა, ვისაც კი თავისუფალ რუსეთში თავისუფალი საქართველო სწადია იხილოს, ჩვენი ერისა და სრულიად რუსეთის სახელმწიფოს საკეთილდღეოთ და სასიკეთოდ!

მაშ, ერთობა და კვლავ ერთობა მართლმორწმუნეთა, თვალხილულთა, კეთილგონიერთა ახალი წესწყობილებისათვის დაწყებულ ბრძოლაში, რამეთუ, ვფიქრობთ, არა არს გონიერება, არა არს ჭეშმარიტება, გარეშე იმისა, რაც ამ ბრძოლას მიზნათ დაუსახავს.

და ვინც იმ ერთობას, შეთანხმებით მოქმედებას, რომლისადმი მოგიწოდებთ დღეს თქვენ, თავისუფალო მოქალაქენო, განურჩევლად ეროვნებისა, კლასისა, წოდებისა, პოლიტიკური აზროვნებისა, გადაეღობება ან უღალატებს, ის ქვეყნისა და ქართველი ერის მოღალატეთ გამოვაცხადოთ, ის ახალი წესწყობილების მტრათ აღვიაროთ, ის თავისუფლების ჯალათათ ვიცნოთ!

მაშ, ერთობა და კვლავ ერთობა!.. ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის ჩვენი წმინდა მოქალაქეობრივი მოვალეობა ახლანდელ დიად ისტორიულ მომენტში.

ერთობასთან ერთად, რასაკვირველია არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი გასაჭირიც და თავის დროზე მოვითხოვოთ თავისუფალ რუსეთისაგან თავისუფალი საქართველო. ამ საკითხში ორი აზრი შეუძლებელია. აქაც ამ საკითხში ამ მომენტში ყველანი განურჩეველად წოდებისა და პარტიებისა ერთს და იმავეს უნდა თხოულობდეს ე. ი. ავტონომიურს საქართველოს, რომლის საკითხს გაზეთი „სახალხო ფურცელი“ ასე გვიშუქებს:

«რუსეთის რევოლიუცია გრძელდება, არაა ბრძოლა ქუჩებში, მაგრამ ირღვევა ძველი წესწყობილება, შენდება ახალი, იფანტება შავი ღრუბლები და თანდათან იწმინდება ცა თავისუფლებისა. რევოლიუციის მთავრობა, რომლის მთავარ ძალას შეადგენს ფართო დემოკრატია, რომლის იმედი ემყარება დარაზმულ ხალხს, მხნედ და გაბედულად განაგრძობს ბრძოლას ძველი რეჟიმის წინააღმდეგ და ჰქმნის ახალს პირობებს თავისუფალ მოქალაქის აღსაზრდელად. იბადება ახალი ერი, ერი თვითმმართველი, ღირსებით აღჭურვილი, რომელიც ამხობს ძველს კერპებს ეწაფება თავის აღდგენას. ჩვენ წინ დიდებული ბრძოლაა რუსის ერისა და რუსეთის სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნისათვის: ან უნდა დაიღუპოს, სამუდამოდ დაიმარხოს რუსის ხალხი, ან უნდა მოიპოვოს თავისუფლება და აღადგინოს შელახული და გათელილი ადამიანობა.

ან სიკვდილი, ან თავისუფლება! ან აღდგენა ან დასამარება! აი ისტორიული საკითხი დღეს რუსის ერისათვის.

განა ჩვენთვის მისაბაძი და სამაგალითო არაა ასეთი თავგანწირული სულისკვეთება? განა ჩვენ გულზე ხელებ დაკრეფილი უნდა შევცქეროდეთ დღევანდელ რევოლიუციონურ მომენტში ჩვენი ერისა და მამულის არსებობას? განა არ უნდა აგვიტაცოს, ფრთები არ უნდა შეგვასხას ჩვენი ერის განთავისუფლებამ? განა დღეს არ უნდა ვიცნოთ ჩვენი ეროვნული პიროვნება, ჩვენი სახე და არ გამოვაცხადოთ, რომ ვართ ერი, რომლის უფლებანი უნდა დაუყონებლივ იქნას აღდგენილი?

მთელი ქართველობა უნდა შემოიკრიბოს გარშემო ჩვენთვის ამ საბედ-სწერო საკითხმა. აქ არ უნდა იყოს პოლიტიკური აზრების სხვა და სხვაობა. აქ არ უნდა იყოს პარტიობა და ჯგუფობრივობა. აქ არ უნდა იყოს წინააღმდეგობა რომლისამე წოდებისა და კლასის მხრივ—აქ ყველა ერთის სულით და ერთის მისწრაფებით უნდა იყოს აღფრთოვანებული. დღეს შენდება რუსეთის სახელმწიფოს ახალი წესწყობილება—იქნება ეს საპარლამენტო მონარქია თუ რესპუბლიკა, იგი ძირიან ფესვიანად შესცვლის დღევანდელს პოლიტიკურს ურთიერთობას. და არ შეგვიძლია გაბედულად და ერთხმად არ მოვითხოვოთ ჩვენი ეროვნულ-პოლიტიკური თვითარსებობის უზრუნველყოფა. დღევანდელ პირობებში ეს შეესაძლებელია საქართველოს ეროვნულ ტერიტორიალურ ავტონომიის დაწესებით. ავტონომია შეჰქმნის აუცილებელ პირობებს ჩვენი ყოველმხრივი განვითარებისა და დაწინაურებისთვის. ავტონომია ისეთი ელემენტარული გარანტიაა ჩვენი ცხოვრებისთვის, ურომლისოდ ერთს ნაბიჯსაც ვერ გადავდგამთ პროგრესისაკენ, ვერ დავიცავთ ჩვენს ენას, ჩვენს კულტურას, ჩვენს შემოქმედებას და ურომლისოდ მოგველის სრული დაცემა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

განადგურება. თუ დღეს ჩვენ არ მოვიპოვეთ ავტონომია—ეს იქნება უდიდესი დანაშაული ჩვენი ხალხის წინაშე. პოლიტიკურ ეროვნულ თავისუფლებას მოკლებული ქართველი ერი ვერასოდეს დაახწევს თავს სიღატაკეს, გონებრივ სიბნელეს, უფლებობას და დაადგება სრულს გადაგვარების გზას...

ყველაფერი ეს კარგად უნდა გავითვალისწინოთ და მედგრად ავმართოთ დროშა საქართველოს სრული ავტონომიისა. ეს დროშა უნდა იყოს წმიდათა წმინდა ყოველის ქართველისათვის მიუხედავად მისი პოლიტიკური და სოციალური მრწამსისა. საქართველოს ავტონომია უნდა იყოს ის მინიმუმი მოთხოვნილებისა, რომელმაც უნდა შეადუღოს და შეაერთონ მთელი ქართველობა. ყველამ თავი უნდა მოიყაროს ამ ლოზუნგის გარშემო და მთელს თავის არსებით უნდა იბრძოლოს მისი განხორციელებისთვის, ყოველი მსხვერპლი უნდა შეეწიროს ამას, ყოველი ფიქრი და ზრახვა უნდა მიმართული იყოს ამისკენ. ჩვენი მისწრაფება ამ საქმეში უნდა იყოს მტკიცე და შეურყეველი, ჩვენი მსჯავრი კი შეუბრალებელი, სასტიკი და მრისხანე. შეუწყნარებელია რაიმე დათმობა და კომპრომისი, ორჭოფობა და ყოყმანობა, როდესაც უნდა მოეწყოს ერის თავისუფლება, როდესაც უნდა გადაწყდეს ერის ბედი!

მაშ ხელში ავიღოთ ყველამ, მთელმა ერმა ეროვნული თავისუფლების დროშა და ვიბრძოლოთ თავგანწირულად საქართველოს ავტონომიისთვის.

გაუმარჯოს ქართველი ერის თავისუფლებას!

გაუმარჯოს ავტონომიურ საქართველოს!..

მთელმა ქართველმა ერმა კარგად უნდა იცოდეს, რომ საქართველო—რუსეთს ნებაყოფლობით შეუერთდა, მას სრულს თავისუფლებაზე ხელი არ აუღია და რუსის მთავრობამ-კი უსირცხვილოდ დაარღვია ის ხელშეკრულობა, რომლის ძალითაც საქართველო გადავიდა რუსეთის მფარველობის ქვეშ. როგორც მკითხველებმა უნდა იცოდეს პირველი და უმთავრესი მომენტი არის 1783 წლის ხელშეკრულობა რუსეთის დედოფლის ეკატერინე დიდსა და ქართლ კახეთის მეფის ერეკლე მეორეს შუა, რომელიც დაიწერა ქ. გეორგიევსკში. შინაარსი ამ ტრაქტატისა ასეთი არის:

მუხლი 1. 1783 წ. ტრაქტატით ქართლისა და კახეთის მეფეებმა იცვნეს უზენაესი ხელმწიფება და მფარველობა რუსეთის იმპერატორებისა და პირობა მისცეს მათ ერთგულებისა და სახელმწიფოს სასარგებლოდ მსახურებისა.

მუხლი 2. რუსეთის იმპერატორებმა კი მიიღეს თავიანთ თავზე ეს უზენაესი მფარველობა ქართლისა და კახეთისა და პირობა დასდეს, რომ ხელუხლებლად შეინახვენ ამ სამეფოს ტერიტორიას.

მუხლი 3. ქართლისა და კახეთის მეფეებმა მოვალეობად მიიღეს მემკვიდრეობით ტახტზე ასვლისას, გამოითხოვონ იმპერატორებისაგან დამტკიცება და ინვენსტატურა.

მუხლი 4. უცხო სახელმწიფოებთან დამოკიდებულება დაუმორჩილონ იმპერატორების კანტროლს.

მუხლი 5. რუსეთის მთავრობასთან დამოკიდებულებისათვის ქართლისა და კახეთის მეფეს უნდა ჰყოლოდა მინისტრი, ან პრეზიდენტი რუსეთის ტახტის წინაშე და რუსეთის მთავრობას—ქართლ კახეთის მეფის ტახტის წინაშე.

მუხლი 6. რუსეთის იმპერატორებმა ვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად იდვეს: ქართლისა და კახეთის ხალხი მიიღოს, როგორც რუსეთის ახლო მოკავშირე და მათი მტერი ჩასთვალოს თავის მტრად, მეფე ერეკლე და მისი მემკვიდრენი დასტოვონ განუწყვეტლივ ქართლ კახეთის სამეფოს ტახტზე, ქვეყნის შინაგანი გამგეობა, სამართალი და ხარჯის მოკრეფა ყოფილიყოს ქართლ-კახეთის მეფის სრულს უფლებაში და რუსის არც სამხედრო, არც სამოქალაქო მოხელეთ უფლება არ ჰქონოდათ რაიმე განკარგულება მოეხდინათ

მუხლი 7. ქართლისა და კახეთის მეფეებმა ივალეს: თავიანთ ჯარებით ყოველთვის მზად ყოფილიყვნენ იმპერატორის სასამსახუროდ, დაეკმაყოფილებიათ ყველა კანონიერი მოთხოვნილება მისი (იმპერატორის) წარმომადგენელისა, დაეფარათ რუსეთის ქვეშევრდომნი ყოველგვარ შეურაცყოფისაგან და შევიწროებისაგან და მოსამსახურე პირთა დაწინაურებისა და დაჯილდოების დროს სახეში მიიღონ ამ პირების დამსახურება რუსეთის ტახტის წინაშე.

მუხლი 8. ქართველთა კათალიკოზი დაინიშნოს უწმინდესი სინოდის წევრად.

მუხლი 9. ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობას მიეცა რუსეთის თავად-აზნაურობის უფლება-უპირატესობანი.

მუხლი 10. ქართლ-კახეთის ყოველ მცხოვრებს რუსეთში დასახლების, მგზავრობის და დაბრუნების უფლება ჰქონდეს.

მუხლი 11. ქართლისა და კახეთის ვაჭრებს რუსეთში და რუსეთისას ქართლ-კახეთში თანაბარი უფლება-უპირატესობანი ეძლეოდეთ.

მუხლი 12. ეს ტრაქტატი სამუდამო და უცვლელია და თუ რაიმე ცვლილება ზემოთ მოყვანილ ტრაქტატში შეიძლებოდა მომხდარიყო, მხოლოდ ორივე მხარის (ქართლ-კახეთისა და რუსეთის) თანხმობით.

ეს ხელშეკრულობა ეკატერინე მეორისა და ერეკლე მეორის შორის დიდის ამბით გამოაცხადეს ტფილისში აგვისტოს 20-ს, ნოემბერში-კი ერეკლეს ჩამოუტანეს ეს ხელშეკრულობა ეკატერინეს ხელმოწერილი და დამტკიცებული. ერეკლემ ერთგულებაზე შეჰფიცა რუსეთის იმპერატორებს, თავ. გარსევან ჭავჭავაძე დაინიშნა ერაკლის წარმომადგენლად რუსეთის იმპერატორების ტახტის წინაშე; ნოემბერშივე ტფილისში ჩამოვიდა ორი ბატალიონი რუსის ჯარი. ორივე მხარე მეტად კმაყოფილი იყო: ერაკლი იმიტომ, რომ ეგონა მშვიდობიანობის და ხელშეუშლელ ცხოვრების განვითარების ხანა დაუდგა საქართველოსაო და ეკატერინე მეორე-კი იმიტომ, რომ სისხლ დაუღვრელად, უმსხვერპლოდ ასეთი ძვირფასი განძი შესძინა რუსეთის იმპერიას, როგორც იყო და არის საქართველო.

სხვა აუარებელ უბედურებათა შორის, რაც თავს დაატყდა საქართველოს რუსების მოხელეთა ხელში, აღსანიშნავია დაკარგული სიმდიდრე ივერიის ეკლესიისა, რასაც კონ. ყიფიანი გაზეთ «საქართველოში» ასე აგვიწერს:

«უკვე განვლო ერთმა საუკუნემ მას აქეთ, რაც საქართველომ დაჰკარგა პოლიტიკური თავისუფლება. უკვე განვლო ასმა წელმა, რაც რუსეთის მთავრობა მაჯლაჯუნასებ დააწვა ჩვენს ხალხსა და სწოვდა სისხლსა. ამ ხნის განმავლობაში ატყავა ქართველი ხალხი; წაგვართვა სამართალი, სასამართლოებსა და სასწავლებლებში მოსპო ქართული ენა. მშრომელი ხილხი მათს გადასახადებს ველარ აუვიდა. ქართველისთვის პირში სულიც

კი შეშურდა და ყოველთვის იმის ცდაში იყო, რაც შეიძლება მეტი ხალხი გადმოესახლებინა შიდა რუსეთიდან ჩვენ საუკეთესო მიწა-წყალზე მაშინ, როდესაც ერთი ციდა ადგილი ჩვენც არა გვყოფნიდა.

მთავრობა ყოველთვის იმის ცდაში იყო, რაც შეიძლება ისეთი ექსარხოსები გამოეგზავნა, რომელთაც უფრო კარგათ გაეძარცვათ და გაეყვლიფათ უძველეს ივერიის ეკლესიის ქონება, ძალით აღმოეფხვრათ ქართული ენა და შემდეგ ნაძარცვ ქონებითა და ფულით დაბრუნებულიყვნენ რუსეთში.

ასე მოიქცა ევსევი, რომელმაც 200,000 მანეთი დაუტოვა თავის მემკვიდრეებს და პავლეც, რომელმაც კვერთხით ხელში დასწყევლა ივერიის ეკლესია და თვითონაც წყეული ხალხის მიერ გაიქცა საქართველოდან.

სინოდმა აუწერელ ვნებისა და ბოროტების მეტი არაფერი მისცა ქართულ ეკლესიას, მისთვის ეს ეკლესია ნამდვილი ბარბაროსული ქვეყანა იყო.

სინოდის მოხელეებმა მტკვარში გადაჰყარეს ყველა კანონები და დადგენილებანი შესახებ ქართულ ეკლესიისა. დასწვეს აუარებელი უძველესი საეკლესიო დოკუმენტები; რაც დარჩა, პეტროგრადში წაიღეს და ბოლოს ივერიის ეკლესიასაც ავტოკეფალია წაართვეს. მათ მოსპეს 25 ეპარქია, რომელთა შორის ზოგი 15 საუკუნის განმავლობაში არსებობდა. გაანადგურეს მრავალი ძველი მონასტერი და ქართული საეკლესიო მამულები ხაზინას გადასცეს.

გარყვნილი ექსარხოსი თეოფილაქტი პირდაპირ ახრჩობდა ქართველებს და იქამდის მივიდა, რომ შეეხო წმიდა ნინოს საფლავსაც, მაგრამ ღმერთმა აღარ დააცალა და იქვე საფლავთან ამოართვა სული; ექსარხოსმა ევგენი ბაჟენოვმა მონისტრები და ეკლესიები დაქურდა; ისიდორემ ქართული ეკლესიებს მამულები წაართვა; ექსარხოსმა ევსევი ილინსკიმ, რომელიც მეტად გახრწნილი იყო, გაჰყიდა ქართველ კათალიკოსთა უძვირფასესი სამოსელი, ხატებსა და სამოსლებს ძვირფასი თვლები ჩამოხსნა და მონაწილეობა მიიღო გელათის მონასტრის საუნჯეთა დატაცებაში. ექსარხოსმა ევსევიმ რამდენიმე ასი-ათასი მანეთი იშოვა, იმის ექსარხოსობის დროს კი ქართულ ეკლესიას ორი მილიონ მანეთის ნივთები დაეკარგა. პავლე ექსარხოსმა ძვირად მოიხსენია ქართული ენა და ქართველი ერი. ამის გამო თავად აზნაურთა წინამძღოლმა დიმიტრი ყიფიანმა 8 ივნისს 1887 წ. ექსარხოსს წერილი მისწერა და შეუთვალა, ბოდიში უნდა მოიხადოთ ქართველ ერის წინაშეო. მაგრამ საქმე სხვანაირად დატრიალდა: მაშინდელმა კავკასიის მთავარმართებელმა დონდუკოვ-კარსაკოვმა ექსარხოსის თხოვნით ყიფიანი სტავროპოლში გადაასახლა. მალე ყიფიანი პეტროგრადში გაიწვიეს საქმის გამოსაკვლევად, მაგრამ იგი მოკლულ იქმნა იმ სასტუმროში, სადაც სცხოვრობდა. მოსყიდული მკვლელი ვერ აღმოაჩინეს.

1870 წლამდის გელათის მონასტერს აუარებელი სიმდიდრე ჰქონდა. იმ დროს გელათში ინახებოდა: უძველესი, მე-XI საუკუნის ქართული სახარება ოქროს ყდით, იშვიათის და საოცხოვო მაილიკებით. ეს სახარება ექსარხოსის ნებართვით წაიღო ქუთაისის გუბერნატორმა ლევაშოვმა, რომელმაც ოქრო ჩამოხსნა და ვერცხლის ყდა გააკეთებინა. ეხლა წინანდელი ოქროს ყდა ინახება პეტროგრადის სტროგონოვის მუზეუმში, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელსაც იგი გრაფმა პანინმა გადასცა.

ამ ყდაში ინგლისელები იძლევოდნენ ერთ მილიონ მანეთს. ამავე ეკლესიაში ინახებოდა იმერეთის კათოლიკოსთა საპატრიარქო სამოსელი, რომელიც სტამბოლის აღებამდის იყო გაკუთებული და ძალიან ძვირად ღირდა. ამ სამოსელიდან გადაადნეს 8 გირვანქა ოქრო, მხოლოდ მარგალიტებიდან და ფირუზებიდან ქალებს სამკერდურები დაუკეთეს. გელათის მონასტერი გასძარცვეს პანინმა და ლევაშოვმა ექსარხოსის ნებართვით. ამავე ხანებში ამავე ექსარხოსის ნებართვით სიონის უძვირფასეს ტაძრიდან დაიკარგა აუარებელი სიმდიდრე: ოქრო, რამდენიმე ფუთი მარგალიტი, ფირუზი და სხვა ძვირფასი ქვა. ასეთივე დღე დააყენეს მცხეთისა, ალავერდისა, ბოდბისა, ნინოწმიდისა, ივანე ნათლიმცემლისა, ჯუმათისა, შემოქმედისა, მარტვილისა და სხვა მონასტრებსა და ტაძრებს.

რამდენიმე წლის წინად სიონის ტაძრიდან გრაფმა ბობრინსკიმ ექსარხოსის ნებართვით მრავალი ძველი ხელნაწერი წაიღო. გელათის მონასტრიდან დაიკარგა საპატრიარქო თვალ-მარგალიტებით შემკული მიტრა, რომელსაც ამშვენებდა მეფე ვახტანგის გვირგვინის ბრილიანტის ჯვარი. ვახტანგმა ეს იშვიათი და საუცხოვო ბრილიანტები სპარსეთიდან ომის დროს იშოვა. პავლეს დროს მეტეხის ტაძრიდან დაიკარგა ხუთი ათას თუმნად ღირებული მეტეხის ხატი, რომელიც წინად ცხრა-კლიტულშა ინახებოდა. 1891 წელს ეს ხატი ამავე ეკლესიის სახურავის ქვეშ იპოვეს, მაგრამ ზედ აღარაფერი ჰქონდა. იმავე ექსარხოსის დროს სიონიდან დაიკარგა ძვირფასი ნინო-წმიდის ღვთის-მშობლის ხატი. ჰალლადიმ ერთ სომეხ მხატვარს ნება დართო საქართველოს მონასტრებიდან მრავალი ხატი წაეღო და გაეყიდნა, ამიტომ მოხდა, რომ უძვირფასესი და საუკეთესო ქართული მანუსკრიპტები ლონდონსა, რომსა, პარიზსა და ბერლინის მუზეუმებში ინახება.

ამ ჟამად ქართულ საექსარხოსოზე იხარჯება 809,000 მანეთი. აქედგან 200,000 მან. იხარჯება რუსის და ბერძნების სამლვდელოებზე და ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებაზე, მაგრამ ამაზე უფრო საინტერესო ის არის, თუ რამდენი სახალხო ქონება წაიღო რუსეთის მთავრობამ საქართველოდან.

ქართულ ეკლესიას რუსეთის მთავრობამ ჩამოართვა თბილისში ერეკლეს აბანო, 13 ბაღი, 11 სახლი, 28 დუქანი, 1 სამლებრო, სათევზაო ადგილი, ქარვასლა და ადგილი ზომით 437,719 ოთხკუთხი საჟენი, საერთოდ ღირებული 28.910,000 მანეთად. თბილისის გუბერნიაში: 2 საგაჯო ადგილი, 11 საკირე, აგურხანა, 9 სამლებრო, 2 თევზის დუქანი და 282,600 დესეტინა მიწა, სულ 79.570,000 მანეთად ღირებული. იმერეთში: 40,475 დესეტინა მიწა, 29,787 500 მანეთად ღირებული; გურიაში; 336 დესეტინა, 328,000 მანეთად ღირებული, საერთოდ კი მთელი წართმეული ქონება ღირს 137,600,000 მანეთი. ამას რომ საეკლესიო 14,147 კომლი გლეხი მივუმატოთ, 140,333,000 მანეთზე მეტი გამოვა. ამ რიგად, რუსეთის მთავრობამ ქართველ ერს ას-ორმოცი მილიონი მანეთი წაართვა. მერე იცით, რას ნიშნავს ერთი მუჭა ხალხისთვის ას-ორმოცი მილიონი მანეთი? ამ აუარებელ ქონების, სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ, 15 მილიონი მანეთი წმინდა შემოსავალი ექნებოდა.

საყურადღებო ის არის, რომ სომხებს

1905 წ. მთავრობამ უკანვე დაუბრუნა საეკლესიო მამულები; საქართველოს საეკლესიო მამულების შემოსავალი კი, რომელიც წელიწადში ათ მილიონ მანეთს უდრის, დღესაც ხაზინას მიაქვს და ამ ფულიდან ქართულ ეკლესიაზე მხოლოდ $^3/_4$%-ს ხარჯავს.

კერძო კაცის ცხოვრებაში ასი წელიწადი დიდი დროა; ამ ხნის განმავლობაში კაცი იზრდება, ვითარდება, თანდათან ბერდება და კვდება კიდეც. ერის ცხოვრებაში, რაც უფრო მეტი დრო გადის, მეტი გამოცდილება, მეტი სიბრძნე და აზრის სიმწიფე ემატება ხალხს. განვლილი ასი წელიწადი ამ გამოცდილების, გამჭრიახობის და თვითცნობიერების თავდები უნდა იყოს, განვლილი ცხოვრება, თავისი შეცდომებით, თავის უკუღმართობით გონების გასავარჯიშებელი, გონების გამოსაფხიზლებელი მასალა უნდა იყოს.

განვლილი ერთი საუკუნე წარსულ ცხოვრებისა გვავალებს, რომ ჩავუფიქრდეთ ჩვენს მომავალს. რა არის ჩვენი მომავალი? ერთის კალმის მოსმით არ ითქმის, ვერ გადაწყდება. იმას დიდი მოფიქრება უნდა, წარსულის ცოდნა, წარსულ ცხოვრებასთან თანამედროვე ცხოვრების დაკავშირება. ამ კითხვებზე პასუხის მოცემისთვის ერთად-ერთი უტყუარი გზაა — თვითცნობიერების განმტკიცება, გაღონიერება; თვით ცნობიერების გაღვიძება სულიერ წარმატების თავდებია.

ერის ცხოვრებაში მისწრაფება ციდან კი არ უნდა ჩამოვარდეს, არამედ თვით ცხოვრებიდან წარმოსდგეს, იმის საჭიროებიდან; ხოლო ეს ჩვენი უცოდინარობა, სხვათა შორის, ჩვენი წარსულის უცოდინარობიდან იბადება. და აი სწორედ ამისათვის აუცილებლად საჭიროა შევიძინოთ და გავითვალისწინოთ ის ხანა ჩვენის ისტორიისა, როდესაც საქართველო, როგორც დამოუკიდებელი, პოლიტიკური მთელი რუსეთს უერთდებოდა, და როდესაც, სწყდებოდა მისი მომავალი სვე-ბედი.

ერთ მორწმუნე პატარა ხალართველოს ერი შეუერთდა რუსეთის ძლიერ ერს, შეუერთდა თავისი ნებით და არა ბრძოლით. როგორც ტრაქტატები მოწმობენ, საქართველოს მართვა-გამგეობა დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ სააქაო სამოთხე იშოვნა, როგორიც იყო და არის საქართველო, ამის ამის მაგიერ ჯილდოთ რა გვიძღვნა... ტანჯვა-წამება, აკლება-აოხრება. რაც ამ ას წელს დააკლდა და ვერ შეისრულა, ეს უკანასკნელს წლებში შეგვისრულა გაგვახსენდა შაჰბაზის და აღა-მამად ხანის დროინდელი ხანა. ისე ააოხრა ყველაფერი საქართველოში, რომ ქვა-ქვაზედ აღარ გაუშვა, გაანადგურა და ცეცხლს მისცა დასავლეთ საქართველოს დაბა-სოფლები. აღარ დაინდო მოხუცი, აღარც უსუსური ბავშვი, ყველას ნამუსი აჰხადა რუსის მხედრობამ. ხალხი ხევებში გაიხიზნა, რათა შვილს დედა და ქმარს ცოლი გადაერჩინა ბილწ ბაშიბუზუკების ხელიდან. ყველგან სისხლის მორევი იდგა. საქართველოს ქალაქებში სახრჩობელა დადგეს და ზედ დაჰკიდეს სიმართლის მაძიებელნი, წუთი-სოფელს გამოასალმეს მართლის მთქმელნი.

ამ უკანასკნელ ორ წელს საქართველოდან რუსეთის ცივ ქვეყნებში 200,000 კაცი გადაჰლუპეს. აი ასეთი ჯილდო უძღვნეს რუსეთის მოხელეებმა საქართველოს იმის შემდეგ, როცა «ბრწყინვალე თავად-აზნაურობამ დიდის ამბით იდღესასწაულა 1901 წელს რუსეთთან ასი წლის ტანჯვა-წამება და დიდი ქებათა-ქე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა შეასხეს რუსეთის მოსყიდულ მოხელეებს».

რა ჰხდებოდა ამ ასი წლის განმავლობაში ჩვენი ერის სწავლა-განათლების დარგში, ეს ყველამ კარგად ვიცით—წინად არსებული ქართული სკოლების დახურვამ და წმინდა რუსული სკოლების გავრცელებამ ქართველი ერი სულიერად გადაგვარების გზას დააყენა და თუ რუსის ძველმა დახავსებულმა მთავრობის მოხელეებმა ეს ვერ შესძლეს, ეს აიხსნება ქართველი ერის ძლიერი კულტურით, რომლის განადგურება მთლად ვერ შესძლო უხეშმა ძალამ. დღეს გვიდგება ახალი ხანა, გვითენდება ბედნიერი დღე, რომელსაც შენატროდა მთელი ქართველი ერი, დღეს სწყდება ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხი და ამ საკითხის გადაწყვეტაში დიდი მოვალეობა წევს სახალხო მასწავლებელსაც. მისი მედგარი ხმა ერთობისკენ უნდა იწვევდეს ხალხს და უნათებდეს გზას ახალის ცხოვრებისათვის. მაშ გაუმარჯოს ერთობას, რომელსაც მოჰყვება მიჯაჭვული ამირანის განთავისუფლება—თავისუფალ რუსეთში თავისუფალი საქართველო.

ქართველ დემოკრატიას!

ამხანაგებო!

დიდ რუსეთთან შედარებით ჩვენ რიცხვითა და სამშობლოს სივრცით ერთს წვეთს წარმოვადგენთ ზღვაში.

მიუხედავათ ამისა ჩვენ ძლიერნი ვართ სულით.

ჩვენი სულის სიძლიერე იმდენათ დიდია, რომ ჩვენისთანა პატარა ერს დიდი რუსეთის დროებით მთავრობაში თვისი წარმომადგენელი ჰყავს—კარლო ჩხეიძე.

ქართველებს სრული უფლება გვაქვს, ვიამაყოთ ამ გარემოებით

ჩვენს ისტორიაში ოქროს ასოებით უნდა ჩაიწეროს, რომ რუსეთის დროებით მთავრობაში ერთი წევრი ქართველი დემოკრატიის წარმომადგენელი იყო.

ვინ შექმნა ჩვენი სულის სიძლიერე, ვინ გვარგუნა ეს უფლება, ვამაყობდეთ დღეს ჩვენის თავით?

თქვენ, ამხანაგებო!

ქართველმა მშრომელმა ხალხმა, ქართველმა დემოკრატიამ აამაღლა ჩვენი სამშობლო იმდენათ, რომ რიცხვით მცირე ქართველი ერი რუსეთის დროებით მთავრობას ერთ საუკეთესო წევრს აძლევს.

კარლო ჩხეიძის სახით დიდმა რუსეთმა პატარა საქართველო მიიწვია და ეუბნება მას: შენ აუცილებლათ საჭირო ხარ, რომ მე განვახლდე და დემოკრატიული წყობილება მოვიპოვოვო.

ამხანაგებო!

თქვენ რომ მარტო ამით დაკმაყოფილდეთ, თკვენს მოწოდებას, თქვენს დანიშნულებას, თქვენს მოვალეობას სამშობლოს წინაშე უღალატებთ: თქვენ ვალდებული ხართ, თქვენ ისტორია გიკარნახებთ, თქვენი დიადი საქმე ბოლომდი მიიყვანოთ და თქვენს მშობელ ერს მოუპოვოთ ისეთი წყობილება, ურომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისოთაც მას არ შეუძლია განახლებულ რუსეთში განვითარება.

ეს არის ტერიტორიალური ავტონომია განახლებული რუსეთის მფარველობის ქვეშ.

თქვენ ეს შეგიძლიათ, თქვენ ვალდებული ხართ, ეს შეასრულოთ.

მთელი სამშობლო თქვენ შემოგყურებთ, მთელი ჩვენი ისტორია თქვენ მოგჩერებია.

დიდებული ხართ ამხანაგებო, დიდებული დარჩით ბოლომდე.

საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია არ ეწინააღმდეგება ქართველი დემოკრატიის საბოლოო მიზანს, პირიქით ის ხელს შეუწყობს ქართველი დემოკრატიის ზრდა-განვითარებას.

საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია არ ეწინააღმდეგება რუსეთის პროლეტარიატის საბოლოო მიზანს.

მაშ რატომ არ უნდა გაისმას თქვენი პირიდგან მედგარი ქექა:

გაუმარჯოს საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიასო!

უნდა გაისმას და მე მრწამს, რომ გაისმის.

ამას ითხოვს თქვენგან თქვენი დაჩაგრული სამშობლო, ამას გავალებთ თქვენ ჩვენი ისტორია.

თქვენ ამით არასფერს ახალს არ მოსთხოვთ განახლებულ რუსეთს,—თქვენ მოითხოვთ მხოლოდ იმის დაბრუნებას, რომ ძველმა რეჟიმმა წაგვართვა.

განახლებულმა რუსეთმა მოსპო ძველი რეჟიმი, დაიბრუნა და აღადგინა თვისი უფლებანი.

ის ვალდებულია, მან უნდა დაგვიბრუნოს ის უფლებანი—ქართველი ერის უფლებანი, რაც ძველმა რეჟიმმა წაგვართვა და ფეხქვეშ გათელა.

მესმის, თქვენ ამბობთ, ამხანაგებო, საამისო დრო არ არის, დღეს ცალკე ეროვნებათა უფლებაზე ლაპარაკი უალაგოაო.

არც მე გეუბნებით, რომ დროებით მთავრობას მიმართოთ. თქვენ დღესვე უნდა შეუდგეთ მზადებას და, როდესაც დამფუძნებელი კრება შესდგება, წარსდგეთ მის წინაშე და მოითხოვოთ ქართველი ერის ფეხქვეშ გათელილ უფლებათა აღდგენა.

ამხანაგებო, თქვენ გახარებთ თავისუფალი რუსეთი.

ნუ თუ თქვენს გულს თავისუფალი საქართველო ნაკლებათ გაახარებს?

მაშ იცოდეთ, რანაირათაც უნდა განახლდეს რუსეთი, საქართველო ვერ განახლდება, თუ მან არ დაიბრუნა, არ აღადგინა, რაც მას წაართვეს:

ტერიტორიალური ავტონომია რუსეთის მფარველობის ქვეშ.

ამხანაგებო! თქვენ სისხლსა ღვრიდით რუსეთის განახლებისათვის.

და დღეს, როდესაც რუსეთი განახლდა, ნუ თუ ხმას არ აამაღლებთ თქვენი სამშობლოს ფეხქვეშ გათელილ უფლებათა აღდგენისათვის?

ივ. გომართელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რუსეთი

განახლებული რუსეთი

ძველი მთავრობა დაეცა! და მისი დაცემით იშვა განახლებული რუსეთი. მართვა-გამგეობის სათავეში ხალხის წარმომადგენელნი ჩადგნენ; ძველი რეჟიმის დამცველნი დაპატიმრებულია; პრესამ თავისუფლათ ამოისუნთქა; სიმართლისათვის ტანჯვას ბოლო მოეღო; უკვე გამოცხადდა პოლიტიკური ამნისტია... პოლიცია, ეს ძველი მთავრობის დამცველი, მართველობიდგან უკვე გაძევებულია და დღეს თუ ხვალ ფრონტზე გაიგზავნება, სადაც მას უკეთ შეუძლიან თავისი მოვალეობის შესრულება სამშობლოს წინაშე. მოხდა ის, რაც დიდი ხანია უნდა მომხდარიყო. დღიდგან ომის გამოცხადებისა რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკო-ეკონომიური კრიზისი სულ უფრო ძ უფრო მწვავდებოდა. ბურჟუაზია ამ ომიდგან ახალ ბაზრების შეძენას ელოდა; დიდი ხანია რაც ის სტამბოლის სრუტეებითურთ ხელში ჩაგდებაზე ოცნებობდა. მაგრამ ბურჟუაზიას მოლოდინი გაუცრუვდა: ბრძოლის ველზე საქმე ცუდათ დატრიალდა; რუსეთის მხედრობამ არამც თუ დაპყრობითი ომი, არამედ თავდაცვაც ვერ შესძლო. გაისმა ხმა ღალატზე, რასაც მოჰყვა მიასოედოვის ჩამოლრჩობა და სუხომლინოვის დაპატიმრება. მაგრამ ბრძოლის ველზე საქმის გამოსწორებას არა ეშველა რა. ბურჟუაზიამ, სამართლიანად, ყველაფერში დამნაშავეთ მთავრობა სცნო და არსებულ წეს-წყობილების შეცვლა მოითხოვა. ის დაირაზმა და მთავრობას ომი გამოუცხადა, რის მიზნითაც პროგრესიული ბლოკი დააარსა. ლიბერალები პარლამენტარული ბრძოლით ცდილობდნენ აეძულებინათ მთავრობა დათმობის გზას დამდგარიყო და ხალხის ნდობით აღჭურვილი სამინისტრო მოეწვია. მაგრამ ისინი მოსტყუვდნენ: ბიუროკრატიამ ყოველ გვარი კომპრომისი უარჰყო და კადეტთა მოთხოვნილებას ყურადღებასაც არ აქცევდა. პროგრესიულმა ბლოკმა დამარცხება ბევრჯელ განიცადა, მაგრამ ყველაზე სასტიკათ ის მაშინ დ-მარცხდა, როდესაც მას პროტოპოპოვი გამოეთიშა და შტიურმერის კაბინეთში მოიკალათა და რომელიც ბოლოს უკიდურესი რეაქციონერი გახდა. სამინისტრო კი ჩვეულებრივ რყევას განიცდიდა: მინისტრები ელვის სისწრაფით იცვლებოდნენ; გორემიკინის კაბინეთი შტიურმერის კაბინეთმა შესცვალა, შტიურმერის—ტრეპოვისამ, ამ უკანასკნელის გალიცინმა, რომლის კაბინეტის დამხობასაც რუსეთის განახლება მოჰყვა. მიუხედავათ ამისა მართვა-გამგეობის სისტემა კვლავ ძველი რჩებოდა, რაც ცხადად ღაღადებდა: „ასე ყოფილა და ასე იქნებაო“. ამ გვარათ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმაღლეს მართვა-გამგეობაში, სრული ლსისტემობა სუფევდა და მინისტრთა ადგილზე ისეთ პირებს ნიშნავდნენ, რომელთა სრულებით არა გაეგებოდათ რა მათდამი რწმუნებულ საქმისა, რაც პირდაპირ განაცხადა ტრეპოვმა, როდესაც მან გზათა მიმოსვლის მინისტრის პორტფელი მიიღო. მთელ რუსეთში სპეკულაციამ ფრთები გაშალა და ცხოვრება აუტანელი შეიქმნა; მთავრობა შინ და გარეთ მეტად სუსტი გამოდგა. ცხადი იყო, რომ მართვა-გამგეობის სათავეში ფაქტიურათ „რასპუტინები“ ბატონობდნენ; გაისმა ლაპარაკი ბნელ კალებზე და სხვ... ამ გვარ პირობებში პროგრესიულმა ბლოკმა გამოძახილი ბევრგან ჰპოვა, მის მხარეზე იყო მთელი პროგრესიული რუსეთი: შეერთებული თავად-აზნაურობა, დღემდის უმთავრესი ბურჯი ბიუროკრატიისა; სამხედრო სამრეწველო კომიტეტები, საერობო დაწესებულებანი; ქალაქთა კავშირები და ასე გასინჯეთ სახელმწიფო საბჭოც, ეს უკიდურესი ბუდე კონსერვატორთა, შეუერთდნენ პროგრესიულ ბლოკს და მოითხოვდნენ პასუხისმგებელ სამინისტროს შექმნას. რაიცა შეეხება დემოკრატიას, ის ხომ ყოველთვის მოძხრე იყო რუსეთის განახლებისა. „ჯერ გამარჯვების და მერმე რეფორმის“ ლოზუნგს ნიადაგი კარგა ხანია რაც გამოაცალა ომმა. ყველასთვის ცხადი შეიქმნა, რომ განუახლებელი რუსეთის გამარჯვება შეუძლებელი იყო; განახლებული რუსეთი, აი რა შეიძლებოდა ყოფილიყო გამარჯვების თავდები. და აი მთელი პროგრესიული რუსეთი ამხედრდა მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც ფაქტიურად გარიყული დარჩა. მაგრამ რამდენადაც იზრდებოდა საზოგადოებრივი უკმაყოფილება არსებულ წესწყობილების გამო, იმდენათ უფრო ძლიერდებოდა მთავრობის მიერ სხვა და სხვა რეპრესიები და საზოგადოებრივი ძალთა და გონებათა ჩახშობა. ჯერ იყო და ს.-დემ. დეპუტატები ციმბირში გადაასახლეს და ამით დაასამარეს დეპუტატის ხელშეუხლებლობა; მთელი პრესა სამხედრო ცენზურას დაუმცრჩილეს და აწ „განსვენებულ“ პროტოპოპოვს განზრახვა ჰქონდა კიდევ უფრო შეევიწროებინა ის; ქალაქთა და ეროებათა კავშირებს არ აძლევდნენ კრების ნებას; სამხ.-სამრეწველო კომიტეტის მუშათა ჯგუფს აპატიმრებდნენ; შჩეგლოვიტოვი ნებას არ აძლევს გრიმს, სახელმწიფო საბჭოში გააშუქოს თანამედროვე პოლიტიკური მომენტი; მოსკოვის ქალაქის თავი იღებს ბრძანებას, არ შეეხონ ქალაქის საბჭოში პოლიტიკურ კითხვებს; 87 მუხლის ძალით მთავრობამ გაახშირა სხვა და სხვა კანონების გამოცემა, რაც უბრალო ფიქციათ ხდიდა საკანონმდებლო დაწესებულებებს და სხვა და სხვა... ერთი სიტყვით რეაქციამ ფრთები გაშალა და ქვეყანას წარღვნას ემუქრებოდა. და ამ გვარად მართველი წრეები უკიდურეს ზომებს ხმარობდნენ, რომ უცვლელად შეენახათ ის ძველი დახავსებული მართვა-გამგეობის სისტემა, რომლის უვარგისობა მეოცე საუკუნის სახელმწიფოსათვის სავსებით ცხადი შეიქმნა ჯერ კიდევ მშვიდობიანობის ხანაში, მხოლოდ ამ ომმა კი კიდევ უფრო ნათლად გამოაშკარავა და დაგვანახვა ის. ამ გვარი ანარხია რუსეთში დიდ ხანს არ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო: ან უნდა გაემარჯვა რეაქციას ან პროგრესიულ რუსეთს. ამ ბოლო დროს მათ შორის გენერალური ბრძოლა უკვე გაჩაღდა; რეაქციის მხრით განსაკუთრებულ უნარს

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროტოპოპოვი იჩენდა. ყოფილი სულის ჩამდგმელი პროგრესიული ბლოკისა. ეს უკანასკნელი უკვე დარწმუნდა, რომ არც პარლამენტარული ბრძოლა კმაროდა გამარჯვების მოსაპოვებლად. მართალია ლიბერალები ცარიელი ფრაზებით კმაყოფილდებოდნენ, მაგრამ მათი ამ გვარი ტაქტიკა საბოლოოთ გაშიშვლდა. ისინი უკვე დარწმუნდნენ, რომ ცარიელ სიტყვებით ვერას გახდებოდნენ და აი მილუკოვიც თებერვლის 15 სხდომაზე აცხადებს დუმის ტრიბუნიდან: »ყველა სიტყვები უკვე ნათქვამია... ჩვენი სიტყვა უკვე ჩვენი საქმე არის«-ო. თებერვლის 25 დაიწყო მოძრაობა პეტროგრადში პურის ნაკლულევნობის გამო, რამაც პოლიტიკური ხასიათი მიიღო; 26 იქმნა დათხოვნილი სახელმწიფო დუმა და საბჭო; რეაქციამ ერთი შეხედვით გაიმარჯვა, მაგრამ დაიძრა მუშათა კლასი და მოითხოვა დუმის კვლავ მოწვევა; ამას შეუერთდა ჯარი და ძველი მთავრობის დღენიც დაითვალენ. თებ. 27 ღამის 12 საათზე შედგა ახალი დროებითი მთავრობა და ძველი მთავრობაც ისტორიას ჩაბარდა. ძველი რეჟიმის მეგაირახტრენი სასტიკათ და შეიძლება საბოლოოთაც დამარცხდნენ. ევროპის უკანასკნელი დესპოტი ჩაესვენა. რუსეთი განახლდა! მხოლოდ თუ ვინიცობაა ძველი რეჟიმის მიმდევრებმა კვლავ წამოჰყონ თავი, ჩვენ ღირსეული პასუხი უნდა გავცეთ, რისთვისაც ახლავე უნდა მოვამზადოთ ხალხი. ჩვენ, მასწავლებლებს, ფართო სამოქმედო ასპარეზი გვეშლება... ჩვენ უნდა შევუერთოთ ჩვენი ხმა ახალ მთავრობის მოწოდებას, რომელსაც მოჰყვება მრავალტანჯული ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებაც ასი წლის მონობისაგან. ჩვენ უნდა მოვამზადოთ ხალხი მომავალ დამფუძნებელ კრებისათვის.

მაშ, გაუმარჯოს ერთა ჩაგვრის მოსპობას! ვაშა, განახლებულ რუსეთს!

გაუმარჯოს ტერიტორიალურ-ავტონომიურ საქართველოსაც, რის ღირსნიც უნდა გავხდეთ ამდენი წვა-დაგვის შემდეგ და რაც უნდა შეადგენდეს ქართველი ერის საერთო გულის წადილს.

ალე წეველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოთი

სწავლა-აღზრდის საქმის წარმოება ევროპაში 1900 წლიდან.

ჟურნალ »Edicational Rewiew«-ში ამ სათაურით არის დაბეჭდილი სიტყვა ცნობილი პროფესორის ამერიკელ ფარინგტონისა, წარმოთქმული 1915 წლის აგვისტოს 25-ს საერთაშორისო კონგრესზე აღზრდის საკითხის შესახებ ოეკლენდში, კალიფორნიაში. ფარინგტონი საფუძვლიანად ახასიათებს ამერიკის, საფრანგეთისა და გერმანიის დამატებითს სკოლებში სწავლების საქმეს და იმ დასკვნამდის მიდის, რომ საფრანგეთის ტეხნიკური სკოლები ღირსებით თუ არ აღემატებიან გერმანიისას, ყოველ შემთხვევაში მათი თანასწორნი არიან და თუ გერმანიის სკოლები შედარებით რითიმე სჭარბობს—ეს არის სკოლათა სიმრავლე და მათი ეროვნული სული. გერმანიის იმპერიის 26 სახელმწიფოდან 12-ში დამატებითი სკოლები (დასაწყისი სკოლის შემდეგ), საპროფესიო კურსები მართლა სავალდებულოა ყველა მოწაფეთათვის, რითაც აიხსნება 1882 წლიდან სამიწადმოქმედო გერმანიის 1914 წლის უუძლიერეს სამრეწველო გერმანიად გარაქმნა' ეს ნაყოფი შესძინეს გერმანიას აუარებელმა სპეციალ-ტეხნიკოსებმა, მათმა ორგანიზაციამ, რომ სძლიონ ყოველგვარი დაბრკოლებანი და შექმნან უძლიერესი ძალა დარაზმულ კოოპერაციებისა. („Educational Rewiew").

თვალყურისჭერა დასაწყისს სკოლებში მოწაფეთა წესიერად სიარულისადმი. ვინ არიცის რა დიდი ბოროტებაა განსაკუთრებით სოფლის სკოლებში, როცა მოწაფეები წესიერად არ დადიან სკოლაში. დღემდის ევროპაში, გარდა ბელგიისა (აქ იგულისხმება 1915 წლის კანონი ენერგიულს ზომებს არ მიმართავდენ ხოლმე ამ ბოროტების წინააღმდეგ. ა საქმეში ენერგიულად მიჰყვეს ბრძოლას ხელი ამერიკაში. ნიუიორკში სასტიკად ადევნებენ თვალყურს დასაწყის სკოლებში მოწაფეთა წესიერ სიარულს. ამ მიზნით ქალაქი დაყოფილია 13 სასკოლო რაიონად. ყველა ამ რაიონებში არიან ცალკე მეთვალყურე ინსპექტორები, რომლებიც ემორჩილებიან მთავარ ინსპექტორს და რომელიც არჩეულია სასკოლო საქმეების საბჭოს მიერ; უკანასკნელი ირჩევს დანარჩენს ინსპექტორებსაც ერთი წლის ვადით. ყოველ დღე თვითოეული სკოლა თავის რაიონის ინსპექტორს უგზავნის იმ მოწაფეთა სიას, რომელნიც კლასში არ იყვნენ; რაიონის ინსპექტორი მიდის მოწაფეთა ბინაზე, გამოიკვლევს თუ, რა მიზეზის გამო ა ყოფილა მოსწავლე სკოლაში და ამას თანავე მოაგონებს, რომ მშობლების წინააღმდეგაც მიღებული იქნება ზომები, თუ უპატივსადებო მიზეზის გამო მოწ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეები სწავლას მოსცდებიან. იმ შემთხვევაში, როცა მოწაფეთა მშობლები ბინას იცვლიან, ინსპექცია თვალყურს ადევნებს, რომ მოწაფეების გადასვლა ერთი სკოლიდან მეორეში მალე მოხდეს. როცა გამოირკვევა, რომ გაკვეთილების მოცდენას მიზეზი სიღარიბეზე ყოფილა (ფეხსაცმელისა და ტანისამოსის უქონლობა); ინსპექცია შუამდგომლობს სკოლის დამხმარე საზოგადოების წინაშე, რომ ღარიბს მოწაფეებს დაუნიშნონ ფულით შემწეობა ან მისცენ ტანისამოსი და ფეხსაცმელი. თუ აღმოჩნდა, რომ მოწაფე მშობელთა სურვილის წინააღმდეგ არ დადის სკოლაში, მაშინ თვითონ ინსპექტორი გზავნის მას სკოლაში, წინდაწინ სიტყვას ჩამოართმევს, რომ სკოლაში წესიერად ივლის; თუ ამ ზომამ ვერ გასჭრა, მაშინ „მცირე წლოვანთა სასამართლოს« დადგენილება გამოაქვს, რომ მოწაფე »გამასწორებელ სკოლაში« მიაბარონ.

ასეთ მოწყობილს ინსპექციას ევალება აგრეთვე სასკოლო სტატისტიკის წარმოებაც.

მთავარი ინსპექტორისა და მისი თანაშემწეების მოვალეობა არც პოლიციურია და არც უფროსთა აგენტობა, არამედ წმინდა აღმზრდელობითი და საზოგადოებრივია. ამ ინსპექციის წყალობით ნიუიორკში მრავალი არა ნორმალური ბავშვი, რომელთა მშობლები ცრუ სირცხვილით ვერ გზავნიდენ შვილებს სკოლაში, მოთავსებულია ისეთს სპეციალს სკოლებში, სადაც სწავლობენ რაიმე ხელოსნობას და შრომით იძენენ ლუკმა პურს.

ინსპექტორებს ირჩევენ საუკეთესო მასწავლებელთაგან და შრომისთვის შესაფერ ჯამაგირსაც აძლევენ.

საერთაშორისო კონგრესი აღზრდის საკითხის შესახებ სანფრანცისკოში. 1915 წლის 16—27 აგვისტოს გამოფენაზე პანამის არხის გახსნის გამო სანფრანცისკოში მოხდა საერთაშორისო კონგრესი აღზრდის საკითხის გამო. კონგრესს სხდომა ჰქონდა ქ. ოკლენდში, რომელიც სანფრანცისკოს ნავთსადგურთანა და რომელიც ნახევარი საუკუნის წინად ამ ქალაქის გარეთუბანს შეადგენდა. ყოველ დღე ორ-ორი სხდომა იყო 4 და დანარჩენი სასპეციალო. ამ უკანასკნელზე მოხსენების საგნებად იყო შემდეგი კითხვები: საბავშვო ბაღი, სასკოლო ჰიგიენა, ცდა აღზრდის მეცნიერებაში, მუსიკა აღზრდაში; ფიზიკური აღზრდა, სასკოლო მართვა გამგეობა; დასაწყისი სკოლების პროგრამები, ხელგარჯილობა; აღზრდა სამეურნეო სკოლებში, საზოგადოების ბიბლიოთეკები, როგორც საშუალებანი სკოლის გარეთ აღზრდისა; არანორმალური ბავშვები; მასწავლებელთა მომზადება და სხ.

ოკლენდში კონგრესზე აღზრდის საკითხის შესახებ, როგორც საზოგადოთ ამერიკელთა სამეცნიერო კონგრესებზე გამოფენის დროს, კამათი არ ყოფილა წაკითხულ მოხსენებათა შესახებ, თვითოეული ორატორი კითხულობდა და დასკვნასაც უკეთებდა თავის მოხსენებას. ასეთს კითხვებზე დანიშნული იყო განსაზღვრული დრო: 5—10 წუთამდის და არა მეტი. რაკი ეს მცირე ვადა გავიდოდა, მომხსენებელი მიატოვებდა კითხვას და კათედრაზე მეორე ორატორი ავიდოდა, მოხსენებათა გარჩევა არ იყო, მაგრამ მოხსენებები შემდეგ ცალკე ტომად იბეჭდებოდა.

პირველი და ძლიერ საინტერესო მოხსენება წაიკითხა ნიუიორკის უნივერსი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტეტის კანცლერმა ბროუნომმა შემდეგის სათაურით: »აღზრდის წარმატება შეერთებულს შტატებში 1900 წ.«

კონგრესის ბოლო სხდომაზე კერძო კომისიამ შეადგინა და წაიკითხა მთელი რიგი კონგრესის დადგენილებისა, რომელთა შორის აღვნიშნავთ უფრო საინტერესოს:

აღზრდის საკითხში სხვა და სხვა აზრთა შორის პირველი ადგილი უნდა ეჭიროს ბავშვთა კეთილმყოფელობის საჭიროებას, ყველაფერს, რაც კი ხელს უწყობს სხვა და სხვა პირობათა გაუმჯობესობას, რომლისგანაც დამოკიდებულია ბავშვის ზნეობა, ჯანმრთელობა და პიროვნების განვითარება. აქედან გამომდინარეობს: ზრუნვა ბავშვთა ასაკის შესახებ, ბავშვების შრომაზე (მრეწველობაში), დაცვა ბავშვებისა ყოველგვარ მავნე გავლენისაგან, ყურადღება და რჩევა სკოლაში სანატრელი წესების შესახებ; გამაფრთხილებელი ჰიგიენა, ასპარეზის მოწყობა ბავშვთა სათამაშოდ. ბავშვებისადმი მოპყრობა თანახმად მათი გონებრივი და ფიზიკური განვითარების კანონებისა, განათლების ყოველგვარი სისტემა, რომელიც უყურადღებოდ სტოვებს ბავშვის ფიზიკურსა და ზნეობრივს მხარეს და განისაზღვრება მხოლოდ გონებრივის აღზრდით, სრულიად უნაყოფოა და ვერ აკმაყოფილებს ვერც კერძო პიროვნების და ვერც საზოგადოების საჭიროებას.

ეს აზრი, თავის განყენებული სახით არ არის ისეთი ცოცხალი, როგორც კონგრესზე იყო წამოყენებული, რადგანაც ამერიკელები ჩვეულებისამებრ განყენებელს ფორმულებს არ მისდევენ, მაგრამ თან იძლეოდენ პრაქტიკული წინადადებებს, ხშირად ორიგინალებს, მკვირცხლს და ზოგჯერ საოცარსაც.

2. ბავშვთა სიკეთის საკითხის შემდეგ საპატიო ადგილი უნდა ეკავოს საკითხს, რომელიც პირველთან მჭიდროდ არის შეკავშირებული—სასოფლო აღზრდა და სოფლის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესობა, რაც ეხება თითქმის მთელი ნაციის ნახევარს. ამ საკითხის გადაწყვეტა მოითხოვს სასოფლო აღზრდის რეორგანიზაციას, რომელიც შეძლებას მისცემდა სასოფლო სკოლას უფრო მეტად ხელი შეეწყო ადგილობრივ მკვიდრთა ცხოვრების გაუმჯობესობას, ვიდრე ამ ჟამად არის. საოსტატო სემინარიებმა ისე უნდა მოაწყონ საქმე, რომ მოამზადონ ისეთი მასწავლებლები, რომელთაც განსაზღვრული კავშირი უნდა ჰქონდესთ სოფლელებთან.

3. ამას წინად მიღებული ზომები მასწავლებელთა საუკეთესო კონტინგენტის შესადგენად და სკოლების მეთვალყურეთა შესახებ საუკეთესოა მომავლისთვინაც, სასკოლო დაწესებულებათ ურჩევენ მოაწყონ მასწავლებელთათვის განათლების კურსები.

4. რაკი სკოლების ღირსება ყველაზე უფრო მასწავლებლებზეა დამოკიდებული, კონგრესს აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია, რომ ეს თანამდებობანი ისეთს პირობებში იყვნენ მოქცეულნი, რომ მასწავლებელთა ჯანსაღობას, მათ ნივთიერ მდგომარეობას და სულის სიმშვიდეს არა ევნოს რა. ამის გამო დაუყონებლივ უნდა მიღებულ იქმნას შემდეგი ზომები: ჯამაგირი უნდა აკმაყოფილებდეს მასწავლებლის მოთხოვნილებას; ისინი დამშვიდებულნი უნდა იყვნენ, რომ თანამდებობას შეინარჩუნებენ; სამსახურის შესრულების შემდეგ უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ საკმაო პენსიით, ისინი უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ ინსპექტორე-

ბის თვითნებობისა და უსარგებლო მოთხოვნილებათაგან და საზოგადოთ ისეთის დამოკიდებულებათაგან, რომელიც სულის სიმშვიდეს ხელს უშლის და ამ სახით სასარგებლო მუშაობასაც ჰბორკავს.

5. საჭიროა განათლების სისტემაში შეტანილი იქმნას სკოლების სხვა და სხვა გვარი ტიპი, რომელიც სასკოლო ასაკის ბავშვების სხვა და სხვა გვარ ჯგუფს მათთვის საჭირო შესაფერ განათლებას მისცემს. აქედან გამომდინარეობს სკოლის პროგრამებში და სწავლების გეგმაში სხვა და სხვა გვაროობის შეტანა. საჭიროა სკოლებში სასწავლო დღეების გადიდება, სასკოლო თამაშობისა და მოწაფეთა შემოქმედებითი მუშაობის გაძლიერება, საკვირაო კურსების მოწყობა და სხვ. („Revue pedagogigue").

კახაბერი

სამეცნიერო მიმოხილვა

ჭიაყელას საიდუმლოება

ჩვენ მიერ საზიზღრად მიჩნეული ჭიაყელა ფეხებგან არის გაფრცელებული. ეს ფაწია ცხოველი ძალიერ საინტერესოა: იმას ისეთი საიდუმლოება აქვს, რომელიც ჩვენგან დაფარულია. ჭიაყელას თვალები არ აქვს, მაგრამ კანი ისეთი გრძნობიერი აქვს, რომ ადვილად იგებს სინათლესაც და სიბნელესაც. არც ყურები აქვს, მაგრამ ეოფელგვარი რეკვა, რაც კი ხმისაგან ხდება ჰაერში ან დედამიწაზე, იმდენად ცნობილია ჭიაყელასათვის, რომ ადვილად იგნებს თუ, სად არის ესა თუ ის მისაახლოებლად გამზადებული საგანი. შეიძლება რაღაც ამის მსგავსი ველურთათვისაც მისაწვდენი იყოს; ველური კაცი დედამიწაზე ყურს დაადებს და ადვილად ტყობილობს უხილავი მტრის ოფელს მოძრაობას.

ჭიაყელას ენახავაც განუვითარებელი აქვს, მაგრამ მაინც არაოდეს შეცდება საჭმლის შოვნაში. ერთი შეხედვით ჭიაყელას პირი აქვს და რაღაც კუჭის მაგვარი. თავი წვეტიანი აქვს და პირი მომრგვალო, საყლაპავი მილის ზემოთ და ქვემოთ ნერვების ორი ნასკვი აქვს. საჭმელი პირიდან კუჭში ან ჩინჩახვში ჩადის და იქ ინელებს. ზურგის ხერხემალი ჭიაყელას სულ არ აქვს. მთელი სხეული მრავალი რგოლისაგან ანუ სეგმენტებისაგან შესდგება, რომელთაც თავის ნებით გაშლის და შეკუმშავს.

საზოგადოთ გაფრცელებული აზრია, რომ ჭიაყელა დედამიწაზე ხტუნვით დაცოცავსო. ამ საკვირველ ფაწია არსებას თვითოეულს სეგმენტზე რვა-რვა ფაწია ფეხი აქვს, ორი მათგანი ძირს არის, ორი ქვემოთ და ორ-ორიც აქეთ იქით გვერდებზე. ამ ფეხებით ჭიაყელა ეჭიდება მიწას, რომელზედაც მიხოხავს. როცა ჭიაყელა მიწაშია და ყველა ფეხებსა ხმარობს, მაშინ მისი მოძრაობაც საკმაოდ სწრაფია.

ჭიაყელას უკანა ადრე გაზაფხულზე ფაწია ნოხრი ფოთლები; როცა საჭმელისთვის ამოდის მიწიდან, ტანის ქვეშ ფეხებით შლის მიწას, ტანის ზემოხაწიდს მიწაზე ისწორებს, იკლაკნება და მთელს სიგრძეზე გაიჭიმება.

თუ შეეხებით და მუშაობას შეუშლით,

ორად შეიკეცება და სწრაფად მიწაშიგე ჩაძვრება. ჭიაყელასთვის ძნელია ბრტყელ მიწაზე ხეხვა. იქ მტრის წერა გახდება.

ჭიაყელას დღისით ზემოთ იშვიათად ნახავთ: იგი ამოძვრება ხოლმე მიწიდან საღამო ჟამს, ბინდისას. სარდაფიც და საკუჭნაოც ჭიაყელას გვერდით აქვს—მის გარესკნელ მიწაში. ჭიაყელა ბევრ მიწასა ჭყლაპავს. თავის მუცელში იგი გარდაქმნის უველა დასაჭიმ ცხოველს ან მცენარეთა ნაწილებს, მოუნელებელს ნაწილებს კი ტოლოს ნაჭრებს, ქვიშას და სხვას ამოისვრის ზემოთ. ხან და ხან კორდებზე მრავლად შენიშნავთ ასეთს ბაწია გროვებს. მიწის გარდა ჭიაყელას მწვანე ფოთლებიც უყვარს საჭმელად. ყველაზედ უფრო სანუკვარი საჭმელია ხახვი და უმი ხორცი.

დედალი ჭიაყელა ადრე გაზაფხულზე ბაწია კვერცხებსა სდებს. ეს კვერცხები ბარკშია მოქცეული და დრმად ჩაფლული მიწაში. ზაფხულში ამ კვერცხებიდან თავისთავად იჩეკებიან ბაწია ჭიაყელები, დედა მათთვის სრულიად არ ზრუნავს.

მაგრამ ყველაზე უფრო საკვირველი მოვლენა, რასაც ჭიაყელაში ვხედავთ ის არის, რომ მისი სხეულის ყოველ ნაწილს, მებადის მიერ ბარით მოკვეთილს, შეუძლიან ზრდა და თავისთავად არსებობა.

ახლა სოფლის მეურნეებმა უკვე შეიგნეს, რომ ჭიაყელა მათი კარგი მეგობარია და მშველელი. მუდამ მიწაში მოგზაურობით, მიწის გადაბეჭვით და გაფხვიერებით ისე სტრიან მიწას, თითქოს ცხრილში გაუტარებიათო და აბატიფებენ კიდეც. ბატარა ჩვრები ზეადაგს ზემოთ ამოსრბოლი, თან და თან შრება, იშლება და რამდენისამე წლის შემდეგ ეს უმნიშვნელო საგნები მაზეზად ხდება ნიადაგის თვისების შეცვლაში.

ძველად ცნობილს მეცნიერის ჩარდზ დარვინის გაგონილი ბევრს სტერიდა, რომ ყოველი დასაჭიმი ნივთიერება ჭიაყელების საშუალებით ხდებიან სასუქათო. ახლა ჭიაყელას დანიშნულება ამ მხრით შეიწრეს და ნიადაგის შემუშავებას მიაწერენ ბაწაწკინტელ ბაკტერიებს. ეს უკანასკნელები, სჩანს, არ ისე მავნებელი ეოფილა. როგორც ჭიაყელა, აგრეთვე ეს ბაქტერიებიც მეგობრობას უწევენ ადამიანს.

თევზების ძილი

ძილი ერთი საჭირო და მასთან გამოსაცნობი მოვლენაა სიცოცხლისა. ძილი ერთგვარი განახლების პროცესია, რადგანაც ძილის დროს დახარჯული ძალა კვლავ აღდგება და ხელახლად შეიქმნება ახალი მასალა დღიურ მუშაობით დაღლილ უჯრედების ახლად გარდაქმნით. ძილი ჩვენი სხეულის დაღლილ ორგანოებს და მოქანცულს ნერვების აცხოველებს. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ მას „სიცოცხლის ნეკტარს“ უწოდებენ. მაგრამ ამ ნეკტარით ბუნება უმასპინძლდება არა მარტო ადამიანს, არამედ ყველა ცხოველებსაც, რომლებიც ტოტათ თუ ბევრად, განვითარების მაღალ საფეხურზე დგანან. თითქმის ყველა ხერხემლიან ცხოველებსა აძინავთ.

საინტერესოა თუ რა სახით აძინავთ სხვა და სხვა ცხოველებს. ჩვენ ვიცით, რომ კვიცი წამოიზრდება თუ არა ფეხზე ძინავს, ფეხზე აძინავთ ახალგაზრდებს, ჯორებს, სპილოს და სხვა აქელკანიან ცხოველებს. მცოცავ ცხოველებს კი უმეტეს შემთხვევაში გვერდზე წოლით უყვართ ძილი. მტაცებელი ცხოველები ან მოიკრუნჩხებიან, ან თავს წინა ფეხებზე დაიდებენ და ისე აძინავთ. საზოგადოთ ცნობილია, რომ მრავალი ფრინველი თავს ფრთის ქვეშ ამოიდებს და ცალფეხზე დაიძინებს. მაგრამ ბევრმა ბუნების მეტყველმა კი არ იცის, როგორ აძინავთ თევზებს. ამ დარგში საინტერესო დაკვირვება მოახდინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოქტორმა თეოდორ ბერმა ზოოლოგიურს სადგურზე ნეაპოლში. ბევრი მეცნიერი ამბობდა, რომ საზოგადოთ თევზებს არა სძინავთო და ამ მოსაზრებას იმაზე ამყარებდენ, რომ სიფხიზლის დროსაც თევზებს შეუძლიათ მოსვენებით და უძრავად ყოფნა. ამის შესახებ შეიძლება შევნიშნოთ შემდეგი: თუ კაცი წევს სრულიად უძრავად, თვალებ დახუჭული, ყოველთვის შეიძლება გავიგოთ სძინავს მას, თუ მხოლოდ იგონებს ძილს. საქმე ის არის, რომ ფხიზელი ადამიანის სუნთქვის მოძრაობა სწარმოებს არამარტო გულმკერდში, არამედ მუცელში და მუცლის ათასკაშიაც, მძინარე კაცი კი მხოლოდ გულმკერდით სუნთქავს. მართალია თევზების ეს გარეგანი ნიშანი ჩვენთვის უცნობია და უხილავი, მაგრამ შეიძლებოდა მისი დაწესება. შესაძლებელია, რომ თევზები ძილის დროს ისე ხშირად არ ჭსუნთქავენ, როგორც სიფხიზლის დროს. მაგრამ ეს გარეგანი თვისებაც რომ არ იყოს, შეგვიძლია ვსთქვათ, რომ თევზებს მართლა სძინავთ, თუ ეურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ ეს დღისით მუდამ ცქრიალა ცხოველები სრულიად მშვიდდებიან დაბინდებისას. ისინი მაშინ მთელი საათობით უძრავად არიან ერთს ადგილს და მმოძრავი თვალებიც გაშეშებული აქვთ: ზოგს თევზებს დღისითაც სძინავთ. ძილის დროს თევზები მდგომარეობას არ იცვლიან, ისინი არც გვერდზე და არც მუცელზე წამოწვებიან, როგორც ამას შეგრებიან ხმელეთის ზოგიერთი ცხოველები. თევზების მოცულობა იმდენად შეეფარდება წყლისას, რომ თითქოს წყალში დაკიდებულს შეუძლია ძილი. დოქტორმა ბერმა ზოგ თევზებს შეაჭრა ფარფლები, რომელიც სხვათა შორის ისე ჩქარა ამოსდით, როგორც ბალანი სხვა ცხოველებს. უფარფლოთ თევზებს ქ�ოთ ეძინათ, თავით ქვევით, რადგანაც სხვა მხრივ არ [illegible]

ნობა. ზოგ თევზებს ისე სძინავთ გვერდზე, როგორც ხმელეთის ცხოველებს. ზოგს საეჭვოთ მიაჩნიათ თევზების ძილი, რადგან მათ თვალები მუდამ გახიდული აქვსთ. მაგრამ საქმე ის არის, რომ ძვლიან თევზებს, რომელთაც ჯიშსაც ეკუთვნის ახლანდელი თევზების უმრავლესობა, ერთი უბრალო მიზეზის გამო არ შეუძლიათ თვალის დახუჭვა: მათ არ აქვსთ თვალის ქუთუთოები. ადამიანის თვალი მუდამ სისველეს თხოულობს, ამიტომ დაეტუობა თუ არა თვალს სიმშრალე, მაშინვე ქუთუთოები ამოძრავდებიან, რომ დაიფარონ თვალები გაშრობისაგან. წყალში თევზებს ასეთი საშუალება არ სჭირიათ, ამიტომაც მათ ქუთუთოები არ აქვთ. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ თევზები თვალახელილნი არიან, ადვილად ტეობილობენ რაიმე განსაცდელის მოახლოებას, რასაც ადამიანს ატეობინებს დიაეურები. ასეთს საამსახურს თევზებს თვალები უწევენ და არა ეურები, რადგანაც იშვიათ გამონაკლისის გარდა თევზები ურეები არიან. მართლაც თევზების უმრავლესობას ეურის უმთავრესი ნაწილი—საფეთი არ აქვს და რომელთაც აქვთ, ისიც განუვითარებელია. ამ სახით თევზებს არ აქვთ საშენა ისე, როგორც სხვა ხერხემლიან ცხოველებს, თუმც განსაზღვრულ გრძნობითს გადიზიანებას ხმათა ტალღებისას ღებულობენ.

მაინც არიან ისეთი ჯიშის თევზები, რომელთაც თვალახუჭული სძინავთ. ასეთია მაგ. ზვიგენი, რომელსაც აქვთ ადვილად მმოძრავი თვალის ქუთუთოები, მაგრამ ეს ქუთუთოები მთელს თვალს მაინც ვერ ჭეფარავენ. ზვიგენი ძილის დროს ჭხუჭავს თვალებს და ამასთანავე თვალის გუგა ისე უპატარავდება, როგორ მძინარე ადამიანს. ამასთან ზვიგენი დამის ცხოველია. დღისით მას ღრმად სძინავს, რადგან ეს შეუმჩნევიათ ზღვის პატარა კატებში (scyllium canicula) და ზღვის ძაღლებში (scyllium catulus) და მხოლოდ საღამო ხანს, დაბინდებისას ოდეიძებენ სხვა თევზებზე სანადირო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფრანგეთის მეცნიერის პერეზის (Pérez) დაკვირვებით ქარულაპია თევზს სძინავს ნაპირის ახლოს და არა ღრმად წყალში, მაშინ როცა კობრი (карпъ) დასაძინებლად ძირს ღრმად მიდის, გველთევზა სოროებში იმალება. არის ერთნაირი თევზი—პესკარი, იგი მოსძებნის სადამოობით ქვიშიან ადგილს ქვებს შუა და დამით იქ რჩება, თავს იქით მიუშვერს საითკენაც მდინარე მიდის და მკერდის, მუცლისა და ბოლოს თარეთებით თესკერზე დაებჯინება. ასეთ მდგომარეობაში უეჭველია მთელი ზამთარი სძინავს. სხვა თევზებს, როგორც მაგ. წვერას და კაპარჭინასაც ასე სძინავთ, მხოლოდ მოხერხებულად მიაჩნიათ მოეწყონ შალამიან თესკერზე. კობრს მთელი ზამთარი სძინავს. ორაგარი თევზი ქარიულაპია მთელ ზამთარში ბინას არ იცვლის. კობრების ქარავანი ზამთრობით ერთად მოეწყობიან დასაძინებლად: ისინი გასთხრიან შალამს და მჭიდროდ დაელაგებიან დასაძინებლად, თითქოს სელიოდკები ჩაუწყვიათ ბოჩკაში. რასაკვირველია ძნელია ზღვის თევზების დაკვირვება, მაგრამ, საზოგადოთ, ჭეიქრობენ, რომ სელიოდკები და სხვა თევზებიც მთელ ზამთარს ზღვის თესკერზე ფეტარგიულს ძილს მიეცემიან, ხოლმე. ცხელ ქვეყნებში ზოგი თევზები ზაფხულის ძილს მიეცემიან ხოლმე. როცა წყალი დაშრება, ისინი ჩაეფლებიან შლამში და გაშეშებული რჩებიან, ვიდრე წვიმა მოვიდოდეს. ასე შეგრებიან, მაგ. ითრიკის ქეცედიანი თევზი (Protopterus).

მცენარის შხამი. საფრანგეთის მეცნიერმა ანრიომ სამეცნიერო აკადემიაში წაიკითხა მოხსენება, რომელშიაც აწერილი აქვს მის მიერ აღმოჩენილი მცენარის შხამი—ტეფროზინი. მისი თვალსაჩინო თვისება ის არის, რომ იგი ძალიერ ჩქარა მოქმედებს თევზებზე, მაშინ როცა რძით შკვებავზე ასეთს მოქმედებას ვერ იჩენს. ტეფროზინის მცირე ნაწილიც წყალში თევზებს ჭხოცავს, ამიტომ იგი უძლიერესი საწამლავია. ამ საწამლავს იძლევა მცენარე Tephrosia Vogelii, რომელიც მრავლად იზრდება მადაგასკარის კუნძულზე და ითრიკის აღმოსავლეთ ნაწილზე. ტეფროზინი წარმოადგენს კრისტალის მსგავს სხეულს, რომელიც წყალში არ იხსნება, მაგრამ ალკოგოლში და გლიცერინში კი ადვილად გაიხსნება. ანრიომ გახსნა ტეფროზინის ერთი მეხედი ნაწილი ალკოგოლის მეათედ ნაწილში ლ დაუმატა 50 ნაწილი წყალი. მიღებული შენაზავი შეიცავდა ამ სახით მოქმედ ნივთიერებას მხოლოდ ორ ათი ათასეულ ნაწილს (0,0002). ამ შენაზავის მცირე ნაწილი ჩასხა წყლიან დიდ ჭურჭელში, რომელშიაც თევზები იყვნენ. თევზებს ერთი ალიაქოთი შეუდგათ, აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, ხშირად ამოვარდებოდენ წყლიდანაც: რვადენისამე ხნის შემდეგ მშვიდდებოდენ, თარეთები მოუდუნდებოდათ და უხუნდებოდათ. თევზები კიდევ ცოტა ხანს თრთხიალობდენ წყალში, შემდეგ გადატრიალდებოდენ და მოცურდებოდენ ზემოთ, სადაც კვდებოდენ კიდეც. თითქმის ისეთი შენაზავიც, რომელშიაც მხოლოდ 1/50, 900,000 ნაწილი ტეფროზინი იყო, მოამკვდინებელი აღმოჩნდა; ამასთან მოწამლული თევზი არ ყლაპავს მთელს შხამს, რაც წყალში არის, იმავე წყალში შეიძლება ჩაჭყარეთ კიდევ აურებელი თევზი, რომელიც ისევე სწრაფად დაიხოცება, როგორც პირველები. მადაგასკარის მცხოვრებლებმაც იციან ტეფროზინის მოქმედება თევზებზე და სარგებლობენ ტეფროზინის თოთლებს თევზების დასაჭერად. ამისათვის მცენარეს გასრესენ, მიღებულ ცომს გახსნიან წყალში და ჩასხამენ მდინარეში. ცოტა ხნის შემდეგ დახოცილი თევზები ამოცურდებიან ზემოთ, იქაურები იჭერენ ხელით და უშიშრად მიირთმევენ.

ნება დართულია სამხედრო ცენზორისაგან. რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.

დამატება ჟურნალ „განათლების" № 3

ცნობები

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების მთავარ-გამგეობის მოქმედებისა.

პირვანდელი წესდება დამტკიცებულია კავკასიის ნამესტნიკის ამხანაგის გენ. ად. სვიატოპოლკ-მირსკის მიერ 31 მარტს 1879 წ.

შეცვლილი წესდება დამტკიცებულია ტფილისის გუბერნიის „საზოგადოებათა საქმეების მართველობის დადგენილებით 21 მარტს 1907 წ. და „საზოგადოება" შეტანილია რეესტრში № 27.

მეორედ შეცვლილი წესდება დამტკიცებულია ტფილისის გუბერნიის საზოგადოებათა მმართველობის დადგენილებით 14 იანვარს 1917 წ. და „საზოგადოება" შეტანილია რეესტრში № 269.

წესდება

კავკასიის სამეფისნაცვლოს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა.

I. საზოგადოების საგანი.

§ 1. საზოგადოებას დასახული აქვს მიზნათ ხელი შეუწყოს წერა-კითხვისა და ხალხისათვის სასარგებლო თეორეთიულ და პრაკტიკულ ცოდნათა გავრცელებას კავკასიის სამეფისნაცვლოს მკვიდრ ქართველთა შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

§ 2. საზოგადოება სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით და აქვს თავისი ბეჭედი.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, რომელიც ამ წესდებით გათვალისწინებული არ არის, საზოგადოება ხელმძღვანელობს საზოგადო კანონდებულებით.

§ 3. პირველ §-ში აღნიშნულ მიზანთა მისაღწევად საზოგადოება:

ა) ეხმარება არსებულ სკოლებს,

ბ) ხსნის და ინახავს თავის საშუალებით სხვა და სხვა სკოლებს და საწყვლებლებს და ხელს უწყობს ასეთების გამართვას,

გ) მართავს დექციებს და სახალხო კითხვებს, ხსნის სახალხო ბიბლიოთეკა-საკითხველოებს.

დ) გამოსცემს საწყვლო, სახელმძღვანელო და სხვა წიგნებს საკითხვად ხალხისათვის; აგრეთვე თავის დანიშნულების გაძღიერებისათვის და საჭიროების დროს გამოსცემს თავის „უწყებებს“ ან სხვა რამ დროგამოშვებით ორგანოს სათანადო წესით დამტკიცებულ პროგრამისამებრ.

ე) აარსებს მუზეუმებს და ბიბლიოთეკებს საყოველთაოდ სარგებლობისათვის, აგრეთვე წიგნებსა და პედაგოგიურ ნივთების საწყობებს უფასოდ დასარიგებლად, ან საგაჭროდ.

ვ) ცდილობს მოუპოვოს სკოლებს მასწავლებლები.

ზ) მართავს პედაგოგიურ კურსებს და კრებებს სახალხო სკოლების მასწავლებელთათვის;

§) ამზადებს სახალხო მასწავლებლებს არსებულ სასწავლებლებში, ანა და, თუ საშუალება ნებას მისცემს, მართავს ამ მიზნით სპეციალურ სასწავლებელს თავისი საკუთარი საშუალებით. ამ მუხლში ჩამოთვლილს შემთხვევის დროს საზოგადოება ხელმძღვანელობს არსებულ კანონმდებლობით.

§ 4. მიზნის მისაღწევად საზოგადოება აწარმოებს თავის სკოლებში სწავლას სამშობლო ენაზე, ხოლო რუსული ენის სწავლების საქმეს კი—კერძო სკოლათა დებულების მიხედვით.

II. საზოგადოების ღონის-ძიება.

§ 5. საზოგადოების ღონის-ძიებას შეადგენს:

ა) საზოგადოების წევრთაგან შემოტანილი თუალი;

ბ) შემთხვევით, თუ ნება-ყოფლობით შემოწირული, ან შემოსული კერძო პირთა, საზოგადოებათა და დაწესებულებათაგან.

გ) საზოგადოების მიერ გამოცემული წიგნების და საწყობთა ადებ-მიცემობის, საჯარო საკითხვის და წარმოდგენების შემოსავალი, ეულებით, დატარია-ალეგრით და კანონისაგან ნება დართული სხვა რამ ღონის-ძიების საშუალებით შეკრებილი თუალი.

შენიშვნა: საზოგადოებას ნება აქვს მიიღოს პირობით შემოწირული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ხირობა იგი შეესაბამება საზოგადოების საგანს და არაფერით არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონებს.

§ 6. საზოგადოებას უფლება აქვს შეიძინოს საკუთრებათ უძრავი ქონება, დაგირავოს, დაიგირავოს და გაყიდოს იგი თავის შეხედულების მიხედვით.

§ 7. საზოგადოებას თავისი თანხა შენახული აქვს თავის კასაში, ან საკრედიტო რამ დაწესებულებაში; ამ ფულების შენახვის დასაჯავის და შემოწმების წესს განსაზღვრავს საზოგადო კრება.

III. აგებულება საზოგადოებისა

§ 8. საზოგადოებას შედგენენ:

ა) წევრნი დამფუძნებულნი,

ბ) წევრნი საპატიონი და

გ) წევრნი ნამდვილნი. საზოგადოების წევრად მიიღება ყველა განურჩევლად წოდებისა და სქესისა.

შენიშვნა: საზოგადოების თითოეული წევრი ირიცხება იმ განყოფილების წევრად, რომლის კასაშიც თვისი საწევრო გადასახადი შეაქვს.

§ 9. დამფუძნებელ წევრად ითვლება ის, ვისაც ხელი უწერია 1879 წლის ხირვანდელ წესდებაზე.

შენიშვნა: დამფუძნებელნი წევრნი თავისუფალნი არიან წლიურ საწევრო გადასახადისაგან.

§ 10. საპატიო წევრად აირჩევა ის, ვინც ხელი შეუწყო, ან ვისაც შეუძლია ხელი შეუწყოს წერა-კითხვის გავრცელების საქმეს დიდის ხირადის რამ მოდვაწეობით ან დიდი ნივთიერის შემოწირულებით, რომლის ფასი არ უნდა იყოს ნაკლები 600 მანეთისა.

§ 11. ნამდვილ წევრებად ითვლებიან, თანახმად ორის წევრის წინადადებისა განყოფილების საზოგადო კრების მიერ არჩეულნი ხირნი, რომელნიც შემოიტანენ საზოგადოების საჭიროებლად ერთ დროულად არა ნაკლებ 20 მანეთისა, ან ყოველ წლიურად არა ნაკლებ ერთის მანეთისა.

§ 12. წევრობა ჩამოერთმევა იმ წევრს, რომელსაც ერთის წლის გადასახადი არ ექნება შემოტანილი და იგი ხელახლად იქნება მიღებული წევრად უკენჭოდ, როცა სრულად გადაიხდის მასზე დარჩენილს საწევრო ფულს.

IV. საზოგადოების მმართველობა.

§ 13. საზოგადოების მმართველობა ეკუთვნის:

1) რწმუნებულთა საერთო კრებას და

2) საზოგადოების მთავარ გამგეობას, როგორც საზოგადო კრების აღმასრულებელ ორგანოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

V. რწმუნებულთა საერთო კრება.

§ 14. რწმუნებულთა საერთო კრება არის ჩვეულებრივი და სანგანგებო. ჩვეულებრივ კრებას იწვევს მთავარი გამგეობა წელიწადში ერთხელ, საგანგებო კრებას კი—საზოგადოების მთავარი გამგეობის თავმჯდომარე ოდესაც დრო, განსახილველად განსაკუთრებულ მნიშვნელოვან საქმეთა, თანახმად გამგეობის დადგენილებისა ან საზოგადოების არა ნაკლები 15 რწმუნებულის მოთხოვნილებისა, ერთის თვის განმავლობაში უწყების დაგზავნის დღიდან.

შენიშვნა: საზოგადოების რწმუნებულთა განცხადება უნდა წარედგინოს მთავარ გამგეობას, ხოლო განცხადებაში უნდა აღინიშნოს რწმუნებულთა კრების განსახილველად შეტანილი დასაბუთებული საკითხები.

§ 15. საერთო კრებას შეადგენს 150 რწმუნებული, არჩეული საზოგადოების განუოფილებათა წევრების საერთო ერილობის მიერ სამის წლის ვადით მთავარი გამგეობის მიერ შემუშავებული და გამოცხადებული წესით, ხოლო არჩევნები ხდება პროპორციონალურად განუოფილების წევრთა რაოდენობის მიხედვით. მაგრამ არც ერთი განუოფილება არ უნდა დარჩეს უწარმომადგენლოდ.

შენიშვნა: განუოფილებას უფლება აქვს შეავსოს დაკლებულ რწმუნებულთა რიცხვი ვადის გასვლამდე.

§ 16. რწმუნებულთა საზოგადო კრებას ხსნის მთავარ გამგეობის თავმჯდომარე, რომელიც წინადადებას აძლევს კრებას აირჩიოს კრების მომდინარე სესიის თავმჯდომარე.

§ 17. სესიის გათავების შემდეგ საზოგადო კრების მიერ გამოტანილ რეზოლუციებს და ოქმებს ხელს აწერს კრების თავმჯდომარე და გადასცემს სისრულეში მოსაყვანად საზოგადოების მთავარ გამგეობას.

§ 18. საზოგადო კრების მეცადინეობის საგანია:

ა) განხილვა და დამტკიცება წლიურის ანგარიშისა;

ბ) განხილვა გამგეობის მოსაზრების, წინადადების და მოხსენების;

გ) განხილვა და დამტკიცება შემდეგის წლის შემოსავალ-გასავლის სავარაუდო აღრიცხვისა;

დ) მთავარი გამგეობის და საზოგადოების საპატიო წევრთა არჩევა.

შენიშვნა: მუხლ „გ"ს: საზოგადოების და მთავარი გამგეობის საპატიო თავმჯდომარე შეიძლება არჩეულ იქმნას საზოგადო კრების ერთხმად არჩევით.

ე) შედგენა და დამტკიცება საზოგადოების საქმეთა სხვა და სხვა ნაწილის წარმოების წესრიგისა.

ვ) არჩევა სარევიზიო კომისიისა წლიურის ანგარიშის და გამგეობის მოქმედების შესამოწმებლად; აგრეთვე დანიშნა კომისიებისა, რომელსაც საჭიროება მოითხოვს, სხვა განცალკევებულ საკითხთათვის, რაიც საზოგადოების საქმეებს შეეხება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ) განხილვა წინადადებისა საზოგადოების წესდების შეცვლისა და შევსებისათვის და,

ᲗᲘ) საზოგადოთ, განხილვა და გადაწყვეტა საზოგადოების წევრთა წინადადებისა ღონისძიებისათვის, რომელსაც შეუძლიან ხელი შეუწყოს საზოგადოებას და მიზანს მიაღწიოს.

შენიშვნა: ყოველივე წინადადება საზოგადოების რწმუნებულთა უნდა შეტანილ იქმნას გამგეობაში საზოგადო კრებამდე შვიდი დღით ადრე მაინც.

§ 19. რწმუნებულთა საზოგადო კრებაზედ საქმე გადასწყდება დამსწრე რწმუნეწულთა მარტივის უმეტესობით; საზოგადოების წესდების შეცვლისა და შევსებისათვის კი საჭირო საზოგადო კრების ხმათა ორ მესამედზედ არა ნაკლები. ამ გვარად შეწყნარებული ცვლილება შემოღებულის წესით უნდა წარედგინოს საზოგადოების მთავარ გამგეობის თავმჯდომარის მიერ მთავრობას დასამტკიცებლად. ხმის ჩამოტარება მოხდება დახურულის, თუ ახლილის კენჭის ყრით, როგორც კრება ისურვებს; მაგრამ დახურული კენჭის ყრა საჭიროდ ეთვლება იმ შემთხვევაში, რომელიც აღნიშნულია კერძო მუხლებში.

§ 20. საერთო კრება ითვლება შედგენილად, რამდენი რწმუნებულიც უნდა დაესწროს.

VI. საზოგადოების მთავარი გამგეობა.

§ 21. საზოგადოების საქმეთა უფრო დაახლოებით მართვისა და მათ გამო ადმასრულებელის მოქმედებისათვის საზოგადო კრება აირჩევს გამგეობის შვიდს წევრს და სამს მათ კანდიდატს.

შენიშვნა: 1) გამგეობის წევრთა, აგრეთვე კანდიდატთა რიცხვი შეიძლება საზოგადო კრებამ გაადიდოს, თუ საჭირო შეიქმნება. 2) საზოგადოების ცალკე საქმეთა გამგეობისათვის საზოგადოების მთავარ გამგეობასთან შეიძლება დაარსებულ იქმნას სექციები, რომლებიც იმოქმედებენ რწმუნებულთა საზოგადო კრების მიერ დამტკიცებულის განსაკუთრებულის ინსტრუქციების მიხედვით.

§ 22. საზოგადოების გამგეობა აირჩევა სამის წლის ვადით დახურულის კენჭის ყრით, გამგეობა იმუოფება ტფილისში.

§ 23. გამგეობა ირჩევს თავის წრიდან თავმჯდომარეს, თავმჯდომარის ამხანაგს, რომელიც სწევს თავმჯდომარის მაგიერობას მის სხვაგან ყოფნის დროს, მდივანს და საზინადარს.

§ 24. გამგეობის მეცადინეობის საგანია:

ა) წარმოება საზოგადოების წევრთა სიისა;

ბ) შესრულება საზოგადო კრების ყოველი კანონიერის დადგენილებისა;

გ) დანიშვნა სახალხო კითხვების, სამკითხველოების, წიგნთ-საცავებისა და საწყობთა გამგეების;

დ) მასწავლებელთა დანიშვნა მოეპოება სკოლებისათვის, სადაც საჭიროება მოითხოვს სასწავლო და სახელმძღვანელო წიგნებისა;

ე) წარმოება შემოსავალ-გასავლის დავთრებისა და საზოგადოების თანგის ანგარიშისა;

ვ) გამართვა საზოგადოების დანიშნულებათა გასაძლიერებლად საალიტერატურო საკითხვისა, და საჯარო ლექციებისა, სამუსიკო საღამოებისა, წარმოდგენეიისა და უულაბებით ფულის შეგრება.

ზ) მოწვევა თავმჯდომარის საშუალებით საზოგადო კრებათა, ხოლო კრების დღე ერთის თვის წინად უნდა ეცნობოს საზოგადოების განუოფილებებს;

(ᲗᲐ) წარდგენა რწმუნებულთა საზოგადო კრებისათვის მოსაზრებისა იმის შესახებ, თუ რა დანიშნულებაა საჭირო, რომ საზოგადოებამ მიზანს მიაღწიოს და მისი მოქმედება უფრო განვითარდეს;

თ) საზოგადოთ ეოვნელი განკარგულება-საზოგადოების საქმეთა გამო.

§ 25. კამგეობა ეოველ წლივ წარუდგენს საზოგადო კრებას დაწვრილებით ანგარიშს საზოგადოების შედგენილებისას და მოქმედებისას.

§ 26. კამგეობის სხდომა ჩაითვლება კანონიერად, თუ დაესწრო წევრთა ნახევარზე მეტი რიცხვი, თუ თავმჯდომარე და მისი ამხანაგი არ დაესწრო, მათ მოადგილეობს ერთი წევრთაგანი დანარჩენ დამსწრეთა მიერ არჩეული. კამგეობის სხდომა მოხდება თვეში ერთხელ მაინც. სხდომაზე შესაძლო მოწვეულ იქმნენ სათათბიროთ საზოგადოების წევრნი. კამგეოღის საქმე გადაწყდება ამის უმეტესობით, ხოლო, თუ ხმები შუა გაიყო, საკითხს სწყვეტს თავმჯდომარის ხმა.

§ 27. მთავარი კამგეობის თავმჯდომარე:

ა) თვალყურს ადევნებს ამ წესდების ნამდვილად ასრულებას;

ბ) ხელმძღვანელობს თათბირს სხდომის დროს.

გ) საზოგადოების საქმეთა შესახებ აქვს მიწერ-მოწერა სათანადო უწყებებსა, დაწესებულებებსა და პირებთან.

VII. საზოგადოების განყოფილებანი.

§ 28. საზოგადოებას უფლება აქვს გახსნას ადგილობრივი განუოფილებანი სადაც საჭიროდ დაინახავს, ხოლო ეოველი განუოფილების გახსნის შესახებ უნდა შეატყობინოს ტფილისის გუბერნატორს.

§ 29. განუოფილების საქმეებს განაგებს განუოფილების წევრთა საზოგადო კრება და კრებისაგან არჩეული კამგეობა.

§ 30. საზოგადოების განუოფილებანი მოქმედებენ განსაზღვრულ რაიონების ფარგლებში და ემსახურებიან საზოგადოების მიერ დასახულ მიზნებს, წესდების გარდა ხელმძღვანელობენ მთავარი კამგეობის განსაკუთრებული ინსტრუქციებით, რომელსაც ამტკიცებს რწმუნებულთა საერთო კრება.

შენიშვნა: განუოფილება შეიძლება დაიხუროს რწმუნებულთა საერთო კრების დადგენილების თანახმად.

VII. საერეიზიო კომისია.

§ 31. საზოგადოების ქონების კასის ანგარიშს, საბუთების, შემოსავალ-გასავლის,

ინვენტარის, სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის და ეოველ გვარი ქონების შესამოწმებლად და განსაკუთრებულად კრება ირჩევს თანახმად მე 18 §-სა დიტერი „ბ“ სარევიზიო კომისიას სამიდან ხუთ კაცამდინ შემდგარს და სამ კანდიდატს, რომელთაც არ უკავიათ არც საზოგადოებაში და არც მის განყოფილებაში სხვა რაიმე თანამდებობა

შენიშვნა: ეს დებულება თანახმად სავალდებულოა საზოგადოების განყოფილებათა სარევიზიო კომისიებისთვისაც.

§ 32. სარევიზიო კომისიის საქმეებს ხელმძღვანელობს კომისიის წევრთაგან არჩეული თავმჯდომარე.

§ 33. წესდების მე-31-ოე §-ის თანახმად სავალდებულო ფაქტიურ რევიზიას სარევიზიო კომისია ახდენს ეოველწლივ რწმუნებულთა საერთო კრებამდე, მაგრამ გარდა ამისა ამავე კომისიას აქვს უფლება მოულოდნელი რევიზიაც მოახდინოს ეოველ დროს.

IX. საზოგადოების საქმეთა ლიკვიდაცია.

§ 34. თუ საზოგადოება დაიხურა, რაიც მოხდება მხოლოდ რწმუნებულთა საზოგადო კრების ხმათა სამის მეოთხედის დადგენილებით, სწარმოებს ლიკვიდაცია საზოგადოების საქმეთა იმ წესით, რომელიც უნდა ცხად ყოს იმავე დადგენილებამ...

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელის საზოგადოების სოხუმის განყოფილების შესახებ.

სოხუმის განყოფილება, დაარსებული 1909 წელს, ახლა წარმოადგენს ერთს უდიერესს და მოქმედს განყოფილებას. მის წევრთა რიცხვი არის 724. დაარსების დღიდგან განყოფილებას თავის მოქმედების საგნად დაუსახავს სკოლის შენახვა და ამისთვის სახსრის გამოძებნა. განყოფილების გამგეობა შესდგება 18 პირისაგან და ეველანი შეძლებისამებრ ერთგულად ემსახურებიან საქმეს. ამ უკანასკნელ ხანს გამგეობას სკოლის შენახვის გარდა საქმე გართულებული აქვს იმით, რომ თანახმად მთავარ-გამგეობის დავალებისა, მას გაუმართავს ომისაგან დაზარალებულთა ოჯახებისათვის თავშესაფარი და სახელოსნო განყოფილება სკოლასთან.

სწორედ დიდი შრომა გაუწევია განყოფილებას და მის გამგეობას რაგორც თავშესაფარის გამართვაზე, ისე სკოლის შენობის საამისოდ გადაკეთებაზე და საზოგადოდ დონისძიების გაძლიერებაზე. ათს ბავშვთან ერთად, რომელთა შესანახად მთავარ-გამგეობა აძლევს საშუალებას, გამგეობას გადუწყვეტია თავის ხარჯით იყოლიოს თავშესაფარში კიდევ ორი ბავშვი ათხაზთაგან. კიდევაც მიუღია ერთი. ერთიც მისაღები ყოფილა. გამგეობის მოდვაწეობას დიდის თანაგრძნობით ეკიდება სოხუმის ქართველი საზოგადოება, რაიცა ჩანს იქიდგან, რომ დიდის ხალისით ეწერებიან წევრებად, სწირავენ და ესწრებიან განყოფილების საერგებლოდ გამართულს გასართობებს. შარშან ამ ნაირის გასართობიდგან შემოსულა 4518 მან., ხოლო წრეულს ნინოობა დღეს 6000 მ. შარშანვე განყოფილების გამგეობას გაუმართია „თინჯან ჩაიდ“ წოდებული საგაჯრო, რომელიც ამყამად მშვენიერად ვაჭრობს და სტოვებს ეოველთვიურად წმინდა შემოსავალს 500 მანეთამდე.

შარშან განყოფილებას ექონია შემოსავალი 6665 მან. 60 კ., გასავალი 5106 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

63 კ. ამ შემოსავალში არ შედის შემოსავალი ფინჯან ჩაისა და სკოლის შენობისა და თავშესაფრისთვის მიღებული ფული. არც გასავალში შედის, რასკვირველია, ამ ორს საქმეში გაწეული ხარჯი. ფინჯანჩაისგან დარჩენილი მოგება ჩემს სოხუმში ყოფნის დროს უდრიდა 3700 მან., სკოლის შენობის თანხა 1366 მან.

სამეურნეო და მეკვიდრის წაკრეს გასაჩენად განუოფილების გამგეობას აზრად აქვს სკოლის ეზოში, რომელიც სიგრძით 1000 საჟენია, ქუჩის პირად აგოს შენობა საწყობებად გამოსადეგი და გაიქირავოს. უკვე გამოჩენილა ათამდე პირი, რომელთაც აუოქვამთ თავიანთ ხარჯით აგოს თითო თითო თვალი ოთახი. გამგეობას განძრახული აქვს ოცამდე ოთახის აგება. იგი დარწმუნებულია, რომ საჭირო მხოლოდ საქმის დაწყება და შემოწირულებაც ამ საქმის მოსათავებლად განდება. გამგეობას იმედი აქვს, რომ მთავარგამგეობა ამ საქმის დასაწყებად, თუ საჭირო შეიქნა, ის დაუჭერს საჭირო თანხის დროებით მიცემას, დაახლოვებით 10,000 მანეთამდე. თუ გამგეობის ეს აზრი განხორციელდა, მას გაუჩნდება ისეთი სახსარი, რომელიც შეაძლებინებს მას არა მარტო ახლანდელის სკოლის შენახვას, არამედ თავის მოქმედების სხვათრივ გაფართოებასაც. ამიტომ საჭირო, მთავარ-გამგეობა დაეხმარის სოხუმის განუოფილებას საჭირო თანხის საესხსავით მიცემით.

სოხუმის განუოფილების გამგეობის მოქმედებაში მხოლოდ ის ნაკლი ვნახე, რომ ანგარიშის საწარმოებელი დავთარი არ უგარგა. შინაურულად ნაწარმოების შემოსავალ-გასავლის დავთრის გარდა არავითარი სხვა საბუღალტერო წიგნი არა აქვთ, ასე რომ ჩემთვის შეუძლებელი იყო გამოერკვია, თუ რა შეძლების პატრონია დღეს განუოფილება: რა აქეს, რა მართებს სხვისა, რა მართებთ სხვებს მისი, რა დირს მისი ქონება და სხ. ამ უდავთრობის ბრალია, რომ თავშესაფრის ხარჯების ანგარიშის გამოსარკვევად მე იძულებული ვიყავი დაგრჩენილვიყავ სოხუმში შვიდს დღეს. საჭირო მთავარ-გამგეობამ თვითონ გაუგზავნოს დავთარი და დარიგება თუ რაგორ აწარმოონ, მაგრამ საეჭვოა, რომ დავთრის გაგზავნის შემდეგაც რიგიანად აწარმოონ ანგარიშების წერა, რადგან უმთავრესი მიზეზი საბუღალტერო წიგნების უწარმოებლობისა არის ის გარემოება, რომ გამგეობის წევრთ არა აქვთ საკმარისი მოცდა, რომ თავიანთ საქმეებთან ერთად საზოგადოების ანგარიშებიც აწარმოონ ბუღალტერულის წესით. სწორედ ამ მოუცლელობით აიხსნება ის გარემოებაც, რომ გამგეობას ორი ხაზინადარი ყოლია უკანასკნელს ხანს. ერთს ჩაბარებული ჩვეულებრივი შემოსავალ-გასავალი, მეორეს საგანგებო შემოსავალი და გასავალი („ფინჯანჩაისა", თავშესაფრისა და ამშენებლობისა). ორის ხაზინადრის ყოლა და ცალცალკე წარმოება ანგარიშებისა უხერხულია ბევრის მხრით, მაგრამ თუ ასე მოქცეულან სოხუმში, უეჭველია იმიტომ, რომ ერთს კაცს არ ჭირნია საკმარისი თავისუფალი დრო ორივ ანგარიშების საწარმოებლად. გამგეობის წევრნი მადლობის დირსნი არიან იმისთვისაც, რომ სხვათრივ ეწევიან მუშაობას საზოგადოებისთვის და კიდევ ანგარიშების წარმოების დავალება მათთვის, რომ ამისთვის დრო არა აქვსთ, შეუძლებელია. ამიტომ საჭირო, განუოფილების გამგეობამ საფასით მოიწვიოს განსაკუთრებული პირი ხაზინადრის ხელმძღვანელობით საბუღალტერო წიგნების საწარმოებლად. ამავე პირს უნდა დაეკვალოს მიწერ-მოწერის წარმოება, რაც აგრეთვე ხშირად საძნელოა ხოლმე გამგეობის წევრისთვის, რომელიც არის ხოლმე მდიგნად არჩეული. ეს აზრი გავუზიარე გამგეობას და იგი საესებით დამეთანხმა.

დ. კარიჭაშვილი.

5 მარტს 1917 წ.